1927

ფანფარა

3-4

1927

გაერთიანებულ ქართულ მწერლობას, რომლის ხელმძღვანელი ორგანოა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, ამ ჟამად აქვს მხოლოდ ერთი ბეჭდვითი ორგანო — ყოველთვიური ჟურნალი „ქართული მწერლობა“.

ჟურნალი იძლევა მთლიან სურათს თანამედროვე ქართული ლიტერატურისას. ჟურნალში მონაწილეობას ღებულობს ყველა ქართველი მწერალი და პოეტი განურჩევლად ლიტერატურული მიმართულებისა, ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. ამ მხრივ ჟურნალი „ქართულ მწერლობის“ გარშემო გაერთიანებულია დიდი კულტურული ძალა ქართული მწერლების, მეცნიერების და ფართო ინტელიგენციის სახით.

ჟურნალი ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება და ყოველი კულტურული ქართველი უნდა კითხულობდეს „ქართულ მწერლობას“, უნდა იწერდეს „ქართულ მწერლობას“, უნდა ეხმარებოდეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს თავისი ინიციატივით და ყურადღებით.

ห้องสมุดกรมวิชาการ · กระทรวงศึกษาธิการ · LIBRARY · DEPARTMENT OF VOCATIONAL EDUCATION · MINISTRY OF EDUCATION

ფანჯარა მწერლობაზ

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მეორე

F 669

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

ბიბლიოთეკა

მარტი — აპრილი
ტფილისი — 1927

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები.

ოსვალდ შპენგლერ — პოლიტიკის ფილოსოფია. (თარგმანი გერმანულიდან მოსე გოგიბერიძისა).

ა. ლუნაჩარსკი — ისევ კლასიკების შესახებ.

მხატ. გ. იაკულოვი — მხატვრული აზროვნების ბუნების შესახებ. (ხელნაწერიდან თარგმანი ს. შანშიაშვილისა).

ქრისტეფორე რაჭველიშვილი — პოეზიისათვის.

დამსახ. პროფ. ალ. ცაგარელი — ჩემი იუბილე.

პოეზია:

*** * *** — ბალადა, თუ როგორ შეაკვდენ ერთი მეორეს ვეფხი და ვაჟკაცი.

დ. გაჩეჩილაძე — განთიადამდე.

ნ. ზომლეთელი — საქართველო.

სიმ. ჩიქოვანი — გაბაასება საკუთარ ლექსთან.

კ. ჭიჭინაძე — საღამოები მთაში.

პროზა:

დია ჩიანელი — ქუთაისი.

ალ. ქუთათელი — ხონის ბირჟა.

სტ. კასრაძე — უდაბურობა.

დოკუმენტები:

ს. წულუკიძე — გამოუქვეყნებელი კერძო მიწერ-მოწერა.

ბიბლიოგრაფია და ქრონიკა:

ვ. ცომაია — ს. დანელია. „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“.

ქრონიკა: საბჭოთა კავშირის მწერლობის ფედერაცია მოსკოვში. საკავშირო სახ. კომ. საბჭოს კომისიის დადგენილებანი მწერალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

UGCA

ოსვალდ შპენგლერ.

პოლიტიკის ფილოსოფია

პოლიტიკის შესახებ ჩვენ მეტი გვიფიქრია ვიდრე ეს საჭირო იყო და სწორედ ამის გამო ნამდვილი პოლიტიკის ბუნებისა ჩვენ ძალიან ცოტა რამ გაგვეგება. დიდი სახელმწიფოებრივი ჭკუის ადამიანები თავიანთ მოქმედებაში ყოველთვის ფაქტებისადმი ჯანსაღ და ურყევ განწყობილ გზნებიდან გამოდიოდენ. ეს მათთვის იმდენად ბუნებრივია, რომ თავიანთ მოქმედების ძირითად ცნებების შესაძლებლობისათვის მათ დაფიქრება აზრათაც კი არ მოუვათ, მაშინაც კი, როცა ეს მართლაც საჭიროა. მოქმედების შესახებ არსებული თეორიები არ ეგუება არც მათ ნიჭს და არც მათ გემოვნებას. პროფესიონალური მოაზრენი-კი, რომელნიც თავიანთ თვალთახედვას მხოლოდ ადამინის მიერ შექმნილ ფაქტებისაკენ მიაპყრობენ, ისე შორს დგანან ამ მოქმედებიდან, რომ ეს მოქმედება აბსტრაქციაში გადააქვთ, — დიდის სიამოვნებით გახვევენ მას სამართლიანობის, სიკეთის და თავისუფლების მისტიურ ბურუსში, რათა ისტორიას, წარსულს და მომავალს ამით საზღვი აღმოუჩინონ. ამ საქმიანობაში მათ უბრალო ცნების საზღვარიც კი ავიწყდებათ და მიდიან დასკვნამდე, რომ პოლიტიკა არსებობს მხოლოდ ქვეყნის ტრიალის იდეალური რეცეპტის სახით. მაგრამ რადგან ასეთი რამ არსად და არასოროს არ ნახულა, პოლიტიკური მოქმედება აბსტრაქტიულ აზრთან შედარებით ისე უბრალო და მცირედ დაინახეს, რომ ამ აბსტრაქციის ხალხმა თავიანთ წიგნებში ვრცელი კამათი გახსნეს ე. წ. „მოქმედების გენიის“ ნამდვილად არსებობის შესახებ.

სწორედ ამის საწინააღმდეგოთ ჩვენ ამ წიგნში შევეცდებით იდეოლოგიურ სისტემის მაგივრათ შევქმნათ **პოლიტიკის ფიზიოგნომიკა.** ე. ი. გადმოვცეთ ისე, როგორც ეს ხდებოდა ისტორიის მსვლელობის სინამდვილეში და არა ისე, როგორც ის უნდა ყოფილიყო. დიდი ისტორიული ფაქტების საზრისის მიხვედრა, მათი „დანახვა" და მათში სიმბოლიურად ღირსშესანიშნავის აღვსება და აწერა იქნება ჩვენი ამოცანა. ქვეყნის გამბედნიერებლების გეგმებს ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვს [1]).

ადამიანურ ყოფის ნაკადს უწოდებთ ჩვენ ისტორიას. პოლიტიკა არის ის სახე და წესი, რომელშიაც ეს მომდინარე ყოფა მტკიცდება, იზრდება და სხვაგვარი სიცოცხლის ნაკადზე იმარჯვებს. **მთელი სიცოცხლე** — მის უკანასკნელ კუთხემდე და ყველა თავისი გამოვლენით **არის პოლიტიკა.** ის, რასაც ჩვენ სიცოცხლის ენერგიას უწოდებთ, ეს უხილავი „რაღაც", რომელიც საშუალების დაუზოგავათ წინ მიილტვის ჩვენში, ის ბრმა, კოსმიური ნება ძლიერი და მოტრფიალე აღტყინება ძლიერებისა და უფლებამოსილებისაკენ, ეს მცენარისებური და ჯიშიანი ერთიანობა „მშობელ" მიწასთან, ეს მემკვიდრეობა **„უნდა ვიმოქმედო"** არის ის, რაიც ძლიერ ადამიანში, როგორც პოლიტიკური სიცოცხლე, დიდ გადაწყვეტილებას დაეძებს: ან გაიზრდები ან მოკვდები. მესამე შესაძლებლობა არ არსებობს.

---

[1]) „სახელმწიფოები ქრებიან, კარგი ლექსი კი დარჩება", — ფიქრობდა ჰ. ჰუმბოლტი ვატერლოოს ბრძოლის გამო. მიუხედავათ ამისა, ნაპოლეონის პიროვნებამ ისტორიის სახე რამოდენიმე საუკუნით წინ განსაზღვრა. კარგი ლექსი — რა იქნებოდა, რომ ჰუმბოლტს ამის შესახებ თუ გინდ გლეხისათვის ეკითხა რაიმე. ის დარჩება მხოლოდ ლიტერატურის სახელმძღვანელოში. პლატონი მარადია — მხოლოდ ფილოლოგებისათვის. ნაპოლეონი კი ბატონობს შინაგანი და უხილავი ძალით ჩვენზე, ჩვენ სახელმწიფოზე, ჩვენს არმიაზე, ჩვენ საზოგადოებრივ აზრზე, ჩვენ მთელ პოლიტიკურ ყოფაზე და მისი ბატონობა იმდენათ ძლიერია, რამდენად ნაკლებად ვგრძნობთ ჩვენ მას.

სწორედ ამიტომ აზნაურობა, როგორც ძლიერი რასის უტყუარი სახე, არის ნამდვილი პოლიტიკური წოდება, თავდაჭერილი და არა განათლებული. ყველა დიდი პოლიტიკოსი თავის მოწოდების გრძნობაში და შინაგან კავშირისაკენ ლტოლვაში ყოველთვის რაიმე აზნაურულს თან ატარებს. პირიქით ყოველივე მიკროკოსმიული და „სულიერი" არის უპოლიტიკო, ყოველ იდეოლოგიას და პროგრამულ პოლიტიკას თან ახლავს რალაც ხუცური. საუკეთესო დიპლომატები მოთამაშე, ან რაიმეს მოსურვე ბალღებია, რომელთა კერძო არსებაში დამალული კოსმიური რალაც, უმეშვეოდ და ურყევი გაბედულობით იკაფავს გზას. ისინი ალარაფერს ახალს ალარ სწავლობენ ჭაბუკობის მოახლოვებასთან, მათ ავიწყდებათ პირველი წლების ოსტატობა. სწორედ ამიტომ მამაკაცებს შორის ნამდვილი სახელმწიფო კაცი იშვიათი მოვლენაა.

მალალი კულტურის სამთავროში, რომელშიაც მხოლოდ შეიძლება პოლიტიკა არსებობდეს ეს ყოფის ნაკადები ხვდებიან, როგორც მრავალ რიცხოვანი მოვლენები. ესა თუ ის ხალხი მხოლოდ სხვა ხალხებთან შედარებით არის ნამდვილი და უპირატესი და სწორედ ამიტომ ბუნებრივი, რასსიული დამოკიდებულება მათ შორის არის ომი. ეს ისეთი ფაქტია, რომლის შეცვლა არავითარ ჭეშმარიტებას არ ძალუძს. ომი ყოველი ცხოველყოფილისათვის იმდენად სასიცოცხლო ძალვია, რომ ბრძოლა და სიცოცხლე სინამდვილეში ერთი და იგივე არის და ბრძოლის სურვილის გაქრობასთან ერთად თვით არსიც კი ქრება. და თუ ე. წ. მალალი პოლიტიკა ხმალის მაგივრად სულიერი იარალის ხმარებას ლამობს, თუ სახელმწიფო კაცების სურვილი ე. წ. მალალი პოლიტიკის დროს, ომის სრულიად თავიდან აშორებისაკენ არის მიმართული, — ძაინც რჩება ძველი ნათესაობა დიპლომატიას და ომის ხელობას შორის: ბრძოლის ხასიათი, იგივე ტაქტიკა, იგივე შეგრის ძიება, მატერიალური ძალების იგივე დამალვა; მიზანიც, რასაკვირველია, ერთი და იგივე რჩება: საკუთარი სიცოცხლის მთლიანობის ხრდა — (წოდება, ან ლანაცია) სხვის ხარჯზე.

ყოველივე ომში მთავარი საკითხია თუ ვინ ხელისუფლობს სათავეს. ის, რაც მოვლინების ტალღებში ტაქტს იძლევა, ყოველთვის არის სიცოცხლე და არა სისტემა, კანონი, ან კიდევ პროგრამმა. ყველა ისტორიული მოწოდებით დაჯილდოვებულ კერძო აზრებაში დამალულია შეუგნებელი, მაგრამ ურყევი და უცნაური სურვილი: მოქმედების ცენტრად გახდომა, შუა წერტილობა ამოძრავებულ ბრბოსათვის, სურვილი საკუთარი პიროვნების შინაგანი ფორმის ხალხის და ეპოქის ფორმად გადაქცევისა, ისტორიის მეთაურობა, რომ ამით დაბოლოს საკუთარი ხალხი, ან და კიდევ საკუთარი წოდება ისტორიის მსვლელობის სათავეში მოაქციო და სხვ. **არსებობს მხოლოდ პირადი ისტორია და ამიტომ მხოლოდ პირადი პოლიტიკა.** პროგრამების და პრინციპების ბრძოლა კი არა, — არამედ ადამიანების ბრძოლა, იდეალების კი არა, — არამედ სახელისუფლოდ მომქმედი რასის ბრძოლა არის პირველი და უკანასკნელი; რევოლიუციონერებიც არ მეადგენენ აქ არავითარ გამონაკლისს, „ხალხის სუვერენობა" მხოლოდ ცარიელი სიტყვაა, რომელიც მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ გაბატონებულ ხელისუფლებას თავის თავისთვის მეფის მაგიერად ხალხის მეთეური უწოდებია. ხელისუფლების მეთოდები ამით სავსებითაც არ იცვლება, არ იცვლება, რასაკვირველია არც თვით მთავრობის მდგომარეობა. ის კი არა თვით მსოფლიო მშვიდობიანობა, რომელიც ზოგჯერ მყარდებოდა, — სინამდვილეში დამონავებულ კაცობრიობაზე გაბატონებულ ერთ მუჭა ძლიერ ხალხთა ხელისუფლება იყო.

განსაკუთრებული პოლიტიკური უნარით დაჯილდოვებული ერი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ხალხი, რომელიც გაბატონებულ უმცირესობას მაგრად უჭირავს ხელში და ამიტომ ეს ხალხი თავის თავს კარგად გრძნობს კონსტიტუციაში. ინგლისის ხალხი პოლიტიკურ საქმეებში იმდენად ვიწრო და მსჯელობა სუსტი არის, როგორც ყველა სხვა ერი, მაგრამ ინგლისელებს აქვთ ნდობის განსაკუთრებული ტრადიცია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ინგლისელი ძველი და გამარჯვებას ჩვეული მთავ-

რობის ობიექტი არის, რომელსაც ის ხმას მხოლოდ იმიტომ აძლევს, რომ მის უპირატესობას გამოცდილებით იცნობს. ინგლისის ხელისუფლების სათავეში მყოფმა კლასმა თავის პოლიტიკის მიზნები და მეთოდები „ხალხიდან" დამოუკიდებლად შექმნა და ის იმ დაუწერელ კონსტიტუციის მიხედვით მუშაობს, რომლის მოხამარების დროს წარმოშობილი უთეორო ნორმები და ჩვეულებანი, არამც თუ გაუთვალისწინებელია, არამედ გაუგებარიც კი. ყოველი ჯარის გამბედაობა დამოკიდებულია უფროსებისადმი მიმართულ ნდობით; ნდობა კი ნიშნავს ყოველივე კრიტიკის ნებაყოფლობით უარყოფას. ოფიცერს შეუძლია მხდალი გადააქციოს გმირად, გმირი კი მხდლად.

როგორ აკეთებენ პოლიტიკას? სახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის დაბადებული კაცი უპირველეს ყოვლისა მცოდნეა, მცოდნე—ადამიანის მდგომარეობის, მცოდნე საგნის. მას აქვს ხედვა, რომელიც სჭვრეტს ყოველ შესაძლებლობას უცდუნებლად, დაუგვიანებლად. ცხენის მცოდნე ერთი შეხედვით ატყობს ცხოველს, თუ რამდენად გამოდგება ის დოღში. მოთამაშე ერთს ჩახედავს მოწინააღმდეგეს თვალებში და უკვე იცის, თუ რა უნდა ითამაშოს. უცოდინრად საქმის გაკეთება, მარჯვე ხელი, რომელიც მოუფიქრებლად ცხენს სადავეს დააყრის, ალვირს მოიმარჯვებს — აი თეორიული ნიჭის საწინააღმდეგო უნარი. ქმნადობის საიდუმლო ტაქტი აქაც და ისტორიულ საქმეშიაც ერთი და იგივე არის. ისინი გრძნობენ ერთი მეორეს, ისინი არსებობენ ერთი მეორისათვის. ფაქტების ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი არასოდეს არ ჩავარდება გრძნობის და პროგრამის პოლიტიკის საშიშროებაში. მაღალი სიტყვები მას არ სწამს. მას ყოველთვის ენაზე პილატეს საკითხი აკერია. ნამდვილი სახელმწიფო კაცი სდგას მიღმა ჭეშმარიტებისა და შეცდომისა. მოვლენების ლოგიკას ის არასდროს არ ურევს სისტემის ლოგიკაში. „ჭეშმარიტება" — „შეცდომა"—მისთვის ერთი და იგივეა — და ის განიხილავს მათ, როგორც სულიერ ნაკადს, რომელსაც რაიმე გავლენა აქვს, რომლის სიძლიერეს, მძლეობას და მიმართულებას ის ხედავს და მის

მიერ მოხმარებულ ხელისუფლების ბედისწერისათვის მას საჭირო ანგარიშსაც უწევს. რასაკვირველია, მასაც აქვს ძვირფასი რწმენა, მაგრამ როგორც კერძო კაცს და არა როგორც პოლიტიკოსს. არც ერთს თვალსაჩინო პოლიტიკოსს თავის მოქმედების დროს არ უგრძვნია, რომ ის დამოკიდებული იყო რაიმე მაღალი რწმენისაგან. „მოქმედი ყოველთვის უსინდისოა, სინდისი აქვს მხოლოდ მაყურებელს“ (გოეტე) ეს მართებულია, როგორც სულლა და რობესპიერისთავის, ისე ბისმარკისა და ფლატისათვის. დიდ პაპებსა და ინგლისელ პარტიის მეთაურებს თავის მოქმედების დროს ისეთივე პრინციპები გააჩნდათ, როგორც ყველა დროის მეომრებს და ამაოხრებელთ.

თვით ცხოვრება და არა კერძო ვინმე არის უსინდისო.

ამისათვის არის საჭირო იმ დროის გაგება, რომლისათვის დაბადებული ხარ, ვინც ამ დროის საიდუმლოებით მოცულ ძალებს ვერ გრძნობს და ვერ გაიგებს, ვინც საკუთარ თავში ვერ ნახულობს იმის მონათესავეს, რაც მას წინ მიერეკება ისეთი გზებისაკენ, რომელთა გაგება ცნებების საშუალებით შეუძლებლია.

ვინც ზედა პირს, მაღალ სიტყვებს, საზოგადოებრივ აზრს, ყოველდღიურ იდეალებს უჯერებს, ის არ სდგას თავის დროის სიმაღლეზე. მაშინ ისინი ბატონობენ ადამიანზე და არა ადამიანი იმათზე. უკან ჭვრეტა და საზომის წარსულში ძებნა არ ვარგა. ამაზე უარესია რაიმე სისტემის გამონახვა. ყოველ დროში—და ჩვენს დროშიც ისე, როგორც გრახკის დროს, — არსებობს ორი ყოვლად მცდარი იდეალიზმი: რეაქციონური და დემოკრატიული. ერთს სწამს ისტორიის შემობრუნება, მეორეს კი მიზანი ისტორიაში. იმ დამარცხებისათვის კი, რომელიც მათი წყალობით ყოველ ერს დაატყდება თავს, სულ ერთია. ძველის მოგონებას მოუტან მას მსხვერპლად, თუ რომელიმე ცნებას. ნამდვილი სახელმწიფო კაცი არის ისტორია კერძო პიროვნებაში, მისი მისწრაფება — კერძო ნებისყოფა, მისი ორგანიული ლოლიკა — ხასიათი.

მაგრამ, მთავარი აქ მოქმედება კი არ არის, არამედ ბრძანება. უნდა შესძლო ბრძანება და მხოლოდ ამით

კერძო პიროვნება ამაღლდება საკუთარ თავზე და შეექცევა მომქმედი ქვეყნის შუა ადგილს. არსებობს ბრძანების ერთგვარი კილო, რომელიც მორჩილებას აქცევს თავისუფალ, მაღალ და პატივსაცემ ჩვეულებად. ნაპოლეონს, მაგალითად, არ გააჩნია ეს კილო. ამიტომ არ ჰქონდა მას შეძლება ყურმოჭრილ მონების მაგივრად კაცები აღეზარდა და პიროვნებების დახმარებით ეხელისუფლა. ის ბრძანებების და დეკრეტების საშუალებით ბატონობდა. და რადგან მას ეს ბრძანების ტაქტი არ გააჩნდა, ის იძულებული იყო ყველა გადამწყვეტი საქმე თავისი ხელით გაეკეთებია და რასაკვირველია, ის დაიღუპა ადამიანური შესაძლებლობის ამოწურვის საზღვრებზე. ვისაც კი ხვედრად რგებია ეს დამთავრებული ადამიანობის უმაღლესი ნიჭი, როგორც მაგ. ცეზარს, ან ფრიდრიხს დიდს, ის იგრძნობს ბრძოლის ველზე გამარჯვების წინ, ან და იმ უკანასკნელ საათში, სადაც ერთი ხელის მოწერით ისტორიის მთელი ეპოქა იხურება, იმ ძლიერების გასაოცარ გრძნობას, რომელიც ჭეშმარიტების მაძიებელი კაცისათვის სამუდამოდ დახურულია. არსებობს მომენტი, რომელშიაც პიროვნება თავის თავს ქვეყნის ცენტრში და მის ბედისწერად გრძნობს და საკუთარი თავი ის გარეგანი ჰგონია, რომელშიაც ისტორიის მომავალი დღეს, თუ ხვალ გაეხვევა.

პირველი ამოცანა არის: თვით უნდა გააკეთო რაიმე. მეორე, უჩინარი, მაგრამ მძიმე და მომავლისათვის გავლენიანი: ტრადიციის შექმნა. სხვები უნდა აიძულო, შენი საქმე, ტაქტი და კილო გააგრძელონ. ე. ი. შექმნა მთლიანი მოქმედების ისეთი ნაკადი, რომელიც უმეთაუროდ წინ წავა და ფორმასა და სახეს არ დაკარგავს. ამით საზელმწიფო კაცი იზრდება იმათ, რასაც ანტიური ქვეყანა უსათუოდ ღმერთს დაარქმევდა. ის იქცევა ახალი სიცოცხლის შემომქმედათ, ახალგაზრდა რასის სულიერ წინააპრად. ის კი, როგორც არსება, სულ მალე გაჰქრება ამ ნაკადიდან. მაგრამ მის მიერ გაჩენილი უმცირესობა, ეს გასაკვირი ჯიშის ახალი არსება, ძალიან გრძელი დროსათვის, იჭერს მის ადგილს. ეს კოსმიური რაღაც ეს გაბა-

ტონებული ნაწილის სული შეიძლება წარმოშვას კერძო პიროვნებამ და ის გადასცემს მემკვიდრეობას, რაიც ისტორიის მსვლელობაში გრძელი შედეგებით დახასიათდება. დიდი სახელმწიფო კაცი იშვიათი მოვლენაა. მისი მოსკლა, მის მიერ ძალა უფლების ხელში აღება — ადრე თუ გვიან — ეს არის შემთხვევა. დიდი პიროვნება ხშირად მეტს დაანგრევს თავის სიკვდილით, ვიდრე ააშენა თავის სიცოცხლით. ეს იმიტომ რომ, მისი სიკვდილით ისტორიის მსვლელობაში დაცარიელებული ადგილის ავსება შეუძლებელი რჩება. ტრადიციის შექმნა კი შემთხვევის უკუგდებას ნიშნავს. ტრადიცია აღზრდის საშუალო წრეს, რომლითაც მომავალს შეუძლია იანგარიშოს, თუ ცეზარს არა ყოველშემთხვევაში სენატს, თუ ნაპოლეონს არა, — ოფიცრების სანიმუშო კორპორაციას. ძლიერი ტრადიცია ყოველ მხრიდან იზიდავს ტალანტს და მცირე ნიჭით ღებულობს ოვალსაჩინო შედეგს. ამას საუკეთესოთ ამტკიცებს მხატვრების სკოლა იტალიაში და ჰოლანდიაში, პრუსიის ჯარი და რომის კურიის დიპლომატია. ბისმარკის მთავარი სისუსტე ფრიდრიხ ვილჰელმთან შედარებით იყო ის რომ, თუმც მოქმედება იცოდა, მაგრამ მან ვერ შექმნა ტრადიცია; მოლტკეს ოფიცრების გვერდით ბისმარკმა ვერ შექმნა შესაფერი პოლიტიკოსების რასსა, რომელსაც თავისი თავი ახალ სახელმწიფოდ ეგრძნო და ახალი ძალები მიელო თავის წრეში. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ერთი მთლიანი მმართველი წრის მაგივრად გვაქვს თავების კრებული, რომელიც ყოველი მოულოდნელის წინაშე უძლური და უსუსურია.

კი მაგრამ, რა არის პოლიტიკა? შესაძლებელის ხელოვნება. ამ ძველი სიტყვით თითქმის ყოველივე თქმულია. მებალეს შეუძლია თესლიდან მიიღოს მცენარე, ან და მისი ჯიში გააუკეთესოს. მას შეუძლია მისი ზრდა და ყვავილი და ნაყოფი განავითაროს, ან და კიდევ გააფუჭოს. მისი უნარიდან, შესაძლებელია ე. ი. აუცილებელი, დაინახოს მისი ზრდა, მისი წარმატება, მისი ძალა და ბედისწერა. მაგრამ მას არ უჭირავს ხელში მისი არსებობის მიმართულების სათავე, გძეობა და სისწრაფის, კანონი,

რომელიც მას'მი ჩასახულია და მოქმედობს. ეს კანონი მან ან უნდა ულაპარაკოდ შეასრულოს, ან და მცენარე სამუდამოდ გააფუჭოს. და სწორედ იმისივე თქმა შეიძლება იმ უზარმაზარი მცენარის შესახებ, რომელსაც „კულტურა" ჰქვია და პოლიტიკურ ფორმების გზით არსებობის ნაკადში მიმავალ ადამიანთა საზოგადოების შესახებ.

დიდი სახელმწიფო კაცი მებალეა თავისი ხალხის.

ყოველი მომქმედი იბადება განსაზღვრულ დროში და განსაზღვრული დროისათვის. მისთვის შესაძლებელი მიხწევების საზღვრები ამით იმ თავითვე გარკვეულია. ბაბუებისათვის და შვილიშვილებისათვის სხვა მიზანი და სხვა ამოცანა არსებობს.

საზღვრები მომავალში შემცირდება მისი პიროვნების და მისი ხალხის თვისებებით. ნამდვილ პოლიტიკოს უმთავრესად ის ახასიათებს, რომ ის დასახელებული საზღვრების უცოდინარობით მსხვერპლს არ გაიღებს, მაგრამ არც იმას დასტოვებს გაუკეთებლად, რაიც უნდა გაეკეთებია, რის გაკეთება შესაძლებელი იყო. ე. ი. იმას ის არ აურეკს მას, რაც უნდა ყოფილიყო, იმაში, რაც არის და იქნება. პოლიტიკური ცხოვრების და სახელმწიფოს მთავარი სახე, მისი განვითარების მიმართულება და მდგომარეობა მოცემულია განსაზღვრულ დროში და ეს მოცემულობა არის ფარული. ყველა პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწევთ მათთან ერთად და არა მათში. ისინი კი ვინც პოლიტიკურ იდეალებს თაყვანსა სცემენ, შემოქმედობენ სრული არარაობიდან. საკუთარ შეგნებაში ისინი ითქმის ფაიდურესად თავისუფალნი არიან, მაგრამ მათი ნააზრევის შენობები შესდგებიან ცნებებიდან, როგორიც არის სიბრძნე, სამართლიანობა, თავისუფლება, ერთობა — ყველა ეს დაბოლოს მარადია, მაგრამ ცარიელი და მათი ავტორები ყოველ ნაბიჯს იწყებენ თავიდან. ფაქტების ოსტატისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ის სინამდვილეზე შეუმჩნევლად ბატონობდეს. ეს ვითომც და ცოტაა. მაგრამ ნამდვილი თავისუფლება აქედან იწყება.

ეროვნული ბიბ. ბიბ. ს.ს.ს.ر.
საჯარო
ბიბლიოთეკა

საჭიროა იცოდე ყველა გზა, ყველა მისადგომი და მისავალი, რომელიც კი მიგიყვანს ხალხების, თუ კერძო სულების და გრძნობათა მოძრაობასთან.

იმ დიდი ხაზების სწორი დანახვა, რომელიც ზოლებად გაყვანილია, მტკიცე ხელი ყოველი ერთდროული და პირადისათვის, რომლითაც ყოველი უბედურება საუკეთესო გამარჯვებათ შეგიძლია აქციო მოქნილი ხერხით — ეს არის სახელმწიფოებრივი ხელობა. ყოველი გამარჯვების საიდუმლოება არის დაუნახავის და შეუმჩნეველის ორგანიზაცია. ვინც ეს ხელობა იცის, მას დამარცხებულის წარმომადგენელის ხელში შეუძლია გამარჯვებულზე იბატონოს, როგორც მაგ. ტალეირანმა ვენაში. ასე, გასაჭირში ჩავარდნილმა ცეზარმა ლუკიაში პომპეის ძლიერება შეუმჩნევლად თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და ამით პომპეის ძლიერება საბოლოოდ დაასამარა; მაგრამ შესაძლებლობას აქვს ის საშიში საზღვარი, რომელმაც ბაროკოს დამთავრებული დიპლომატების ტაქტი, თუმცა ვერ შესცვალა, მაგრამ იდეოლოგებს ლაზღანდარობის უფლება მისცა. ისტორიაში მრავალია ისეთი მომენტები, სადაც თვით მცოდნე იძულებულია მის მსვლელობას კუდში მისდიოს, რომ ბატონობა არ დაკარგოს. ყველა მდგომარეობას აქვს საკუთარი ელასტიობის საზომი, რომელის გამოყენება შესაძლებელია. ყველა ფაქტად ქცეული რევოლიუცია მაჩვენებელია იმისა, რომ როგორც ხელისუფლებას, ისე მის მოწინააღმდეგეებს პოლიტიკური ტაქტი აკლდათ. ის, რაც აუცილებელია, ყოველთვის თავის დონეზე უნდა მოიყვანო სისრულეში. ამით ხელისუფლება ნდობას მოიხვეჭს და გადაურჩება ისეთი მსხვერპლის მიტანას რაიც ხელისუფლების სისუსტეს აჩვენებს და ზიზღს იწვევს.

უუძლიერესი სახელმწიფო კაცის გავლენა პოლიტიკურ მმართველობის მეთოდებზე ერთობ ძნელია და ამის შესახებ ის შეცდომაში არ უნდა შევიდეს. მისი მოვალეობა მოცემულია ისტორიული ფორმით და მან ამ ფორმაში უნდა იმუშავოს. მხოლოდ თეორეტიკოსებს შეუძლიათ იდეალური ფორმების გამონახვით აღტაცებაში მოვიდენ.

პოლიტიკური „ფორმიანობისათვის“ კი საჭიროა უალრეს, ცოდნა ყველა უახლესი საშუალების. აქ ამორჩევა არ შეიძლება. საშუალებანი და მეთოდები მოცემულია განსაზღვრულ დროში და ეკუთვნიან განსაზღვრულ დროის შინაგან ფორმას. ვინც მას ვერ მიხვდება, ვინც თავის ტაქტს მათ მიმართ დაკარგავს, ის დარჩება ხელცარიელი. არისტოკრატიის საშიშროება იმაშია, რომ ის მეტად კონსერვატორიულია საშუალებათა ამორჩევაში. დემოკრატიის საშიშროება კი — ფორმულის და ფორმის ერთი მეორეში არევ-დარევაშია. თანამედროვეობის საშუალებები კიდევ ბევრი წლებისათვის არის პარლამენტარული: არჩევნები და პრესსა. შეგიძლიათ მათ შესახებ ისეთი აზრის იყოთ, როგორც გსურთ, გძულდეთ, ან და კიდევ მოგწონდეთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდეთ მათი მოხმარება. ბახმა და მოცარტმა თავიანთი დროის მუსიკალური საშუალებანი საუკეთესოდ იცოდენ. ეს ახასიათებს ყოველგვარ მაღალ ოსტატობას. სახელმწიფო ხელოვნებაც ასეთივეა. ყველასათვის თვალსაჩინო ფორმა, როდესაც სინამდვილეში გადადის უკვე ის აღარაა, რაც ამ ფორმაში იგულისხმება, არამედ მხოლოდ მისი სამოსელი. ამიტომ შესაძლებელია მათი შეცვლა და ამით მოვლენების არსებაში არაფერი არ შეიცვლება; შეიძლება ხელიც არ ახლოთ სინამდვილეს ისე სწეროთ ცნებებისა და კონსტიტუციის ტექსტები და ყველა რევოლიუციონერის და დოქტრინერის სიამაყე ის არის, რომ ისინი ათამაშებენ პრინციპებს, თავისუფლებას და სამართალს და ამით ისტორიის ზედა პირზე დაფარფაშობენ. სახელმწიფო კაცმა იცის რომ საარჩევნო უფლების გაფართოება არაფერს არ ნიშნავს. არსებობს მხოლოდ საარჩევნო ტეხნიკის მოქნილობა. თუ რას აძბობს ინგლისის კონსტიტუცია, ეს უმნიშვნელოა იმ ფაქტთან შედარებით, რომ მისი მოხმარა ინგლისში რამოდენიმე გაბატონებული ოჯახის ხელშია, ასე რომ ედუარდ მე-VII საკუთარი სამინისტროს მინისტრი იყო. რაც შეეხება თანამედროვე პრესას, მეოცნებეს შეუძლია იოცნებობს, რომ ის კონსტიტუციით თავი-

სუფალია, საქმის მცოდნე იკითხავს მხოლოდ: ვის ეკუთვნის ის?

პოლიტიკა ის ფორმაა, რომელშიაც ერთი ხალხის ისტორია მრავალ სხვა ხალხთა შორის მიმდინარეობს. დიდი ხელობაა ის, რომ საკუთარ პოლიტიკას შინაგან ფორმებში შეინახავ და მზად იქნები გარედან მომავალი შემთხვევებისათვის. ეს კანონია არამც თუ ხალხებისა, სახელმწიფოსა და წოდებისათვის, არამედ ყველა ცხოველყოფილი მთლიანობისათვის, თვით უმცირეს ცხოვლისათვისაც არსებობს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლისაგანაც პირველი მეორისათვის არსებობს და არა პირუკუ. ნამდვილი დემოკრატი ეპყრობა მათ, როგორც თვითმიზანს, საშუალო დიპლომატი კი მხოლოდ ფიქრობს მასზე. სწორედ ამიტომ მათი გამარჯვება ყოველთვის ჰაერში ჰკიდია. პოლიტიკის ოსტატი თავს იჩენს საშინაო რეფორმების ტაქტიკაში, ეკონომიურ და სოციალურ საქმიანობაში, საზოგადოებრივი ფორმის თანადროული „სამართლიანობის და თავისუფლების" მოთხოვნის მიხედვით მოქნილობაში. ყველა ეს კი იმ უმაღლესი ისტორიული ფაქტის მიხედვით არის ლირებული, რომ არც ერთი ხალხი მარტო არ არის ამ ქვეყნად და რომ მისი მომავალი მარტო საშინაო წესებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვა ხალხებისა და ძალების ძალთა განწყობილებაზე. რადგანაც ჩვეულებრივი ადამიანის ხედვა ასე შორს არ სწვდება, ამიტომ გამოდის მმართველი უმცირესობა, რომელშიაც [1]) სახელმწიფო კაცი თავის მიზნების განსახორციელებლად საშუალებას ჰპოულობს. ყოველივე კულტურის წინა პოლიტიკა მოცემულია მტკიცე ფორმებში. ყოფა ჩამოყალიბებულია პატრიარქალურ სახეებად; დედამიწის პირობები ისე მკაცრია, ბატონყმობა და წოდებათა სახელმწიფო მთლიანი სიცოცხლის ფორმებისათვის

---

[1]) იმის ხაზის გასმა საჭირო არ უნდა იყოს, რომ ეს არისტოკრატიული ხელისუფლების პრინციპში კი არ არის, არამედ ხელისუფლების საერთოდ. მასების არც ერთი ნიჭიერი ბელადი არ ეპყრობოდა თავის მოვალეობას სხვა გვარად, არც კლეონი, არც რობესპიერი, არც ლენინი.

ისე თავის თავად გასაგები რაიმე არის, რომ ჰომეროს და გოტიკის დროის პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისთავად მოცემული ფორმების ფარგლებში ტრიალებს. ეს ფორმა, ასე ვსთქვათ, თავისთავად იცვლება. და რომ ეს რომელიმე პოლიტიკის ამოცანა არის ამის შეგნებამდის თითქმის არავინ არ მიდის. მაშინაც კი, როცა რომელიმე სამეფო ლაინგრევა და აზნაური ნაკაცარად გადაიქცევა. არსებობს მხოლოდ და მხოლოდ წოდების პოლიტიკა. კაიზერის, პაპის, ვასალის პოლიტიკა. სისხლი, რასსა ლაპარაკობს ამ ცხოველ და ნახევრად შეგნებულ მოქმედებიდან: თვით ხუცესი, რამდენად ის პოლიტიკას ეწევა, მოქმედობს, როგორც რასსიანი ადამიანი. სახელმწიფოს „პრობლემებს" ჯერ კიდევ არ გაუღვიძებიათ.

ფაქციის ბუნებას შეადგენს ის, რომ მას არ ახასიათებს აზრი: საგნების და საქმეების წყობილება გეგმამწყობრად იცვლება. მას სურს მხოლოდ მისთვის მოცემულ წყობილებაში მოიპოვოს პატივი და ლირსება, ძალაუფლება და სიმდიდრე, ისე როგორც ყოველ ცხოველ-ყოფილს და მოზარდეს სურს ეს. ესაა ჯგუფები. რომლებიც ნათესაობაში, პატივში, ერთგულობაში და რაღაც მისტიურ კავშირში ერთი-მეორესთან დიდ ისტორიულ როლს თამაშობენ და იდეების კი არაფერი არ გაეგებათ.

მდგომარეობა იმ წამსვე შეიცვლება ის, რა წამს დიდი ქალაქების ზრდასთან ერთად ხელისუფლებას არაწოდებრივი ელემენტი ე. ი. ბურჟუაზია დაეპატრონება. ახლა უკვე პოლიტიკური ფორმა არის გამხდარი ბრძოლის საგნად და პრობლემათ.აქამდის ის მწიფდებოდა, ახლა ის უნდა შეიქმნას. პოლიტიკა არამც თუ ცნების საგნად შეიქნება, არამედ თვით ცნება არის. სისხლის და ტრადიციის საწინააღმდეგოდ აღმდგარია სული და მისი მეგობარი — ფული. ორგანიულის ადგილს იჭერს ორგანიზაცია, წოდების ადგილს — პარტია. ყოველი პარტია არის თავების კრებადობა და არა რასსის მკვნარე. ამიტომ იგი სულიერათ უფრო ძლიერია, ვიდრე ძველი წოდება. მაგრამ ინსტიქტით მასზე უფრო ღარიბი. პარტია შეურიგებელი მტერია ყოველივე აღმოცენებულ წოდებრივ და-

ყოფის, რომლის უბრალო აღმოცენება მის ბუნებას — სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს. ამიტომ არის სწორედ, რომ პარტიის ცნება ყოველთვის უარისმყოფელ, დამნგრევ და დამშლელ თანასწორობის ცნებასთან ერთად ჩნდება. წოდების იდეალების ადგილს პროფესიის ინტერესი იჭერს. ასპარეზზე გამოდის მეორე ნეგაციის ცნება, — თავისუფლება; ყველა პარტიები წმინდა ქალაქური მოვლენა არის. ქალაქის სოფლიდან განთავისუფლებასთან ერთად წოდების პოლიტიკის ადგილს პარტიის პოლიტიკა იჭერს. ეგვიპტეში ეს დრო დაიწყო საშუალო სახელმწიფოების ბოლოდან, ჩინეთში — მებრძოლი სახელმწიფოების გაჩენიდან, ბაღდადში და ბიზანტიაში — აბასსიდების დროიდან.

დასავლეთ ევროპის ქალაქებში შეიქმნენ პარლამენტალური სტილის პარტიები, ანტიური ქვეყნის ქალაქის სახელმწიფოებში—ფორუმის პარტიები და მაგიური სტილის პარტიებს ჩვენ ვნახულობთ შავალში და თედორე სტუდიონის ბერებში.

ამ **არა წოდებას** ახასიათებს ის, რომ, ისაა წოდების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის მთლიანობა, რომლის მოწინავე უმცირესობა („განათლება და გამდიდრება") გამოდის როგორც პარტია, რომელსაც აქვს პროგრამა გამარტებული და არა განცდილი მიზნებით, და რომელსაც ახასიათებს უარისყოფა ყოველივე იმისა, რისი ათვისებაც აზროვნებისა და გონების მიერ შეუძლებელია. ამიტომ სწორედ ერთად ერთი პარტია არსებობს ბურჟუაზიის — ლიბერალური. ის უთანასწორდება ახალ „ხალხს". მათი მოწინააღმდეგე წმინდა წოდებები—„აზნაური და ხუცესი" არიან „ხალხის" მტრები და მოღალატენი; მათი შეხედულობა არის „ხალხის ხმა" და ამ ცნებებს პარტიულ პოლიტიკის ყველა საშუალებებით, ფორუმის სიტყვით, დასავლეთის პრესით და სხვ. უმყნიან ხალხს სისხლში და ხორცში.

მთავარი წოდება არის აზნაური და ხუცესი. მთავარი პარტია კი არის ფულის პარტია, სულის და დიდი ქალაქის ლიბერალური პარტია. ყველა კულტურისათვის ამ ორში

არის არისტოკრატიის და დემოკრატიის ცნება გამართლებული. არისტოკრატიულია ქალაქის სულის სიძულვილი, დემოკრატიულია — გლეხის და სოფლის სიძულვილი. ეს არის წინააღმდეგობა წოდებისა და პარტიის პოლიტიკას შორის, წოდების განცდასა და პარტიულ შეგნებას, რასასა და ფულს, ზრდასა და კონსტრუქციას შორის. არისტოკრატიულია დამთავრებული კულტურა, დემოკრატიული — მსოფლიო ქალაქში წარმოშობილი ცივილიზაცია, და ეს წინააღმდეგობა დარჩება მანამდის, სანამ ორივეს ადგილს დაიჭერს ცეზარიზმი. ისე როგორც აზნაური წმინდა და ნამდვილი წოდება არის, ასე არ შეუძლია აზნაურს როდესმე იგრძნოს თავის სისხლში პარტია.

რომში ტრიბუნების დაარსებიდან (471) მათთვის კანონმდებლობითი უფლებების ჩაბარებამდის (287 წ. რევოლიუციაში) პატრიციები და პლებეები არსებითად იბრძოდენ ისე, როგორც წოდება. ამ დროიდან კი ამ წინააღმდეგობას გენეალოგიური მნიშვნელობაღა შერჩენია და მათ ადგილს ვითარდება პარტიები, რომლის სახელი შეიძლება ლიბერალები და კონსერვატივები ყოფილიყო: ფორუმზე ტონის შემქნელი „პოპულუს" (ხალხი) და სენატში მოკალათებული ნობილიტეტი (აზნაურობა) მმართველ არისტოკრატიის სახელმწიფო საბჭოთ. პუპულუს ახლო იდგა მსხვილი ფულის პატრონები, აზნაურობასთან კი-გლეხობა. შეხედეთ თქვენ იქ გრაკხებს და მარიუს, აქ-კი ფლამინიუს და ხელად შეამჩნევთ, რომ ძველი კონსულების და ტრიბუნების შეცვლილ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ისინი ალარ არიან პირველი და მესამე წოდების რწმუნებელნი, არამედ ისინი უკვე გამხდარან პარტიის წარმომადგენელნი. ორი პარტია არჩევნებში აყენებს თავის კანდიდატებს და დემაგოგიის ყველა საშუალების მოხმარებით ცდილობს გააკეთოს საკუთარი საქმე და თუ ფულმა არჩევნების დროს ალარ გაიმარჯვა, მაშინ ის არჩეულთა მიმართ მაინც გაიმარჯვებს.

ინგლისში მე-19 საუკუნის დასაწყისში Torie და Whigs-ის საშუალებით ჩამოყალიბდენ პარტიები, ფორმის მიხედვით გაქალაქდენ, საქმით ლიბერალური პროგ-

ჩამაბა მიიღეს, რასაც რასაკვირველია. საზოგადოებრივი აზრი სულ არ შეუწუხებია. სწორეთ ამ ოსტატურ და თავის დროზე მომხდარ გადახრით გადაურჩა ინგლისი საფრანგეთის მაგალითს, სადაც 1789 წელს წოდების მტერი პარტია წარმოიშვა. თუმცა პალატის წევრები შეიქმნენ გაბატონებული ნაწილის მიერ ხალხისადმი მიგზავნილი შუაკაცები. მეთაურები დარჩა ისევ იმავე ხელში, ვისაც ის წინათ ჰქონდა და 1830 წლიდან ხმარებული ტერმინები: კონსერვატორი და ლიბერალი, ნიშნავს მხოლოდ მეტს და ნაკლებს და არა „„ჰო, ან არას". სწორედ ამავე წლებში გერმანიის ლიტერატურაში წინედ არსებული თავისუფლების ჰანგები პარტიულ შევნებად გარდაიქცა (ორგანიზაცია „ახალგაზრდა გერმანია") და ამერიკაში პრეზიდენტი იაკზენის დროს რესპუბლიკანურ პარტიის გვერდში დემოკრატიული გაჩნდა. და დებულება, რომ არჩევნები ანგარიშია და სახელმწიფოს მოღვაწენი კი გამარჯვებულების ნადავლი — ყველას მიერ ცნობილ ფორმულად გადაიქცა.

მაგრამ **მოხელისუფლე უმცირესობის ფორმა წოდებიდან პარტიის გზით შეუჩერებლად ვითარდება კერძო პირის მიმდევრებამდე.** დემოკრატიის უკანასკნელი დღეები და მისი ცეზარიზმად გარდაქცევა იმით ხასიათდება, რომ არა მარტო მესამე წოდების ლიბერალიზმის პარტია ჰქრება, არამედ ჰქრება პარტია როგორც ფორმა. პარტია როგორც ასეთი, პარტიული შევნება, ხალხის მიზანი, პარტიული პოლიტიკის აბსტრაქტი იდეალები და მათ ადგილს იჭერს კერძო პოლიტიკა, ე. ი. შეუჩერებელი ძლიერების ნება, რომლითაც დაჯილდოვებულია მხოლოდ რამდენიმე ჯიშიერი კაცი.

წოდებას აქვს ინსტიქტი, პარტიას აქვს პროგრამმა, მიმდინარეობას ჰყავს ბატონი. ამ გზით წავიდა პატრიცი და პლებეი, გაიარა ოპტიმატები და პოპულიარები და მივიდა პომპეისთან და ცეზართან. პარტიის ბატონობის ეპოქა ყველა დროსათვის განსაზღვრულია რაღაც ორასი წლით და ჩვენთვის ის მსოფლიო ომს შემდეგ ყოველ წუთში დაღუპვის გზას ადგია. დებულება, რომ ამომრჩევლების,

მთელი მასსა, თავისი სურვილით თავის წარმომადგენელს თავისი საქმისათვის პარლამენტში გზავნის — როგორც ეს გულუბრყვილოდ სწერია ყველა კონსტიტუციაში — მანამდე რჩება ძალაში, სანამ გარკვეული ჯგუფების ორგანიზაცია კიდევ შეუძლებელია. ეს ასე იყო 1789 წლის საფრანგეთში, გერმანიაში 1848 წელს. შეიკრიბება თუ არა რომელიმე ნამდვილი კრება, ხელად საჭირო შეიქნება ტაქტიური მთლიანობის შექმნა და ამ ღდიდან ეს არჩეულები თავიანთ თავს ამრჩევლების საყვირათ კი აღარ გრძნობენ, არამედ ყოველ ღონისძიებას მიმართავენ, ამრჩევლები საკუთარი სურვილების მიხედვით ამუშაონ. ის მიმართულება ხალხში, რომელიც ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა, ორგანიზაციის იარაღად იქცა და ამ გზას აგრძელებს მანამდე, სანამ თვით ორგანიზაცია მეთაურების იარაღად არ გახდება. სიძლიერისაკენ მისწრაფება თეორიაზე უფრო ძლიერია. დასაწყისშია მეთურობა. შემდეგ წარმოიშობა აპარატი პროგრამის გულისათვის. შემდეგ მას იკავებენ მათი პატრონნი, რასაკვირველია, უფლების და მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, რაც დღეს, — როდესაც ათასები და ათი ათასები პარტიის აპარატში თავს იჩენენ, — ნათელია. ბოლოს კი მეხსიერებიდან ჰქრება პროგრამა და აპარტი მუშაობს ავტომატიურად.

ეს დემოკრატიის გაკოტრება კი არ არის, არამედ მისი აზრი და აუცილებელი შედეგი. გულუბრყვილო იდეალისტების ჩივილი მათი ოცნების დანგრევის შესახებ მხოლოდ სიბრმავის მაჩვენებელია, რაიც მათ საშუალებას არ აძლევს დაინახონ და გაარჩიონ ის შეურიგებელი სხვაობა, რაიც ჭეშმარიტებასა და ფაქტს შორის არსებობს.

პოლიტიკურ-სოციალური თეორია აუცილებელი საფუძველია პარტიულ პოლიტიკისათვის. დიად მწკრივს რუსსოდან მარქსამდე ანტიურ ქვეყანაშიაც ჰყავს თავისი ორეული — სოფისტებიდან პლატონამდე და ძენონამდე. ჩინეთში შეგვიძლია ამის მსგავსი სწავლა კონფუციანურ და ტაოაისტურ ლიტერატურაში ვნახოთ, საკმარისია მხოლოდ სოციალისტი მოჰ დავასახელოთ, ბიზანტიის და

არაბეთის ლიტერატურაში, სადაც რადიკალიზმი მკაცრ სარწმუნოების ფორმებს ღებულობს, მათ მე-9 საუკუნეში ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეგვიპტეში და ინდოეთში მათ არსებობას ბუდდას და ჰიკსოს დრო ამტკიცებს. ლიტერატურული დამტკიცება მათ არ სჭირიათ, ბოლოს გვხვდება ე. ი. ისლამში და ინგლისურ, ამერიკულ ქრისტიანობა'ში, ისეთივე საშუალებაა, როგორც საუკეთესო ლიტერატურა.

„ჭეშმარიტია", თუ „მცდარი" მოძღვრება ამას ქვეყნის პოლიტ. ისტორიისათვის არავითარი აზრი არა აქვს. მარქსიზმის „დამარცხება" ეს აკადემური კამათის საქმეა, სადაც რასაკვირველია თვითეული, სრულს სიმართლეს ამბობს და ყველა დანარჩენი სიცრეცეს. სინამდვილეში საქმე ამაში კი არ არის, არამედ იმაში, გააჩნია თუ არა მას მოქმედება და გავლენა.. ჩვენ ვიმყოფებით გონების სიძლიერის უჩვეო რწმენის ეპოქაში. დიდი ზოგადი ცნებები — თავისუფლება, სამართალი, კაცობრიობა, პროგრესი და სხვა, არის წმინდათა წმინდა. დიდი თეორიები არის სახარება. რწმენის სიძლიერე საფუძვლებზე კი არ არის დაყრდნობილი, — (ცხადია რომ რომელიმე პარტიის მასსას არც კრიტიკული ენერგია, არც ცოდნა და არც დრო არ გააჩნია ყველა ამ პრინციპების გადასაშინჯავად) — არამედ ის დაყრდნობილია ლოზუნგების საკრამენტალურ კურთხევაზე. ყოველ შემთხვევაში ეს გატაცება რჩება დიდი ქალაქის მცხოვრებთ შორის და ეს რაციონალიზმი და „განათლებულების რელიგიაც" აქვე. გლეხობას საკვესებით არ ეხება ეს ამბავი. ქალაქის მასსას კი — რომელიმე განსაზღვრულ დროში და მას აქვს მასზე ახალი აპოკალიპსის გავლენა.

მაგრამ სწორედ ამათი წიგნები, როგორც რუსოს „Contral social" და „კომუნისტური მანიფესტი" ძლიერი კაცების ხელში, რომლებიც პარტიის რიგებში გაჩნდებიან და გაბატონებული მასის შეგნებით მოქმედობენ და მათ ხმარობენ — იქცევა ძლევამოსილების საუკეთესო იარაღათ.

ყველა ამ აბსტრაქტ იდეალებს აქვთ ძალა რალაც ორასი წლის მანძილზე, ისე როგორც პარტიულ პოლიტიკას. ეს იდეალები დაბოლოს დამარცხებული კი არ იქნება, არამედ მოსაწყენი. და ბოლოს უკუვაგდებთ არა ამა თუ იმ თეორიას, არამედ თეორიას საერთოდ და ამით მე-18 საუკუნის ოპტიმისტურ აღდგინებასაც, რომელსაც უხეში ფაქტების გაუმჯობესება ცნებების საშუალებით სურდა. როცა პლატონი და არისტოტელე ანტიურ კონსტიტუციაზე მსჯელობდენ, ბჭობდენ და უკეთეს და უმშვენიერესს დაეძებდენ მათ უსმენდა მთელი ქვეყანა და როდესაც პლატონმა თავისი იდეოლოგიური რეცეპტის მიხედვით სირაკუზის გადაკეთება დაიწყო,—ამან საბოლოოდ დაანგრია ეს ქალაქი. იაკობინელების თავისუფლების და ერთობის ფანატიზმმა საფრანგეთი დირექტორიუმის შემდეგ ჯარის და ბირჟის სათარეშო ასპარეზად გადააქცია, ასე როგორც ყოველი სოციალისტური აჯანყება კაპიტალიზმს აძლევს ახალი განვითარების საშუალებას.

ნულარავის გაუკვირდება ის, რომ თეორიების ეპოქა უკვე დამთავრებულია ლიბერალიზმის და სოციალიზმის დიდი სისტემები წარმოშობილია 1750-1850 წ-ში. მარქსის სისტემა დღეს უკვე ერთი საუკუნეა სცოცხლობს და დღემდე მის მეტი სისტემა ალარ შექმნილა. შინა ბუნებით ე. ი. თავისი ისტორიის მატერიალისტური ახსნით, ის არის რაციონალიზმის დასრულება და ამიტომ მისი დასასრული საერთოდ. ვინც შეადარებს იმ თავგანწირვას, რაც რუსოს იდეებმა საფრანგეთის რევოლიუციაში ჰპოვეს სოციალისტების საქციელთან [3]) 1918 წელს, ის ნათლად დაინახავს იმ გზას, რომელზედაც ყველა პროგრამა და პარტიული პოლიტიკა მიდის. რწმენა იდეალებისა და პროგრამის მიმართ ახასიათებდა ბაბუებს, შვილიშვილებისათვის კი ეს იქნებოდა პროვინციალიზმი. სწორედ ამ საშინელი სი-

---

[3]) შპენგლერი აქ გულისხმობს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ 1918 წელს გერმანიის სოც.-დემოკრატიას უეცრად ხელში ჩაუვარდა სახელმწიფო ხელისუფლება, მაგრამ მან ის მეორე დღესვე, „ზრდილობიანათ“ უკან დაუბრუნა ბურჟუაზიას.

მთარგმნელი.

ხილისა ქენჯნა და სულიერი კრიზისისაგან ნელ ნელა ახალი საწყმუნოება და სათნოება იბადება, რომელიც. შორეულ ქვეყნების ძებნაში იმედ დაკარგული, თავის გამოსავალს ე. წ. მეორე რელიგიაში ეძებს.

ეს არის დემოკრატიის დიდი ფაქტორის სადაო ნაწილი. საჭიროა განვიხილოთ მისი მეორე ნაწილიც ე. ი. მისი რასიულობა. დემოკრატია ოცნება, ან ქალალდის ნაგლეჯი იქნებოდა, რომ მის ბელადებში ნამდვილი ბატონები არ იმალებოდნენ, რომლებისათვის ხალხი მხოლოდ ობიექტია. იდეალების საშუალებაა, სულ ერთია ამას ისინი შეგნებულად გრძნობენ, თუ არა.

დემოკრატიის გზას სწორედ ის ახასიათებს, რომ სახალხო კონსტიტუციების შემომქმედნი მათი გეგმების ფაქტიურ გავლენას ვერ გრძნობენ, ეს არ უგრძვნია „სერვიანული" კონსტიტუციის ავტორებს რომში და არც პარიზის დამფუძნებელი კრების წევრებს.

კანონსა და პრაქტიკულ ჩვეულებას შორის სუფევს საშინელი და მოუთოგებელი წინააღმდეგობა; ეს პრაქტიკული მოტივი ჩუმათ, მაგრამ ენერგიულად აღმოცენდება ამ ორმა სამარიდან, ის ან დაეუფლება სიცოცხლის ტაქტს, ან და მას საბოლოოდ განშორდება. გამოცდილება მხოლოდ ბოლო დროს გვასწავლის იმ ამბავს, რომ ხალხის უფლება და ამ უფლების მოხმარება ორი სხვადასხვა საქმეა. რამდენად საერთოა საარჩევნო უფლება იმდენად მცირეა ამრჩევლების გავლენა.

დემოკრატიის დასაწყისში მოედანი ეკუთვნის სულს. ქვეყანაზე არაფერი არ არსებობს იმაზე უფრო წმინდა წარმტაცი და უანგარო, როგორც ღამის სხდომა 4 აგვისტოს 1789 წელს, ან და კრება პავლეს ეკლესიაში ქ. ფრანკფურტში, სადაც მთელი ძალაუფლებით ხელში, საყოველთაო ჭეშმარიტების შესახებ მანამდე შეუწყვეტლად ილაყბეს, სანამ სინამდვილის ცალამ ენერგია არ მოიკრიბა და მეოცნებენი გარეთ არ გამორეკა.

მაგრამ ჩქარა გამოცხადდება დემოკრატიის უფრო დიდა ძალა და შეიტყობს, რომ კონსტიტუციის უფლებების მოხმარა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საყოფი ფული

გაქვს. საარჩევნო უფლებით ხალხის სურვილის გამოხატვას კიდევ აქვს რაღაც აზრი მანამდე, სანამ არ შექმნილა მეთაურთა ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად საჭირო ფული არ მოეპოვება. თუ ეს ფაქტორი შესრულებულია, არჩევნებს მხოლოდ და მხოლოდ ცენზორის უფლებაღა შერჩება, ის, რასაც ბრბო კერძო ორგანიზაციებს აწვდის, რომლის შექმნაზე მას უკვე აღარავითარი უფლება არ შერჩენია. აგრეთვე არის უბრალო თეორია თანამედროვე კონსტიტუციის იდეალური უფლება — მასების მიერ წარმომადგენლის თავისუფალი არჩევა, რადგან ყოველი განვითარებული ორგანიზაცია სინამდვილეს თვით ირჩევს და ავსებს. დაბოლოს ელირსება და გაიღვიძებს გრძნობა, რომ საერთო საარჩევნო უფლება სინამდვილეში არავითარი უფლება არ არის, ის არ არის არჩევანი ორ პარტიას შორისაც კი.

ერთი შეხედვით დასავლთის პარლამენტარულ დემოკრატიასა და ეგვიპტის, ჩინეთის, არაბეთის ცივილიზაციებს შორის, რომლებსაც ხალხის საარჩევნო უფლებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვითომც და დიდი სხვაობა არსებობს. ჩვენთვის კი ამ არჩევნების ფორმას იმდენივე ღირებულება აქვს, როგორც წინედ ქვეშევრდომობას. ჰქონდა. იქაც და აქაც იყო მასსა ობიექტი სუბიექტისათვის. თავისუფლება ყოველთვის ნეგატიური ცნება არის. ის ნიშნავს ტრადიციის, დინასტიის, ოლიგარხიის, ხალიფატის უარყოფას. მაგრამ ამ უარყოფის შემდეგაც აღმასრულებელი ძალა ახალი მეთაურების ხელშია, პარტიის ბელადების, დიქტატორების, პრეტენდენტების, წინასარმეტყველების, და მათი ავანჩავანის. ხალხი კი ყოველთვის და ყოველგან დარჩება ობიექტი. „ხალხთა თვით-გამორკვევის უფლება“ ზრდილობიანი გამოთქმა არის, სინამდვილეში კი საყოველთაო საარჩევნო სისტემის შემოღებით არჩევნები საზოგადოდ გაუქმებულია. რამდენათ უფრო ჩქარა დაიშლება წოდების მიერ აზრდილი ფორმები იმდენად უფორმოდ, უსახოდ და უიმედოდ გარდაიქცევა ამრჩეველთა მასსა, იმდენად უფრო დაუქვემდებარებია ის

ახალ ბატონებს, პარტიულ აპარატს, რომელიც ყოველნაირ საშუალებებით ბრბოს თავის ნებისყოფას უკარნახებს, მეთოდებს ასწავლის, რომლისა ბრბოს არც რაიმე ესმის და არც გაეგება და რომელიც საზოგადოებრივ აზრს, როგორც მის მიერ გამობრძმედილ იარაღს, ერთი მეორეს უპირისპირებს. მაგრამ სწორედ ამიტომ რაღაც ურყევი შინაგანი ძალა მიაქანებს დემოკრატიას იმ გზაზე, რომელზედაც ის უკანასკნელად საკუთარ თავის უარისყოფამდე მივა.

მაშინ, როდესაც ანტიურმა ქვეყანამ რომის ფორუმით გამონახა საშუალება ხალხის მასის დასანახავ და მჭიდრო სხეულად გარდაქცევისათვის და ამ მასსას აიძულა მოეხმარა ის უფლებები, რომელიც მეთაურებს სურდათ, — „თანადროულად“ ევროპა-ამერიკის პოლიტიკამ პრესის სახით გამონახა, ძლიერების ისეთი არე, რომლის სულიერი და ფულადი ძლიერება მსოფლიო ყველა კუთხემდის სწვდება, რომელშიაც შებმულია ყველა და ყოველი და იძულებულია ისე იფიქროს, ისე იაზროვნოს, ისე იმოქმეოს, როგორც ეს სადღაც შორს მყოფ პიროვნებას მიზანშეწონილად მიაჩნია. ეს არის დინამიურობა სტიტიურობის წინააღმდეგ; მსოფლიო გზნება აპოლონიური გზნების წინააღმდეგაა მიმართული, — წმინდა და ცხოველყოფილი სინამდვილის წინააღმდეგ მიმართული, მესამე დიმენსიის პათოსი. კაცი აღარ ელაპარაკება კაცს; პრესა და კავშირი, ელექტრონით ამბების გადაცემა, ამხიზლებს ხალხებს და კონტინენტებს დღითი დღე აყრუებს მათ დებულებებით და ლოზუნგებით, შეხედულობებით, რწმენით, სცენებით, გრძნობით და ეს ხდება წლიდან წლამდე ისე, რომ ყოველი „მე“ რაღაც უხილავი სულიერი ძალის ძხოლოდ ფუნქცია-ღა რჩება. ფული თავის პოლიტიკურ გზას ერთი ხელიდან მეორეში კი არ ნახულობს, მას ღვინოთ ან სათამაშოდ კი არ აქცევენ — ის იქცევა ენერგიათ და ის თავისი რაოდენობით განსაზღვრავს მისი ძლიერების ინტენსიობას.

პოლიტიკურ პრესისაგან დამოკიდებულია საერთო სასკოლო განათლების საჭიროებაც. ეს არ ჰქონია ანტიურ

ქვიყანას. ამ საერთო სწავლის პრინციპში დამალულია სურვილი რომ მასსები, როგორც პარტიული პოლიტიკის ობიექტი, ჩააბარონ მოსავლელად გაზეთს. ძველი დემოკრატიის იდეალისტებს ეს ეგონათ განათლება და ის კი არა დღესაც არიან აქა-იქ სუსტი თავები, რომლებიც პრესის თავისუფლებით აღფრთოვანებული რჩებიან და სწორედ ამით იკაფავენ მომავალი მსოფლიო პრესის ცეზარები თავიანთ გზას. ვინც კითხვა შეისწავლა, ის მათი მონა იქნება, და ნაოცნებარი თვითგამოკვეევის ადგილს დაიჭერს ხალხების რადიკალურად „სხვის მიერ გარკვევა“: მათ მიერ, ვისაც დაბეჭდილი სიტყვა ეკუთვნის.

როგორც მოიხმარ ამ იარაღს, ისე იბრძოლებ. გაზეთის ძლიერების დაწყებისას ამ განვითარებას ცენზურამ შეუშალა ხელი; ტრადიციის წარმომადგენლები თავის დაცვას ცდილობდენ და მოქალაქე კი ყვიროდა, რომ აზრის თავისუფლება საშიშროებაშიაო. ახლა კი ბრბო ძალიან მშვიდად მიიზლაზნება თავის გზით; მან ეს თავისუფლება საბოლოოდ მოიპოვა, სინამდვილეში კი მას ებრძვის ძლიერი, რომელმაც პრესსა უკვე შეისყიდა. მკითხველის შეუმჩნევლად იცვლება გაზეთის პატრონი და ამით თვით მკითხველიც. ფული აქაც ბატონობს და თავისუფალ აზრს იმონებს. არც ერთ მეჯოგეს უკეთესად არ უჭირავს ჯოგი თავის ხელში. ხალხს, როგორც გაზეთის მკითხავ ბრბოს, ახსნიან ლაგამს, მოუშვებენ სადავეს და იმტვრევა ფანჯრები, და იწყება ბრძოლა წინასწარ განზრახული მიზნისათვის. ერთი თითის ჩვენებაა საჭრო პრესის მთავარი შტაბიდან, რომ უეცრად კაცთა შორის სათნოება მყარდება, ყველანი დაწყნარებული ბრუნდება სახლში. დღევანდელი პრესსა ეს უდიდესი არმიაა და მას საუკეთესო ორგანიზაცია აქვს. ჟურნალისტი ოფიცერია, ჯარის კაცი კი მკითხველი.. და აქ ის ხდება, რაც ყველა არმიაშია: ჯარის კაცი ბრმად იჯერებს, ომის მიზნების შეცვლა და ოპერაციების გეგმების შედგენა მის დაუკითხავად ხდება. მკითხველმა არ იცის, თუ რა სურთ ყაკეთონ მისი ხელით და არც მოვალეა ეს იცოდეს; მან არ იცის და არც უნდა იცოდეს, თუ რას აკეთებენ. ამაზე

უფრო საშინელი სატირა აზროვნების თავისუფლების შესახებ სწორედ ალარ შეიძლება არსებობდეს. ძველად თავისუფალი აზრონება არ იყო ნებადართული. დღეს ეს ნებადართულია, მაგრამ ალარავის შეუძლია ეს. დღეს მხოლოდ იმის აზროვნება შეიძლება, რაც უსათუოდ უნდა იაზროვნო და სწორედ ეს არის შენი თავისუფლება.

და თავისუფლების მეორე მხარე არის ის, რომ ყველას უფლება აქვს ის ილაპარაკოს, რაც მას სურს; მაგრამ პრესის საქმეა ამას ანგარიშს გაუწევენ, თუ არა. პრესას შეუძლია ყოველივე „ჭეშმარიტებას" სიკვდილი მიუსაჯოს, ის არ ისურვებს „ჭეშმარიტების" გავრცელებას და ეს სიჩუმის საშინელი ცენზურა იმდენად ძლიერია, რამდენად გაზეთის მკითხველი მონა არაფერს ტყობილობს ამის შესახებ. აქ, როგორც ცეზარიზმის მშობიარობის წინ, სჩანს ძველი დრო. მოვლენათა რკალი მზათ არის დაიხუროს. ისე, როგორც ფოლადის და ბეტონის ნაშენში ახალგაზრდა გოტიკის გამოხატულების ნება მხილდება, მაგრამ თავდაჭერილი, ცივი, ცივილიზაციური, ასევე **მხილდება აქ** გოტიკის ეკლესიის რკინის ნების ყოფა და ამას სახელად „დემოკრატიის თავისუფლება" ჰქვია. „წიგნების" ეპოქას მოხსნის გაზეთი და პროპაგანდა. წიგნი პიროვნების სახეა. გაზეთი და პროპაგანდა კი ემსახურება უპიროვნო მიზანს. სქოლასტიკის ეპოქა მსოფლიო ისტორიაში ის განსაკუთრებული სულიერი აღზრდა იყო, რომელიც ქვეყნის კუთხეებიდან არც ერთ წერილს, არც ერთ სიტყვას, არც ერთ აზრს ცოცხალს არ გაუშვებდა, თუ ეს ეწინააღმდეგებოდა მის მაღალ სურვილს. ეს არის სულიერი დინამიკა. ანტიური, ინდიური და არაბული ადამიანი ზიზღით შეხედავდა ამ კომედიას. მაგრამ სწორედ ეს არის ევროპულ-ამერიკული ლიბერალიზმის შედეგი, ისე როგორც რობესპიერი ფიქრობდა: „რევოლიუცია არის თავისუფლების დესპოტიზმი ტირანიზმის წინააღმდეგ". კოცონის ადგილს იკავებს დიდი სიჩუმე. პარტიის მეთაურების დიქტატურა დამყარებულია პრესის დიქტატურაზე. ფულის საშუალებით გაზეთის მკითხველებს ყმობისაგან ანთავისუფლებენ, მაგრამ მათ თავიანთი აზრის მო-

ნებათ ხდიან. აქ იმას ტყობილობენ, რის ცოდნა მათთვის საჭიროა და ერთი მაღალი ნებისყოფა განსაზღვრავს მათ მსოფლმხედველობას. დღეს საჭირო აღარ არის ქვეშევრდომნი აიძულონ სამხედრო სამსახურისათვის, როგორც ამას მაგ. ბაროკკოს თავადები შვრებოდენ. მათ სულს მანამდე ამათრახებენ გაზეთის მეთაურებით, ტელეგრამებით, სურათებით, სანამ ისინი თვით არ მოითხოვენ იარაღს და მაშინ მეთაურები მათ შეიყვანენ იმ ბრძოლაში, რომელიც მათ თვითონ სურთ.

ეს არის დემოკრატიის დასასრული. თუ ჭეშმარიტების ქვეყანაში მთავარ როლს დაჯერება თამაშობს, ფაქტების ქვეყანაში ამ როლს თამაშობს გამარჯვება. გამარჯვება ეს გახლავთ ერთი არსების ნაკადის ტრიუმფი მეორეზე. სიცოცხლემ გაიმარჯვა; მსოფლიოს გადამკეთებლების ოცნება საუკეთესო იარაღია ბატონობისათვის დაბადებულის ხელში. დაგვიანებულ დემოკრატიაში გამოდის რასსა და იმონავებს იდეალებს, ან და დაცინვით გადაისროლის მას საკუჭნაოში. აზროვნება და ამასთან მასების მოქმედება რკინის სალტებით არის გარშემორტყმული. ამისათვის და მხოლოდ ამისათვის ხართ თქვენ მკითხველი და ამრჩეველი, ე. ი. ორმაგი მონა. პარტიები რამოდენიმე მეთაურის მიმზიდველობის ბრბოთ იქცვა და აქ იწყება ცეზარიზმი როგორც ინგლისის მეფობა მე-19 ასუკუნეში, სწორედ ასე მე-20 საუკუნეში პარლამენტი გარდაიქცა სადღესასწაულო ამბების დარბაზად როგორც იქ ტახტსა და გვირგვინს, ისე, აქ — ხალხის უფლებებს, დიდი ცერემონიებით მოიხსენებენ ბრბოს წინაშე; რამდენად უმნიშვნელოა მათი ძალა, იმდენად მეტ ყურადღებას აქცევენ მას ძალა კი დიდი ხანია პარლამენტიდან კერძო ოჯახებში გადავიდა და არჩევნები, როგორც რომში, ისე ჩვენში — კომედიათ გადაიქცა. ფული აწყობს ამ კომედიას და მუშაობენ მისთვის, ვისაც ის აქვს და არჩევნები წინასწარ მოლაპარაკებულ თამაშს ჩამოგავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ხალხი თვითგამორკვევის სახით არ აწყობს. და თუ ერთხელ არჩევნები კანონიერ ფორმაში მომხდარ რევოლიუციას ნიშნავდა, დღეს ამ

ფორმას ძალა გამოლეევია და ფულის პოლიტიკა აუტანელი შეიქნა, მაშინ ხელმეორედ ხდება ის „არჩევნები", რომლის ჩატარებისათვის სისხლიანი ძალა არის საჭირო.

ეს არის მე-20 საუკუნის სტილი. **ძველი ყაიდის დემოკრატი დღეს პრესის თავისუფლებას კი არ მოითხოვს, არამედ განთავისუფლებას პრესის ხელისაგან,** მაგრამ დემოკრატიის მეთაურებმა უკვე მოასწრეს „მოსულებათ" გადაქცეულიყვნენ და დღეს იძულებულნი არიან თავიანთი პოზიცია ბრბოს მიმართ კარგათ გაამაგრონ.

მას შემდეგ, რაც ფულმა სული მოსპო, ფულის საშუალებით დემოკრატია მოსპობს საკუთარ თავს. მაგრამ გაფრინდა რა ოცნება, ვითომც სინამდვილე მარქსის ან ძენონის აზრების თანახმად გადახალისდებოდეს, და შევიტყვეთ რა, რომ სინამდვილის ქვეყანაში ერთ ნებისყოფას სიძლიერისაკენ მხოლოდ მეორე შესცვლის, — ჩვენში ილვიძებს მედგარი ტრფიალი ყოველივე იმისაკენ, რაიც კეთილშობილი ტრადიციით საზრდოობს. შეზიზღებამდე მოწყინდებათ ფულის მეფურნეობა. დარჩება იმედი რალაც გადარჩენის, რალაც რაინდული ტონის და პატივის, რალაც შინაგანი კეთილშობილების და ვალდებულობის. და დაიწყება ახალი დრო, ხელმეორეთ გაიღვიძებს ის რასსიული სისხლის სიძლიერე, რაიც მსოფლიო ქალაქების რაციონალიზმმა ჩაჩრდილა. და ყველა ეს, რამაც შეინახა დინასტიური ტრადიციის ნაშთები, რაც აზნაურობამ მომავალს უანდერძა, ზრდილი, ფულზე ამაღლებული ზნე, ყველა ის, რაიც საკმაო ძალას გრძნობს თავის ძარღვებში, საკმაო შრომის უნარს და სიამაყეს, ყველა ის, რაიც კაპიტალიზმში თავის თავს სოციალიზმს უწოდებდა, ყველა ეს ერთ მშვენიერ დღეს მოიკრიბება და გადაიქცევა სიცოცხლის ახალ ნაკადათ. ცეზარიზმი დემოკრატიზმის ნიადაგზე იბადება, მაგრამ მისი ფესვები აწყვია სისხლის შორეულ ტრადიციაში. ანტიურმა ცეზარმა თავისი ხელისუფლება ტრიბუნატიდან მოიპოვა, თავისი პატივი და გძელობა კი ჰქონდა მას, როგორც მხედარს. აქაც ერთხელ გაიღვიძებს წინა გოტიკის სული: რაინდების ორდენის სული უკუაგდებს ფულის გაუმაძღარ ვაჟკაცობას. მომავა-

ლის ბატონ პატრონებს შეუძლიათ მთელ ქვეყანას, როგორც კერძო საკუთრებას ეუფლონ, მაგრამ მაინც აქვს ამ უფორმო და უსაზღვრო ხელისუფლებას ერთი ამოცანა, რომელიც, წინააღმდეგ ფეოდალის ეპოქის ბატონობისა, მოვალეობის შეგნება, პატივი და ქვეყნისათვის ზრუნვა არის.

და სწორედ ამიტომ აუცილებელია ის უკანასკნელი ბრძოლა, რომელიც უნდა გაიმალოს ფეოდალის მეუფნეობის დიქტატურასა და ცეზარის წესიერების ნებისყოფის შორის, ე. ი. ბრძოლა დემოკრატიისა და ცეზარიზმს შორის.

თარგმანი გერმანულიდან
მ ო ს ე გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ი ს.

რედაქციისაგან.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ოსვალდ შპენგლერის წიგნი **„დასავლეთის დაღუპვა“** შეიცავს ორ ტომს. პირველი ტომი გადათარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზე 1923 წელს კ. მარქსის და ენგელსის ინსტიტუტის პროფესორის ამხ. ა. დებორინის წინასიტყვაობით. შპენგლერის შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლეთის ყველა ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, და ის გადათარგმნილ იქნა თითქმის ყველა ენაზე. ქართულად შპენგლერის შრომა ჯერ თარგმნილი არაა. მხოლოდ შპენგლერის ფილოსოფიის შესახებ ქართულ პრესაში დაიბეჭდა გრ. რობაქიძის, პროფ. შ. ნუცუბიძის და მ. გოგიბერიძის წერილები.

თავის წიგნში შპენგლერი ამტკიცებს, რომ ევროპის კულტურა დაღუპვის გზაზეა შემდგარი და ამ მხრივ შპენგლერი მესაფლავე ხდება თანამედროვე ევროპის ცივილიზაციისა.

შპენგლერის მთავარი დებულება თითქმის მთლიანად ამოწურულია მის პირველ წიგნში. „პოლიტიკის ფილო-

სოფია", რომელიც აქ მცირე შემოკლებით იბეჭდება. არის დედა ნაწილი მისი მეორე წიგნისა. აქაც შპენგლერი არ ღალატობს საკუთარ ფილოსოფიურ შეხედულებას და თავის მთავარ მიმართულებას. აქაც ყოველი სტრიქონი ღალადებს ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების სიკოტრისა და დაშლის შესახებ.

ჩვენთვის, საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთათვის, შპენგლერი-მეცნიერი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის, როგორც ევროპის ბურჟუაზიულ კულტურის ღვიძლი შვილი, თითონვე სპობს და ასამარებს ამ კულტურას ამავე კულტურის მიერ შექმნილი არგუმენტებითა და ფაქტებით. ის, თავის მართლაც რომ განსაცვიფრებელი ერუდიციით, თვალწინ გვიშლის მსოფლიო კულტურათა ისტორიას, რომელნიც წინად არსებობდენ და შემდეგ, ეხება რა თანამედროვე ევროპას, აღიარებს, რომ ამ კულტურამაც მოსჭამა თავისი დრო, ის მობერდა, ამოიწურა, აწ სხვა გამოსავალი გზა უნდა ეძიოს ევროპამ და კულტურის ფორმებიც სხვა-გვარი უნდა შეიქნესო.

და როდესაც საკითხი დგება ამ გამოსავალის შესახებ, აქ იწყება ჩვენი დავა შპენგლერის დებულებებთან, ვინაიდან ის, როგორც ბურჟუაზიულ კულტურით დატვირთული მოაზროვნე, ანგარიშს ვერ უწევს იმ ახალ ძალას, რომელიც მოდის მსოფლიოში ახალი კულტურის და ახალი ურთიერთობის დასამყარებლად — მუშათა კლასს.

ვინ დაიჭერს თანამედროვე გადაგვარებული ბურჟუაზიის ადგილს მსოფლიოში და, მაშასადამე ვინ მოექცევა სათავეში ახალ კულტურას? ჩვენთვის არაა სადაო, რომ ეს იქნება პროლეტარიატი, მშრომელი კლასი. და იქნება არა დემოკრატიის სისტემაში მოქცეული, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის ნიშნის ქვეშ. ჩვენთვის ცხადია, რომ დღეს ქვეყნიერების ერთი მეექვსედი, რომელიც ამ სისტემაშია მოქცეული, როგორც სახელმწიფო და როგორც მასსა წარმატებით იბრძვის ამ იდეის გაშლისა და გამარჯვებისათვის. ხოლო დანარჩენ ქვეყნებში პროლეატრიატის ძალა თანდათან მკლავ-მაგარი ხდება

და დღითი-დღე ანგრევს კაპიტალისტურ ურთიერთობაზე აშენებულ კედლებს.

შპენგლერი ჩვენ გვეუბნება, რომ ევროპის კულტურა იღუპება და, რომ მისი საშველი არ არის. გვეუბნება იმასაც, თუ რატომ იღუპება და რატომ აუცილებლად დაიღუპება იგი. ეს დღემდე ბევრს მიაჩნია სადაოდ და ამ მხრივ შპენგლერის აზრი საჭირო და საინტერესოა.

ხოლო, თუ ვინ უნდა დაეპატრონოს მსოფლიოს ბურჟუაზიული ურთიერთობის კატასტროფის შემდეგ — ეს ჩვენ კარგად ვიცით და აქ შპენგლერის დასკვნები ჩვენთვის არამც თუ სადავოა, — ისინი ჩვენთვის არ წარმოადგენენ საჭიროებას და რაიმე ინტერესს.

მაგრამ, როგორც ნიმუში ევროპის დეკადანსის მიერ მოცემული ფილოსოფიისა, — შპენგლერის აზრები მაინც არაა ინტერესს მოკლებული და ამ თვალსაზრისით რედაქცია აქვეყნებს ქვევით მოთავსებულ ნაწყვეტს „ევროპის დაღუპვის“ მეორე ტომიდან.

ა. ლუნაჩარსკი.

ილიჩ ჭლასიკების შესახებ.

რამდენიმე თვის წინად „Комсомольская Правда“-ს „რედაქციის თხოვნით მე გამოვაქვეყნე იქ წერილი—„იკითხეთ კლასიკები“. ამ წერილმა როგორც სჩანს. დააინტერესა კომკავშირელთა და მუშათა კლასის მოწინავე წრეები, ვინაიდან მის გამო მე მივიღე რამდენიმე წერილი. ამ წერილებში ზოგს პოლემიკური ხასიათი ქონდა და მათი ავტორები სცდილობდენ უარეყოთ კლასიკური ხალხოსნური ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა იმ ახალი საზოგადოებისათვის, რომელსაც ესაჭიროება მეტი კულტურა პროლეტარულ ლიტერატურის იმ ჰეგემონიისათვის, რომელიც დასახული იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, ცნობილ რეზოლიუციაში. კიდევ კარგი, რომ ამ წერილებში პოლემიკური ტონი მჭლავნდება, როგორც მხოლოდ ერთგვარი გაუგებრობა სავსებით გამართლებული მდგომარეობით. ასე, მაგალითად ერთი კომკავშირელი სწერს: „კლასიკების ნაწერებში უმთავრესად აწერილია მებატონეთა და ბურჟუაზიის ცხოვრება, რომელიც ჩვენთვის უცხოა. ცხოვრება ძლიერ შეიცვალა. ყველაფარი რასაც კითხულობ მათ ნაწერებში, არა ჰგავს იმას, რასაც ეხლა ხედავ და ამიტომ მოსაწყენია მათი კითხვა“.

თუმცა, რა თქმა უნდა, კლასიკებისა და განსაკუთრებით ნაროდნიკების ნაწერებში მარტო მებატონეებსა და ბურჟუაზიაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ უნდა ვთქვა. რომ ასეთ განცხადებას მე ვისმენ მაინც არა პირველად. მე მახსოვს, ერთმა მეტად ნიჭიერმა მუშა-ინტელიგენტმა, რომელიც ჩემთან ერთად იყო გადასახლებული ვოლოგ-

დაში, ვერ შესძლო ბოლომდე წაეკითხა „ანნა კარენინა“, ის ამ რომანს სთვლიდა მეტის მეტად მოსაწყენ ნაწარმოებათ.

უარესია, როცა კლასიკების კითხვის რჩევის საწინააღმდეგო დავაში მჟღავნდება „კომ-ყოყოჩობა“ და აშკარა გადახვევა ლენინის ხაზიდან, ლენინის რჩევებისაგან, რომელიც ჩვენმა დიდმა ბელადმა დაგვიტოვა თავის ცნობილ სიტყვაში კომკავშირისადმი.

ამასვე აცხადებს მეორე კომკავშ., რომელიც სწერს ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდობის მთელი ჯგუფის სახელით და აყენებს შემდეგ დებულებას: „კლასიკების ლიტერატურა არის ძველი ლიტერატურა, ლიტერატურა ძველი კლასების. ისინი დამარცხდნენ და ჩაჰბარდნენ ისტორიას. ახალი გამარჯვებული კლასი ქმნის ახალ ლიტერატურას, რომელიც იმდენად მაღლა სდგას ძველზე, რამდენადაც ახალი წესწყობილება მაღლა სდგას ძველზე“. აქ ძლიერ მკაფიოდ არის გამოთქმული ერთი გაუგებრობა, რომლის წინააღმდეგ ხშირად გვაფრთხილებდა ლენინი. რა თქმა უნდა, ჩვენი წესწყობილება ეხლაც კი მაღლა სდგას, ვსთქვათ, ინგლისისაზე, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენი ინდუსტრია მაღლა სდგას ინგლისის ინდუსტრიაზე, — აშკარა უაზრობაა. ამის ახსნა-განმარტება საჭირო არ არის. ეს ყველასათვის ცხადია.

გადავალ ეხლა დადებითი ხასიათის წერილებზე, რომლებმაც მე უფრო დამაინტერესა.

ერთი, როგორც სჩანს, ფრიად დაფიქრებული ახალგაზრდა მწერს: „თქვენი მოწოდება კლასიკების შესწავლისა და კითხვის შესახებ ძლიერ სწორია, მაგრამ როგორ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. ეს ხომ დიდი ლიტერატურაა, მთელი წიგნთსაცავია. და ახალგაზრდობას რომელიც მუშაობს ქარხანაში, ან სხვაგან და მასთან ერთად აქვს საზოგადოებრივი ვალდებულებანი სადა აქვს ამდენი დრო. კითხვისათვის ძლიერ ცოტა დრო რჩება. ხომ უნდა ვიკითხოთ მიმდინარე პოლიტიკური ლიტერატურა, გაზეთი. და რაც მნიშვნელოვანი არ უნდა

იყვნენ ჩვენთვის კლასიკები, პირველად ყოვლისა ჩვენ თანამედროვე ლიტერატურა უნდა ვიკითხოთ, თუ ის ჩვენ არ წავიკითხეთ, მაშ, ვისთვის იწერება ის, მომავალი თაობისათვის ხომ არა? ამას იმიტომ კი არ ვსწერ რომ უარვყო თქვენი რჩევა, არამედ იმიტომ, რომ ამ საქმეში კომკავშირელს სჭირდება დახმარება. საჭიროა ჩვენება საიდან დაიწყოს კითხვა, რომელი მწერლობა წაიკითხოს, რა და რა ნაწარმოები და აგრეთვე საჭიროა დახმარება წინასიტყვაობათა და დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, რომ გაერკვეს მკითხველი. განა არ შეიძლება შედგენილ იქნას ძველი ლიტერატურიდან უფრო აუცილებელი წიგნების სია? შესაძლოა ცალკედაც გამოიცეს ბიბლიოთეკა და თან დაერთოს, რაც საჭირო იქნება ამისათვის, რომ წაკითხვა იქნეს უფრო ადვილი და გასაგები"?.

ასეთივე შინაარსი აქვს ჩემ მიერ მიღებულ სხვა წერილებსაც, მათ შორის ორი წერილია მუშებისაგან, რომელნიც აგრეთვე ამბობენ, რომ უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებნი ძველი მწერლობისა უნდა ხელ-ახლად გამოიცეს ახალი მკითხველისათვის შესაფერისი წინასიტყვაობებითო. ერთ წერილში გამოთქმულია ასეთი სწორი აზრი, რომელიც ხვდება დაფიქრებული კომკავშირელის აზრს: „ყველაზე უფრო ნამდვილი ახალი მკითხველი მუშა არის. მას ეხლა მეტი დრო აქვს და შეუძლია იკითხოს, მაგრამ ის უნდა კითხულობდეს დიდი გადარჩევით. მას არ შეუძლია, როგორც რომელიმე სწავლულ კრიტიკოსს, წაიკითხოს ყველაფერი, რაც დაუწერია მწერლებს მრავალ ათეულ წლების განმავლობაში".

რა პასუხი უნდა გავსცე ამ შენიშვნებს.

მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ამ შენიშვნების ავტორებს უპასუხოთ — „რომ საჭიროა კლასიკების რჩეულ ნაწარმოებთა კითხვა. თუნდაც რომ, ჩემი კორესპოდენტების სურვილის თანახმად, შედგენილ იქნას სია იმ ლიტერატურისა, რომელსაც ჩვენ ვსთვლით ნამდვილ ლიტერატურულ ბულების მქონე კლასიკურ ხალხურ ლიტერატურად მაშინაც კი შესდგება „მთელი წიგნთსაცავი", რომელიც ასე აშინებს კომკავშირელებს. მართალია უკანასკნელ

ხანში გამოვიდა რამდენიმე ქრესტომატია. ერთი ჩემი კორესპონდენტთაგანი უთითებს მასზე და ამბობს, რომ, იქნებ შესაძლოა კრებულისა და ქრესტომატიების საშუალებით გავეცნოთ ლიტერატურასო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს აზრი სწორი არ არის. მე არ უარვყოფ კარგათ შედგენილ ქრესტომატიების სარგებლიანობას, მაგრამ, პირველ ყოვლისა, თუ ის კარგად არის შედგენილი გამოდის საგრძნობი ზომის 2 — 3 ტომი ან თუ არა 4 ტომიც. მათი გაცნობა თხოულობს აგრეთვე ბევრ დროს და მეორე მხრივ, ქრესტომატიებში კითხვა ნაწყვეტებათ ძლიერ მოსაწყენია და მესამე ის არის რომ ქრესტომატიები, რა თქმა უნდა ვერ იძლევიან სრულ წარმოდგენას იმ მწერლებზე (და უმრავლესობა ასეთები არიან), რომელნიც სწერდნენ დიდ ნაწარმობებს, და არა პატარა მოთხრობებს.

ამოცანა რომელსაც აყენებს ჩემი კორესპონდენტები, ჩემის ფიქრით, სწორია, და რაც მე განსაკუთრებით მომეწონა ამ წერილებში, ეს არის შეხვედრა, რომელიც არსებობს ამ კითხვებსა და იმ გეგმის შორის, რომელიც ლიტერატორთა ჯგუფმა ჩემის მონაწილეობით უკვე შეიმუშავა და შეუდგა განხორციელებას. ლაპარაკია სწორედ ბიბლიოთეკის გამოცემაზე, უმთავრესად, რუს, მაგრამ აგრეთვე მსოფლიო კლასიკებისაც. ბიბლიოთეკას ამიტომ მიეცა სახელწოდება: „რუსი და მსოფლიო კლასიკები". გამოცემის აზრი მდგომარეობს მასში, რომ შედარებით არა ვრცელ ტომებში, რომელიც არამც და არამც არ უნდა აღემატებოდეს 20 ნაბეჭდ ფურცელს, შედარებით იაფ ფასებში (არა უძვირეს მანეთისა) მიაწოდოს საზოგადოებას კრებულები, რომლებშიაც მოთავსებული იქნება ამა თუ იმ დიდი მწერლის რჩეული ნაწერები. ამასთან დასახულ იქნა მიზნად, რომ გამოცემული ყოფილიყო არა ნაწვეტები არამედ მთლიანი ნაწარმოებნი. იმ შემთხვევაშიაც კი როცა ამ ნაწარმოებს მთელი ტომი მოუნდება. თვითეულ წიგნს უნდა დართული ექნეს კარგი წინასიტყვაობა, სპეციალისტების მიერ დაწერილი, რომელშიაც დახასიათებული იქნება მწერალი როგორც

საზოგადოებრივი მოვლენა, აღნიშნული იქნება მისი ადგილი თანამედროვე ეპოქაში და აგრეთვე ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს ჩვენი დროისათვის. ჯგუფი მწერლებისა, რომელთაც დაიწყეს ეს საქმე შესდგება ნაწილობრივ კომუნისტებისაგან, ნაწილობრივ კარგ მარქსისტებისაგან, და ნაწილობრივ იმ პროფესორ-სპეციალისტებისაგან, რომელნიც მუშაობენ ლიტერატურის დარგში და რომელნიც მიუახლოვდნენ მარქსიზმს კარგათ ესმით მისი საფუძვლები და შეუძლიათ მოგვცენ ამა თუ იმ მწერალზე ეტიუდი სოციალური თვალსაზრისით, დიალექტიური მატერიალიზმის მიხედვით.

იმ შემთხვევაში როცა ამა თუ იმ წიგნის წინასიტყვაობა დაწერილი იქნება არა მარქსისტებისაგან, ასეთ წიგნებს ჩვენ დავურთავთ კიდევ მეორეს, მარქსისტის მიერ დაწერილ წინასიტყვაობას. რა თქმა უნდა, უფრო მოკლეს და ზოგადს, რომელშიაც განმეორებული არ იქნება ის რაც მოცემულია რედაქტორ-სპეციალისტის წერილში. მაგრამ, რომელიც დაეხმარება მკითხველს ორიენტაცია აიღო კომუნისტური თვალსაზრისის მიხედვით, — სწორედ, რამდენადაც ჩვენ ლიტერატურულ მუშაკ-კომუნისტებს შეგვიძლია მივცეთ გარანტია ასეთი სისწორის. ამიტომ მთავარი რედაქცია შედგენილი იქნა ასე: მე და პროფესორი პიკსანოვი.

გარდა წინასიტყვაობისა ჩვენ გვინდა ყოველ წიგნში იყოს მთელი რიგი შენიშვნებისა ისტორიულ-ბიოგრაფიული, სოციალურ-ისტორიული, ბიბლიოგრაფიული და სხვა ხასიათის. ჩვენ ვახერხებთ ზოგიერთ შემთხვევაში არა მარტო ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებთა კარგ შერჩევას, არამედ ახალი ტექსტების დაბეჭვდვასაც. ასე, მაგალითად, კოროლენკოს წიგნში, რომელიც ეხლახან გამოვიდა, დაბეჭდილია, ძლიერ მკაფიოდ და გარკვევით, მისი პოლიტიკური თვალსაზრისის დამახასიათებელი წერილი „თვითმპყრობელი უძლურება"; გამოქვეყნებული იქნება ზოგიერთი ახალი ტექსტები ტოლსტოის. ორი დრამატიული პოემა — „პრომეთე" ესხილისა და „ფაუსტი" გოეტესი გამოვა სრულიად ახალ თარგმანებით, რომელნიც გა-

ცილებით მაღლა სდგას ამ შედევრთა დღემდე არსებულ თარგმანებზე. ხანდახან ჩვენს ტომებს დავურთავთ მოცემულ ნაწარმოების შესახებ ამონაწერებს გამოჩენილ კრიტიკოსების ეტიუდებიდან.

უკვე გამოვიდა ბაზარზე სახელგამის მიერ გამოცემული წიგნები **ლესკოვის** — გროსმანის რედაქციით, **ანდრეევის** — ფოტოვის რედაქციით, **სალტიკოვ-შჩედრინის** — გროსმანის რედაქციით, **გრიბოედოვი** — პიკსანოვის, ვერესაევის და უსპენსკის რედაქციით.

მუშავდება **რეშეტნიკოვი, ჩეხოვი, ნეკრასოვი, გოგოლი;** უცხოეთის სერიიდან გამოვიდა ესხილის „მიჯაჭვული და განთავისუფლებული პრომეთე". სოკოლნიკოვის მიერ ახლად თარგმნილი, ჩემი რედაქციით; მზადდება გოეტეს **„ფაუსტი"** თარგმნილი ბრიუსოვის, არეთვე ჩემი რედაქციით. განზრახულია გამოიცეს **ვერჰარნი** ფრიჩეს რედაქციით, **ჰეინე** კოგანის რედაქციით, **ჰაუპტმანი** ჩემი რედაქციით, **ბაირონი** როზანოვის რედაქციით; გამოვიდა **მოპასანი** ეიხენგოლცის რედაქციით, **მოლიერი** ფილიპოვის რედაქციით. შემდეგ ჩვენ გეგმებში შედიან — **პუშკინი, ლერმონტოვი** და **ჰერცენი,** უცხოელებიდან —**ბომარშე, იბსენი** და **დიკენსი.**

რასაკვირველია, თუ ჩვენ მოვახერხეთ მივიყვანოთ ბიბლიოთეკა ბოლომდე, ის დიდი რამ იქნება, მაგრამ ჩვენ აზრად არა გვაქვს ეს ბიბლიოთეკა ჩავსთვალოდ საკალდებულო მინიმუმად კლასიკების გაცნობისათვის.

მე მშვენივრად გამეგება, რამდენად ცოტა დრო აქვს კითხვისათვის ჩვენთვის ყველაზე მეტად ძვირფას მკითხველებს, მაგრამ ყოველშემთხვევაში მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ, როცა წაიკითხავს ნაწარმოებებს ამ ბიბლიოთეკიდან, ის კითხულობს მას რაც ნამდვილად ძლიერ დამახასიათებელია და რაც ნამდვილად არ მომკვდარა ჩვენი დროისათვის. ჩვენ ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ წიგნებისათვის წინასიტყვაობებისა, კომენტარიებისა და სხვ.. დართვა დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველებს კლასიკების სწორ კრიტიკულ შეთვისების საქმეში.

როგორც მკითხველი ხედავს მუშაობას ჩვენ ვაწარ-

მოებთ კოლექტიურად, მაგრამ ეს კოლექტივიც კომუ-
ნისტ-მარქსისტების და ჩვენი ახლობელი სპეციალისტე-
ბის, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ დიდ საქმეს, ვერ
გრძნობს თავს საკმაოდ ლონიერად, რომ მოაგვაროს ის
სრულიად დამაკმაყოფილებელად. ჩვენ ვსთხოვთ ამხა-
ნაგ კრიტიკოსებს გაარჩიონ საფუძვლიანად ჩვენი გამო-
შვებული სერიები, გამოსთქვან თავიანთი სურვილები,
საყვედურები და მიგვითითონ შეცდომებზე. ჩვენ
ვსთხოვთ აგრეთვე მკითხველებს, როცა ისინი გაეცნობიან
ჩვენს გამოცემებს, მოგვწერონ ჩვენ — მე ან ნ. კ. პიკსა-
ნოვს, ჩვენ მიერ გამოცემულ კლასიკოსთა წიგნების ლირ-
სება ნაკლულევანებაზე. ეს რჩევები ჩვენ მიერ მიღებული
იქნება მხედველობაში და ამით, იმედი გვაქვს, თანდათან
გავაუმჯობესებთ ჩვენს მუშაობას.

თვითეულ ჩვენგანს ღრმად ესმის, თუ რა სერიოზულ
ამოცანას ვკიდებთ ხელს, როცა ვბედავთ სახელგამის დახ-
მარებით გავაკეთოდ ისეთი საქმე, რომელსაც დაერქმევის
— „რუსი და მსოფლიო კლასიკები — საბჭოთა კავშირის
განახლებულ ხალხებს“.

ჩვენ რა თქმა უნდა წინდაწინ ვიცით, რომ ჩვენს საქ-
მეში იქნება ძლიერ ბევრი ნაკლი, მაგრამ ჩვენ გთხოვთ
(მე ვლაპარაკობ ჩემი და აგრეთვე ყველა კოლლეგების
სახელით, რომელნიც აწარმოებენ ამ მუშაობას) გახსოვ-
დეთ, რომ ნაკლი შესაძლოა იქნეს ჩვენი უცოდინარობის
შედეგი, მაგრამ არამც და არამც ის არ იქნება საქმის
დიდმნიშვნელოვანობის შეუგნებლობის და ამ ჭეშმარი-
ტად უდიდესი ამოცანისადმი სიყვარულის უქონლობის
ნაყოფი.

მხატ. გიორგი იაკულოვი.

მხატვრული აზროვნების ბუნების შესახებ.

ტრაგედია ბერძნული (ელლინური) და ებრაული. [1])

ვუძღვნი მეგობრის
სერგეი ესენინის ხსოვნას.

ალმოსავლეთის კულტურაში გამოისახა ორი მანერა ძხატვრულ აზროვნებისა: გ ე ო მ ე ტ რ ი უ ლ ი, რომელიც ქვეყანას მისწვდა ფორმის საშუალებით და ა ლ გ ე ბ რ ა უ-ლი, რომელიც რიცხვს დაემყარა. ერთი არკვევს სხეულს, მეორე — ენერგიას (სულს).

პირველი, გეომეტრიული, არკვევს სტატიურს მდგომარეობას და შენდება სიმეტრიის კანონებზე — ე. ი. სწორწონაობასა და სტატიკაზე.

მეორე, ალგებრაული, არკვევს მხოლოდ ენერგიის სახეთაცვალებადობას და მის დამძაფრობას, და თავის ალმშენებლობაში სტოვებს ცნებას სწორწონაობისას, ე. ი. ეძიებს დინამიკას.

ის ხალხი, რომელიც პირველ მანერას ეუფლება, ანვითარებდა პლასტიურს ხელოვნებას, ხოლო მეორეთი პოეზიას, მუსიკას და ორნამენტიკას.

ორგვარ აზროვნების შედეგად, რელიგიური აზროვნების განვითარება ორი გზით წარიმართა: ნატურალისტურით, რომელიც ეძებდა კოსმოგონიას, ბუნებაში ევო-

---

[1]) დაწერილია „ქართული მწერლობისთვის“.

ლიუციით ფორმათა გარდაქმნის იდეაზე აშენებულს. სწავლობდა წყალის, ცეცხლის, მიწის სტიქიას და სხ. (ნატურალისტური კოსმოგონია ჩინეთის, საბერძნეთის, ეგვიპტის) მეორე ფსიხოლოგიური გზით არკვევდა მხოლოდ თავის გრძნობას, იმპულსს, ენერგიას — გზას მისტიციზმისაკენ.

მისტიურ მანერას კოსმიურ ჰარმონიის ჰიპოტეზა არ გააჩნია, არ იცის კავშირი და საგნების შეთანხმება, ქვეყნად ყველაფერს თავისნებითი სურვილის და ნების შედეგად სთვლის, სძულს ჭვრეტითი ცდა, სძულს სახე და ჰქმნის ხელოვნებაში მხოლოდ განყენებულს ორნამენტიკას, განყენებულს ფორმას თავის სულიერ განცდათა სიმბოლოებად (ასურეთი, არაბეთი).

ტრაგედიის შესახებ.

ტრაგედიის აგებულობაში ჩვენ გვაქვს ტრაგედია, რომელიც აღმოცენდა შეუძლებლობიდან თავი დაახწიოს ადამიანმა და თვით ღმერთმა ბედის მიერ შემორკალულ საგანთა მსვლელობას, დამორჩილებულს კოსმიურ ჰარმონიას, აგებულს პიფაგორის „ფარულ წინაალმდეგობაზე".

ელინის აზრით მხოლოდ სიმეტრია და სწორწონაობაა დალოცვილი. "წყვილი რიცხვი დალოცვილია, ხოლო კენტი — წყეული".

ელინური ტრაგედია სახავს მექანიურს წინაალმდეგობას, რომელზედაც აგებულია მსოფლიოს ჰარმონია, სადაც ადამიანს არ ძალუძს რაიმე შესცვალოს, გზა მისთვის წინასწარ დაფუძნებულია (განსაზღვრულია).

ამ რიგად მსოფლიო ჰარმონიის აგებულობის ტრაგედია გავლენას ახდენს ადამიანზე და თავის მოძრაობაში ადამიანს იტაცებს, როგორც მცირე ნივთს ან გასამარჯვებლად ან დასამარცხებლად. ადამიანი უნებისყოფოა. იგი პასუხს აგებს თვის სურვილის გარეშე შექმნილს გარდუვალთან, აუცილებელთან. იგი მსხვერპლია ბედის — აუცილებლობის (ანანკე) ეს არის კოლექტივლეტიურის

დასაწყისი. ებრაელების ტრაგედია ადამიანის თავისუფალ ნებისყოფის ტრაგედიაა. ადამიანი პერსონალურად არსებობს მის იროგვლივ სტიქიათა დამოუკიდებლად და უსმენს, მხოლოდ „თავის ღმერთს", რის გამოც ჭეშმარიტებას ესწრაფვება, შეუძლიან ჰპოვოს სამოთხეც.

ამ რიგად, პირველი ტრაგედია ფორმალურია, საერთო არსებულისთვის, ეს არის ტრაგედია ქვეყნის შექმნის, სადაც ადამიანი, თუ შეეცდება გადალახოს ფორმალურად წინასწარ მისჯილი — იღუპება; მეორე ტრაგედია არის მორალური, სადაც ადამიანი იტანჯება თვით მასში მორალის უქონლობის გამო, რომელიც შთააგონა ალთქმამ თუ ცნებამ.

ელინური ტრაგედია არის ტრაგედია ღმერთკაცის გმირის, ხოლო ებრაული — ეს არის ტრაგედია მხოლოდ ადამიანის, რომელსაც აკლია მორალური ძალა, რომ დასძლიოს თვისი უბედურება თავისი ადამიანური უმწეობა.

უმაღლეს დაძაფრის გამოხატულებას ხელოვნებაში ფორმა თავის ფორმულას სპირალში ჰპოვებს. რომელიც, შეიძლება წრეს დაუპირდაპიროთ, როგორც სიმშვიდის სრულ სწორწონაობის და გამომწყვდეულ მოძრაობის გამომხატველს.

სპირალი ძაბრის ფიგურას იძლევა, ხოლო წრე — ბურთისას.

ამ რიგად სპირალი იძლევა ფიგურას ლიას, ან ფუძიანს, ან და მწვერვალიანს, ხოლო წრე შემოზღუდულს.

სპირალურ მოძრაობის მშენებლობას კენტზე გაყოფის ნიშნები აქვს: 3. 5. 7. 9.

სიროგვალის მშენებლობაში აქვს წყვილი: 2, 4, 8.

ტრაგედიის ფორმალური და ფსიქოლოგიური სტრუქტურა.

სირიის და ფინიკის ყველა ხელოვნება აგებულია სპირალზე და კენტის პროპორციის შეფარდებაზე, ხოლო ეგვიპტის, ასურეთის და საბერძნეთის წყვილისაზე.

ამრიგადვე უძველესი არაბული არხიტექტურა და ორნამენტიკა დაფუძნებულია სპირალზე.

სირიაში უძველეს პერიოდში რელიგიურ კულტად აღიარებულ იყო თხა.

თხას სპირალური მოყვანილობა აქვს. ამ თხის კულტი გადავიდა ფინიკიასა და საბერძნეთში, მიიღო სახე ფავნის, რომელსაც ჰქონდა თხის სახე და თხის ფეხები, სიმბოლო ვნებისა. ხოლო საშუალო საუკუნოებში იგი მეფისტოფელად გარდაიქცა, ცოდვა-ცდუნების მატარებლად.

განათების სტრუქტურა.

სპირალური მოძრაობა მზის ჩასვლისას არის. ალმოსავლეთში ეს ყველაზე ცხელი დროა. ჰაერი მხურვალეა,

ჩამავალი მზე სისხლის ფერს და წითელ სხივებს ისვრის; ამომავალი მთვარე ტრედისფერ ციდან ტრედის ფერ შუქს აფენს. ხდება ბრძოლა მზის სინათლის წითელ-ყვითელ დისკოს და მთვარის ვერცხლის ფერ ნამგალს შორის.

ჩამავალ მზის და ამომავალ მთვარის ბრძოლამ ფინიკიაში შექმნა ლეგენდა ჩამქრალ ღმერთ-მზეზე — ადონაზე, და ახალგაზრდა მთვარის ნამგალზე — ღმერთქალ აშერეზე, რომელიც ხალხის წარმოდგენით იყო ვნებიანი და ადონას ესწრაფვებოდა.

მთვარე ამარცხებდა მზეს. მზე იკავებდა „ბნელთა საშეფოს“.

ეს ლეგენდა გადავიდა საბერძნეთში და შეიქმნა ვენერას და ადონისის ლეგენდა.

როდესაც მთვარეს ჰსურს მიეკაროს მზეს—მზე კვდება.

ტრაგედიის თემა.

ადამიანში ტრაგიულის დასაწყისი დაკავშირებულია კატასტროფის, მარადიულში გარდასვლის, სევდის, და-

კარგვის შეგნებასთან და რაღაც გარდუვალის შეცნობასთან *).

ამ ტრაგიკულის დასაწყისმა პირველად ადგილი ჰპოვა სირიასა და ფინიკიაში, სადაც შეიქმნა კულტი სისხლით შესვრილ დაისის, კულტი ვნებათა ღელვის, კულტი ტანჯვის, რამაც შედეგად ქრისტე და მაჰმადი წარმოშვა.

შედარებით უძველეს ოქროს საკურთხევლიან, ქრისტიანების ტაძრებს, სანთლის შუქით განათებულს ბნელს თაღებს, ჩაფერფლილ ნაკვერცხალის მსგავს სარკმელს თავის შორეული წარსული სირიასა და ფინიკიაში აქვს.

მათი ტანჯვის კულტი და ჩამავალ მზის სანახაობა, ჰბადეს სურვილს გაეცალო ნაღველს, მიეცე დავიწყებას, რომელ დავიწყებასაც აღგითქვამს ლურჯი ზეცა.

ებრაელები ხელოვნების სხვა ფორმას გაურბოდნენ. გარდა მუსიკის, პოეზიის და ფილოსოფიის განყენებულ ფორმებისა.

ამ გარემოებამ ერთ დროს ებრაელებს ხელი შეუშალა თავის კულტურა მოემწყვდიათ ხელოვნების ყოველგვარ სახეობაში, სრულიად ჩამოსხმულს დამთავრებულს ფორმაში (როგორც მოიქმედა ასურეთმა, ეგვიპტემ, საბერძნეთმა და სხვა აღმოსავლეთის ერებმა). ებრაელებმა დეკორატიულ ხელოვნების ფარგლებში კვალი ვერ დასტოვებს ქანდაკების არქიტექტურის და მხატვრობის სახით.

რაკი ეძებდა ადამიანს საზოგადოთ, ებრაელების შეგნება შეუძლებელი იყო მომწყდეულიყო მის ტერიტორიალურ გამოსახვაში *). აქედან წარმოიშვა ტრაგედია მათი ტაძრის დანგრევის და დანაშაული მარადიურის, რომელმაც არ დაიცვა და მიესაჯა მოგზაურობა მოსაძებნათ ებრაელების ახალ ტაძრის ამშენებლის ესთეტიურის, ეთიურის და ფილოსოფიურ თვითგამორკვევის დასაგვირგვინებლად.

---

*) ედგარ პოს „ყორანი". პუშკინის — „ბალადა უბედურს რაინდზე."

*) სიმბოლიურად დაცვა „თავის" ტაძრის.

ჰქონდათ-რა ტრაგიული პოეტური ლეგენდა, რომელიც შეეხებოდა იერუსალიმის ტაძრის მეორედ დანგრევის ხანას, ებრაელებმა მაინც ვერ შექმნეს თვით ფორმა ტრაგედიის.

ბეძნული ტრაგედია მონოტრაგედიის ფორმაა, რომელიც სიმბოლიურად ერთ გმირის პიროვნებაში გამოხატავს ბედს მთელი ხალხისას. ეს არის ტრაგედია აზრის (გონების).

ასეთივე მონოტრაგედიის ფორმა — ცხოვრება ქრისტესი — ჩამოყალიბებულ იქნა ევროპაში ეკლესიის მიერ —ეს არის ტრაგედია გრძნობის.

პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ტანჯვის გამომწვევი მდგომარეობა ებრაელობის გავლენით არის გამოწვეული, ხოლო ფორმა პლასტიურად მისცა სხვათა კულტურამ. „გაბიმას“ ტრაგიულმა თეატრმა მიზნად დაისახა ეპოვა საფუძვლები ებრაულ კულტურის. და გამონახა-რა „გადიბუკის“ „მარადი ურიის“ პოეტური სახეები, სადაც მკაფიოდ იხატება (იოკვევა) ნაციონალური ყოფა ებრაელობისა, მის მუდმივ მარტოობაში, საკუთარ ბუნების ჩახვევაში, სხვათა ქვეყნისაგან თუ ცხოვრებიდან განრიდებაში და მისტიურად სულთან შეხებაში, თეატრს უნდა გამოეძებნა თეატრალურ განხორციელების ფორმაც და უფრო ფორმა დეკორატიული.

გარდა ტალისის, შვიდსანთლიან შანდალის, და წერილობისა ებრაელობას არ გააჩნია არავითარი სანახიგამომსახველობითის ხელოვნების დარგში.

ტაძრის დანგრევამდე იგი ეგვიპტის და ასურეთ-ბაბილონის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო საშუალო საუკუნოებში — არაბების გავლენის ქვეშ.

ებრაული ტრაგედია გამოყვანილ რომ იქნეს ფოლკლორულ „გეტოს“-ს წყობიდან (მდგომარეობიდან) და ჟარგონიდან და დააყენო მის ბიბლიურ წასვლის გზაზე, საჭიროა დაბრუნდე უკან და გაიარო ებრაელებისაგან განვლილი გზა ბიბლიიდან „გეტო“-მდე, და იხელმძღვანელო

ებრაელობის იმ განსაზღვრებით და დასკვნებით, რომელიც მოცემულ იქმნა საშუალო საუკუნეებში ქრისტიანობით. ე. ი. უნდა მოინახოს ევროპიულ ხელოვნებაში ის ელემენტები, რაც შთაგონებულ იქნა ძველი და ახალ აღთქმების ებრაულ ტრაგიულ ლეგენდებით. უპირველესად იტალიის რომანულ ეპოქაში თავის მარმარილოს ტაძრებით და მადონებით.

მიქელ ანჯელომ ევროპის ტრაგიული ძიების ციკლი შემოფარგლა თავის ვატიკანის ფრესკებში, იქ გამოხატა სტიქია და პათოსი ბიბლიურ წინასწარმეტყველების. მანვე არქიტექტურას პირი უბრუნა და აღმოსავლეთურის გზიდან ევროპიულს გზაზე დააყენა.

ამრიგად ანტიურ აღმოსავლეთის გავლენა რამდენიმედ ვენეციაში ჩერდება (ტინტორეტო), რომ შემდეგ ჩარჩეს ევროპიულს ხელოვნებაში, როგორც ელემენტი გამომსახველობითი ეგზოტიკისა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ხელოვნების მეთოდები, რომელიც სიმბოლოს მნიშვნელობას აძლევს ემოციონალურ ფორმას, მიქელ ანჯელოს შემდეგ (რემბრანდტ) წმინდა ევროპიულად ხდება.

ამიტომ ეპიურს ანტიურს ევროპიულს მოტივებში ელემენტების ძიების დროს უნდა გვეხელმძღვანელა ევროპიულ, რომანიულ ხელოვნებით, რომ აქედან გადავსულიყავით არაბულზე, არაბულ-ასურულიდან გადავსულიყავით პალესტინაში ეგვიპტურსა და ასურეთ-ბაბილონურ ხანებში.

საჭოთა ებრაული თეატრი.

შეიძინა-რა ჟარგონი, ებრაელობა გამოსახველობით ხელოვნებაში ამავე გზას გაჰყვა და არ ცდილა თავისი ეროვნული სტილი გამოენახა. იძლეოდნენ უკეთეს შემთხვევაში არა ტრაგიულს ისტორიას, რაც ბიბლიით და ქრისტიანობით ებრაელობამ შემოიტანა, არამედ ადგილობრივს ისტერიკას, „სახეებს ბინადრობისას“, ნერვიულობას და საყმაწვილო სენს (თეადორა).,

ამრიგად როცა მხატვრები სახავენ არა ტრაგიულ ეპოსს, არამედ დრამატიულს ეპიზოდს რაც გამოიხატება

მხოლოდ ისტორიკაში და არა ისტორიაში, უნდა მონახონ იტალიურ ოსტატებში რენესანსამდე ებრაული სტილი, რომელიც ახლოა ბიბლიურს ებრაელობასთან, ვიდრე მიმართონ ნეო-ებრაულ ჟარგონულ მხატვრობას, რასაც კავშირი აქვს ფსიხოლოგიზმთან, კარტუზთან და ლაპსერდაკებთან და ამით კი ჰგონებენ ებრაელობის აღნიშვნას ისტორიაში.

ებრაელობის ემოციონალური ბუნება.

ებრაულ „სულის“ და ტემპერამენტის ფუძე, პირდაპირ წინააღმდეგობაა ბუნებისა.

ეს წინააღმდეგობა არის კონსტრუქციული ჩონჩხი ებრაულ ლეგენდისა მარად ურიაზე. სადაც ლტოლვა ცხოვრების ამოებისა და განცხრომის ბაზრისადმი ისე ძლიერია, როგორც სიყვარული ტაძრისადმი.

კონსტრუქცია.

ეს ორი მთავარი ელემენტი: სინაის მთა და ცხოვრების ბაზარი მიზეზი და საფუძველი იყო ამეგო დეკორაცია მთა-პირამიდის სილუეტით (სინაი), რომლის დაბლა მიდიოდა გზა წყალვარდნილით და ცხოვრების შებოჭვილ წრით, საიდანაც ერთი ხსნა და გამოსავალია,—მთის მწვერვალი, — ამაღლება წვერვალამდე. ასეთია სიმბოლიური ნაწილი დეკორაციის არხიტექტონიკისა.

სინაის მთის მოყვანილობაში, როგორც სიმბოლიურს შენებაში და არა ტიპოგრაფიულში, უნდა ის აზრი ყოფილიყო ებრაულ არხიტექტონიკის და არხიტექტურის შესახებ, რაც განიცადა ასურეთ-ბაბილონის და ეგვიპტის გავლენით და რომელი გავლენაც უარჰყოფს ასიმეტრიას.

სიმეტრიული აშენება არის სწორწონაობა, რაც სემიტებისთვის უცხოა, ამიტომ სპექტაკლზე აგებული პირა-

მიდა ასიმეტრიულია, და მხოლოდ ერთის გვერდით ჰქონდა კიბეები მთაზე ასასვლელად.

„მარადი ურია“ არის ლეგენდა, ვინმე პინსკის მიერ ტრაგედიათ გადაკეთებული, არ ჰქონდა ფორმალური სცენიური კონსტრუქცია. თეატრი იძულებული იყო (ცემახის და რეჟ. მჭედელოვის ხელმძღვანელობით) გადაეკეთებინათ. უფრო მართალი რომ ვსთქვათ. გააკეთეს სცენარი, და უფრო დაეყრდნენ ლეგენდას, ვიდრე პინსკის პიესას.

„მარად ურიაში“ ნაკლებ ფორმალური მომენტებია, არ არის მოქმედების რთული განვითარება. არის ორი მომქმედი პირი *) მასსასთან დაპირისპირებული. პიესა იწყობა მომხდარ ფაქტით, რომ დაიღუპა ტაძარი და ბრძოლაა დახსნის გზების გამოსანახავად, ნაჩვნებია მხოლოდ ტანჯვა და იმედი. არის დრამატიული, მაგრამ მისტერიული ფორმით. ეს არის ფორმა, რომ ტანჯვას ემსახურის. ყველა იტანჯება. არავინ ზეიმობს. არ არის საწინააღმდეგო გამარჯვება დამარცხების წინააღმდეგ. „მარადი ურიის“ ერთად-ერთი ფიგურა არის კრებული ფიგურა. (სიმბოლიური ტანჯვა მთელი ხალხის, რომელიც გამოხატავს ებრაელების მწუხარებას და ობლობას ებრაელობის ცხოვრების გაზაზე.

აქ არ არის გაშლა გმირის ხასიათისა (ოტელო, ოიდიპოს, ჰამლეტ) არის მხოლოდ ბუნების გადმოშლა, რაც ტრაგედიას ამსგავსებს მასსას.

ფორმალურად ევროპიულ ტრაგედიებში დრამატიულს ფორმებში ვითარდება გმირის ხასიათი, რის გამო დრამაში შექმნილია მრავალი მდგომარეობა და მომქმედი პირნი, რაც საშუალებას აძლევს შექმნას ურთიერთობა და მასსის ერთგვარი განწყობილება.

აქ კი მასიური მოქმედება იყოფება ორ ნაწილად. ბაზერი და სინაი. პირველია სოდომ და გომორი, ხოლო მეორე სინიდისის აჩრდილი, ტაძრის დანგრევის ნიშნები.

---

*) წინასწარმეტყველი და დედა მისსიის (მადონა).

ხასიათს ფორმა ეძლევა მოძრაობით ტანჯვისადმი, ლტოლვით ამაღლებისთვის და დაცემისთვის ბიწიერ ცხოვრების გზაზე. ამაღლება, დამდაბლება და შთანთქა მარადისობაში — აი, სამი მთავარი მომენტი ებრაულ ტრაგედიისა, მაშინ როცა ბერძნულ ტრაგედიაში (ოიდიპოს) ეს სამი მომენტი დამხობის სამი საფეხურით ნაწილდება. ერთი ღერძის იროგვლივ, გმირის (სიმბოლიურ ფიგურებში ვითარდება მისი ხასიათი) და მის მახლობელთა იროგვლივ, რომელიც მასთან ერთად ერთს მთლიანობას წარმოადგენენ. ამ სამს ელემენტს შეადგენს: პირველი: (სტატიური მომენტი) — ოიდიპოს გმირი, ოიდიპოს — მეფე, ყველაზე მაღლა მყოფი (სცენაზე მოედანი სასახლის წინ). მეორე: საუბარი ტირეზიასთან და ჩასვლა დაბლა ხალხთან (მთავარი ხაზი სცენიურ იატაკის) და მესამე: ჩაღუპვა ძაბრში, რომელიც იტაცებს იმ არცნობისკენ, საიდანაც გამოვიდა ცხოვრების გზაზე დასადგომად და საითაც მიჰყავდა წყვდიადის ორ სიმბოლოს, ნახევრად ველურ მწყემსებს (დეკორაციაზე ძაბრი მთებით არის წარმოდგენილი).

„მარადი ურიის“ ტრაგედიის მსვლელობა წინასწარმეტყველის მოძრაობაშია, რომელიც სინაის მთიდან ბაზერს აშორებს, რომ გაიტაცოს (აამაღლოს) დაცემული ხალხი, მაგრამ ხალხის დანაშაულის სიმძიმე ხალხსავე დაბლისკენ სძირავს და იგი **ერთი** მიდის ხალხის დანაშაულის გამოსაყიდათ იმ იმედით, რომ დადგება ჟამი ახალ შურისძიების, უკვე არა დანაშაულისთვის, არამედ ტანჯვისათვის.

ამ ორი დასაწყისის წინააღმდეგობაზე და ცხოვრებისადმი გამძაფრებულ ბრძოლის ლტოლვაზე, რომელიც სიმბოლიურად ისახება გასისხლიანებულის, ჩასაქრობად გამზადებულ მზის ბრძოლით, განდგომა მისგან დატკბობის, მყუდროების მოსაპოვებლად — აშენებულია ფსიხიკა სირიელების. მოწყურებული მისწრაფება ცხოვრებისადმი და მისივე დატოვება.

ასევეა ებრაელების საგალობლები, სადაც თავდაუ-

ხწეველ მელაქონლოოგიდან უცბად ისმის მოწოდება ცხოვრების და ზეიმობისადმი.

ასეთია ამ ერების ემოციონალური ბუნება. ძველად საბერძნეთის და შემდეგ ევროპიულმა კულტურამ ამ ერებისაგან ისესხა ტრაგიული ხასიათი და ხელოვნებაში სახე მისცა სასოწარკვეთის, კატასტროფის, ფინიკელთა ვნების სიმბოლოს თხისა (ტრაგოს).

ამნაირადვე საშუალო საუკუნოების კულტურა ეძებდა ფორმების გამოსახატავად ფათოსის, ვნების და ტანჯვის ბიბლიაში, არაბულს ორნამენტიკაში და არქიტექტურაში, სანამ გენიოსები არ წარმოიშვნენ: ბოტიჩელი და მიქელ-ანჯელო, ტინტორეტო და ვერონეზე რომელთ შექმნეს დაუცხრომელი სპირალური ციკლი — სტილი „ბაროკკო".

ამრიგად, როგორც ითქვა, სიმეტრიულ აზროვნების თვისება არის ძიება კაცობრიობის პერსონალობისა და შემდეგ ადამიანისა გარეშე ბუნებასა, სტიქიასა და კოსმოსის დაკავშირებისა, წინაალმდეგ აღმოსავლეთის ყველა კულტურისა, რომელიც კავშირს ეძებს გარშემო მდებარე ბუნებასთან, სტიქიასთან და გათქვეფას კოსმოსში.

კოსმოსი და ადამიანი! აზროვნობს ელინი.

არა ქვეყანა. არა მსოფლიო, არამედ მხოლოდ ადამიანი, — აზროვნებს ებრაელი.

ეს ორი დებულება ფორმალიზმის (ელინები) და ფსიხოლოგიზმისა (ებრაელები) აღიმართება ხოლმე ყოველ ისტორიულ გარდატეხის წინაშე.

და ეს ორი დებულება სდგას ჩვენს წინაშე დღესაც.

ქ. რაჭველიშვილი.

პოეზიისათვის.

იყო ჩვენში დრო, როდესაც თვითეული ლექსი წარმოადგენდა მოვლენას და ჰქმნიდა ლიტერატურაში ეპოქას. მაშინ პოეტი მართლაც „ცის გაზრდილს“ ჰგავდა. მისი ხმა, ხმა წინასწარმეტყველისა, ზოგჯერ განმარტოებულისა, — იყო ხმა, რომელიც ქუხილივით გრგვინავს და თითქოს ზეციდან გვევლინება. პოეტებიც პარნასზე გრძნობდენ თავს და გასაგები ხდებოდა მათი სიამაყე: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდისო“. ზოგჯერ ისინი განდეგილობდენ, მაგრამ ეს იმისთვის, რომ უკეთესად ეჭვრიტათ ეს ქვეყანა. და მათი სიტყვა — იყო ყოველთვის აღსავსე პათოსით — არისტოტელისებური გაგებით.

დღეს ყველა ღმერთებიც კი ოლიმპიდან ჩამოსულნი არიან და ქუჩაში ფეხით დაიარებიან. პოეტებს პარნასზე რალა გააჩერებდა. და აი, ისინი თითქოს მიწას დაუახლოვდენ, თითქოს მასებში გაერიენ. მაგრამ, სამყაროში ისინი თითქოს ობლად არიან და ვერ უწოდებიათ მისთვის **დედა**-მიწა. თანამედროვე პოეზია ფორმალური მიღწევებით — იალბუზია ძველთან შედარებით. შინაგანი პათოსის ისეთი ბუმბერაზი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ახლანდელ პოეტებს ამ მხრით ზოგჯერ მოწაფედაც კი გამოადგება.

სამაგიეროდ, თანამედროვე სიტყვას დაუკარგავს სიმარტივე და უბრალოობა. წაიკითხავ დღევანდელ ლექსს, უკეთეს შემთხვევაში იტყვი: მშვენიერია!.. და გადახვალ მორიგ საქმეზე. თანამედროვე ქართული ლექსი და პროზა — ხშირად ძვირფას მარგალიტად იპნევა და თვალსა სჭრის თავისი ბრწყინვალებით. მაგრამ, უმრავლეს შემ-

თხვევაში იგი მარგალიტივითვე ცივია და უგრძნობელი. მას აკლია სითბო, აკლია სიცოცხლის თრთოლვა და აღტაცება, აკლია სისხლი მხურვალე. ვიტყვით იმავე არისტოტელის სიტყვით: მასში არაა აღტყინება, არაა ვნება საზოგადოდ, არაა **პათოსი.** შეიძლება ეს იყოს ეპოქის ბრალი. ძველებს ჰქონდათ ღრმა რწმენა და პოეზიისადმი მტკიცე ნებისყოფა. თანამედროვე ჩვენი პოეზია კი გზაჯვარედინზეა: „და პოეზიაც ისე მიყურებს, როგორც ილიას დაჭრილი შუბლი“, როგორც ამბობს ერთი საუკეთესო პოეტთაგანი. ამიტომ საკვირველი როდია, რომ დღეს მათს სიტყვას აკლია ცეცხლი და ნებისყოფას — ფოლადი.

შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ თვით ჩვენი ეპოქა — ჭარბად არის პათოსით დატენილი. როდესაც ისტორია სისხლით იწერება, კალმით ნაწერს ნაკლები მიმზიდველობა აქვს.

ასევე ითქმის პროზაზედაც. ძველთან შედარებით მას ფორმის, წერის მანერის მხრით უეჭველად დიდი მიღწევები აქვს. მაგრამ ჩვენ მაინც არა გვაქვს ნაწარმოები, ისე რომ გვათბობდეს, როგორც „ოთარაანთ ქვრივი“, ან თუნდ „გლახის ნაამბობი“. არჩილ ჯორჯაძე ნატრობდა ისეთ მხატვარს, რომელიც ჩვენი ცხოვრების სინთეტიურ სურათს მოგვცემდა. ეს — დღესაც ნატვრადაა დარჩენილი. ჩვენებური შემოქმედება პარცელარული იყო და ჩვენი მეობის მთლიანი სურათი ვერ დაგვიხატა. იქნებ იმიტომ რომ თვით საქართველო მთლიანი არაა და შემოქმედების წყარო დამშრალია?

არა! ჩვენი ქვეყნის თავზე ბევრს ქარიშხალს გადაუვლია. 1917 და მომდევნო წლები შეიძლება მხატვრულად ჯერ დაუძლეველი იყოს. მხატვრული ალსახვისათვის — საგნისაგან განყენებაა საჭირო. ეს წლები კი ჯერ კიდევ ძალიან ახლოა ჩვენთან. ჩვენ ჯერ ვიცინით მათი სიცილით და ავად ვართ მათი სატკივარით. მაგრამ 1905 წელი, შემდგომი რეაქცია, მსოფლიო ომი და რევოლიუციის გაზაფხული... ვინ იტყვის, რომ ეს ეპოქები არ იყო ალაავსე დიადი მასიური მოძრაობით, მძლავრი ინდივიდუა-

ლობანით, ვნებითა და სიხარულით? იყო თავდადება და თავდავიწყება. იყო ძალოვების დაჭიმვა და აფოლადება. ქართველმა ხალხმა ბევრჯერ დაადასტურა, რომ არსებობს „ქართული ერთობილი". განა რაოდენადმე სრულად აღსახულია ჩვენს მწერლობაში ეს დიადი ეპოქები?

ვიცით, არ შეიძლება მხატვარს მოსთხოვო სწორედ ის დაინახოს, რაც შენ გინდა. ყოველ შემოქმედს საკუთარი თვალი და მზერა აქვს. ამიტომ ჩვენ მას საერთოდ ვაფასებთ არა მარტო იმისთვის, თუ რა **დაინახა**, არამედ იმისთვისაც — თუ **როგორ დაინახა.** ტოლსტოის მე-19 საუკუნის რუსეთის აღწერილობაში („Война и Мир") — ბატონყმობა გამორჩა. შეეკითხენ და უპასუხა: ბატონყმობის საშინელებანი მე არ დამინახავსო.

ტოლსტოის პასუხი ზოგადად ბუნებრივია, როგორც პასუხი მხატვრისა. მას ჰქონდა უფლება ასე ეთქვა. მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება გული გვეტკინოს და უსაყვედუროთ?

ერთი რამ კიდევაა აღსანიშნავი. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ტოლსტოის და მკითხველს შორის ყოველთვის იყო კონტაქტი, უფრომლისოდაც პოეზია რჩება ცარიელ სიტყვად. ჩვენი მწერლობისათვის სწორედ ესაა საჭირო: უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ მწერალი არ სწერდეს თავისთვის და მკითხველი მას არ კითხულობდეს თავისთვის. ინტიმობის შექმნა — აი, რა გააცეცხლოვანებს პოეზიას, რა შესძენს მას პათოსს. მაგრამ ესაა საზრუნავი არა მარტო პოეზიის, არამედ დამოკიდებულია აგრეთვე მკითხველზე, მთელ საზოგადოებაზე.

პროფ. ალ. ცაგარელი.

ჩემი იუბილე [1])

(1872 — 1923).

მოქალაქენო! დიდად გმადლობთ მოლოცვისა და პატივისცემისათვის. მე კარგად ვიცი, რომ ეს პატივისცემა არ შეეხება მარტო ჩემ პიროვნებას, არამედ იმ საგანსაც, რომელსაც მე დიდხანს ვემსახურებოდი უცხოეთში, როგორც სამშობლო ენას, ისე ქართულ ლიტერატურას, ისტორიას და ქართულ სიძველეთა, რომელნიც უხვად არიან გაფანტულნი, როგორც საქართველოში, ისე მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში: ათონზე, ანტიოქიაში, იერუსალიმში და სინას მთაზე.

რა გავაკეთე, რა მოვაგვარე ამ ხნის განმავლობაში? ის, რაც ჩვენ მეცნიერებას და საქართველოს მდგომარეობას შეეფერებოდა, მაგრამ აქ ახლა არც ადგილია, და არც დრო ამაზე ვრცლად ლაპარაკისა. ვიტყვი მხოლოდ მოკლედ, როგორც რომაელები ამბობდენ „Feci quod potui“. იქ დიდხანს მარტო ვიყავი. დრონი იცვალნენ და ეხლა აქ ხუთნი ვართ მასწავლებლად ამ საგნებისათვის. ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ახალგაზრდა ამხანაგები უფრო გაალრმავებენ და გააფართოვებენ იმას, რაც მე და ჩემ წინაპართ დაგვიწყია. მეტადრე კმაყოფილი ვარ მე ჩვენი სტუდენტების გამოცდების შემდეგ, რომელთაც ქართული ლიტერატურის ისტორია აირჩიეს

---

[1]) ბევრმა ნაცნობმა და მეგობარმა, რომელნიც ვერ დაესწრეს ჩემს იუბელეს გადახდას მთხოვა დავბეჭდო ის სიტყვა, რომელიც მე წარმოვსთქვი იქ. ვასრულებ იმათ თხოვნას.

ალ. ც — ლი.

და ისე დაეწაფნენ ამის შესწავლას, როგორც ნათქვამია „მწყურვალე ირემი მიისწრაფვის წყაროზე“. ვინც ჩვენ გვიცნობს ამბობენ ჩვენზედ, რომ ქართველი ხალხი ნიჭირი არისო, მაგრამ კარგა, ცოდნა და ბეჯითობა აკლიაო. ეს ნაკლი უთუოდ თავიდან უნდა მოვიშოროდ. ამ სიბრძნის სავანედგან უნდა გამოვიდნენ ის „რაინდნი სულისა“ „Ritter der gesiter“ გერმანული პოემა გუჩკოვისა), რომელნიც უნდა წინაუძღვოდნენ ხალხს და უნათებდნენ გზას ღამე ისე, როგორც მანათობელი სვეტი ებრაელებს სინას უდაბნოში. მეცნიერება არ არის რაიმე გარეგანი სამკაული, არამედ ნამდვილი სულის ძალაა, რომელიც ხშირად აღემატება ფიზიკურ ძალას. თვით ვაჟკაცობა და მამაცობაც კი სულის ძალა არის. ნათქვამია სადაც მაღლა სდგას მეცნიერება, მაღლა სდგას ადამიანი და კიდევ ცოდნა, თავისუფლება არის და უმეცრობა კი მონობა. სამართო წერილიც გვასწავლის: „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლოთ თქვენ“, რადგან მიზანი და საგანი მეცნიერებისა არის ჭეშმარიტება. ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს საუნჯეში , აი მაგალითი: ვინ ააგო ეს მშვენიერი მეცნიერების ტაძარი? ერთმა სოფლის მღვდლის შვილმა **ნიკოლოზ ცხვედაძემ**, რომელიც ცხოვრობდა მცირე ჯამაგირით, ყველას უკვირდა, როგორ მოახერხებს ამგვარ საქმესაო, მაგრამ ცდით და გარჯით, მოახერხა ეს დიდი საქმე. ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მაშინ ჩვენ ხელთ არ იყო, შეჰკრიბა კერძო პირებისაგან შეწირულება და ამით ააგო დღევანდელი უნივერსიტეტი. მერე როცა დაასრულა ამის აშენება უნდოდა სვეტიცხოვლის შეკეთება მცხეთაში. მე იმ ზაფხულს ტფილისში ვიყავი. წავედით მცხეთაში სვეტი-ცხოვლის სანახავად აველით გუმბათში, რომელიც, როგორც ამბობდნენ დაზიანებული არისო. თუმცა ეხლაც ურმით, თავის ოჯახობით და თოხლით მოდის გლეხი მცხეთაში ღამის სათევად და მოიმღერის: „სვეტი-ცხოველო, ცხოველო შენ სალოცავად მოველო“, მაგრამ ხშირად შიგ შესვლას ვერ ბედავს „რათა აღანთოს ლამპარი და მისსა საკურთხეველში

დალვაროს ცრემლი მდუღარი". მე მთხოვა ცხვედაძემ ვისუნდა მიმართონ, რომ ნება მიიღონ ტაძრის შეკეთებაზე. მე მივეცი მისამართი პეტროგრადში არხეოლოგიური კომისიისა საზამთრო სასახლეში თავმჯდომარის ბობრინსკისა. ეგზარხოსმა და ცხვედაძემ გაგზავნეს დეპეშა ნებართვის შესახებ. მესამე დღეს მოუვიდათ პასუხი ნებართვისა, მაგრამ ჯანგატეხილმა მეტის-მეტი ჯაფით და ფიქრით ველარ შესძლო სვეტი-ცხოვლის განახლება მან მოასწრო მარტო ამ მშვენიერი მეცნიერების სავანის დამთავრება. ამბობდა, რომ ერთ დროს ეს საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისთვისო და აი ეხლა დადგა ის დრო, როდესაც გველირსა ჩვენი უნივერსიტეტი, მაგრამ თვითონ ველარ მოესწრო ამ დროს. ეხლა ჩვენმა ხელოვნების აკადემიამ უნდა ითაოს ეს საქმე, თუ ახალი ძეგლების აშენების უნარი არა გვაქვს ძველი მაინც უნდა შევინახოთ, რადგან სვეტი-ცხოველი არის ჩვენთვის „სოლომონის ტაძარი" და დედა საქართველოს ეკლესიებისა. ჩვენი ტაძრები არ არიან მარტო ლოცვა-წირვისათვის, არამედ არიან ხელოვნების ძეგლნი. ეს მშვენიერი არშია, რომელიც უვლის ჩვენი ტაძრების გარსა და ფანჯრებს ჩუქურთმებით გამოყვანილი, ჩართული და ჩაწნული მცენარის ფოთლებით და ყვავილებით ევროპაშიაც არის ცნობილი, როგორც ქართული ხელოვნება, „style georgien". უცხოელი, რომ მოდის ჩვენ ქვეყანაში პირველად ამ ძეგლებს აქცევს ყურადღებას. ეგვიპტეში, რომ არ შენახულიყო სხვა არაფერი, გარდა ძველი ტაძრებისა და პირამიდებისა მაინც გვეცოდინებოდა, რომ იქ დიდ ძლიერ და კულტურულ ხალხს უცხოვრია. ჩვენი ცხოვრება ჯერ ამოწურული არ არის, მაგალითად, როგორც სტატისტიკით ცნობილია საფრანგეთში უფრო ბევრი იხოცება, ვიდრე იბადება. ჩვენში კი სტატისტიკური ცნობით, უფრო ბევრი იბადება ვიდრე იხოცება. ასე, რომ ჩვენ კიდევ დიდი მანძილი გვაქვს წინ გასავლელი. თუ ცხოვრება არის „ბრძოლა არსებობისათვის", ქართველობამ პირნათლად და ღირსეულად აასრულა ადამიანის დანიშნულება თავის გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში. უნახავს

„ჯოჯოხეთიც და სამოთხეც“, როგორც სთქვა ერთმა უცხოელმა პოეტმა ვ. ველიჩკომ. არ შეუდრკა მრავალ მტრებს და არ დაძაბუნდა მტკიცედ შეინახა: თავისი მშვენიერი ქვეყანა და მიწა-წყალი, თავისი ჯიში და მოდგმა, თავისი ვაჟკაცობა და მამაცობა, თავისი რჯული და სარწმუნოება, თავისი მწიგნობრობა და თავისი კულტურა. რომელიც ენათესავება ელლადის დროების კულტურას. იმათ მემკვიდრეებს და იმათ მომყოლ დასავლეთის კულტურასან ერებს და ბოლოს ყველგან გამარჯვებული გამოსულა. უთუოდ უნდა შევიძინოთ და შევითვისოთ ის მეთოდი და სისტემა, რომლითაც იმათ ააღორძინეს და ააყვავეს თავიანთი სამშობლო. ეს არის იმის თავმდები. რომ შემდეგშიაც ასე მოიქცევა თავის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ ქართველი ერი. ეს არის ჩემი აღსარება და ჩემი ანდერძი. ხალხის თქმულებამ მოათავსა ჩვენ მთებში დიდი დევ-გმირი და კაცთ-მოყვარე ამირანი, ეს არის სახე ჩვენი ერისა.

მაშ ჩვენი ტურფა საქართველო თუმცა ჭალარა გამორეული, მაგრამ ჯეელი და ახალგაზრდა იყოს კვლავ და მარადის მრავალ, მრავალ ჟამიერ. ბატონებო, მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენ ქვეყანაში, ჩვენ ძველ სატახტო ქალაქში, ჩვენ ახალგაზრდა უნივერსიტეტში და ჩვენ ქართულ ოჯახობაში მომიხდა ჩემი ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაული. ვისურვებ, რომ დამყარდეს მშვიდობა, მტკიცე ერთობა, ძმობა და სიყვარული ხალხთა შორის და მაშინ მტერიც ველარას დაგვაკლებს.

პოეზია

ბალადა, თუ როგორ შეაკვდენ ერთი მეორეს ვეფხი და ვაჟკაცი.

მოყმემ თქვა პირ შიშველამა
შიბნ გავიარენ კლდისანი,
მოვინადირენ დავლახენ
ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხვდეს კლდისა თავზედ
ხორონი ჯიხვებისანი.
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი,
შავფარდი ვეფხვსა ნაწოლსა
დრო იყვნენ შუღამისანი.
შაიბნენ ვეფხვი მოყმეი
მაშინ დაიძრეს მიწანი,
კლდეები ჩამაანგრიეს
შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრო ალარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი,
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს
ვეფხვი ჩქარია კლდისანი.
გაზით გაართვნა კალთანი
ჯაჭვისა ჯავშანისანი,
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნენ წაქცევისანი.

---

1) ვ. კოტეტიშვილის მასალებიდან. ჩაწერილი ვ. რაზიკაშვილის მიერ.

ვეფხვი კლდეთ გადაეკიდ-
ჩამააწითნა ქვიშანი,
ქვიშას მიღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ნუ ეტყვით მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი.
იარებოდა დედაი,
ტირილით თვალ-ცრემლიანი,
ჩემ შვილს გზას ვეფხვი შაჰყრია,
გაჯავრებული, ტიალი.
ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა,
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი
არ დარჩნენ სიცოცხვილიანი.
ტირილით წყლულებს უხვევდა,
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ
დაქანცული ხარ ჯაფითა.
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ოხერმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა,
არც იმან მოგცა მეტი დრო,
ალარც შენ დააცალია.
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტებით,
ხმალმა დაკუწნა ძვალია.
მაგის მეტს ალარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია.

— ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი,
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტან-ზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაელვიძის მტირალსა.
— ხან იფიქრებდა: უდედოდ,
გაზრდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზედ მეტადა სტირისა?
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

დავ. გაჩეჩილაძე

განთიადამდე.

წუთით მიწიდან მოწყვეტილი ზეცას დავეძებ,
გულმა დაჭრილმა ვერ იგუა მიწის ყალიბი.
ძიწიას ქარი ხმელ შტოებზე თითქო თარებზე
შავმა ყორნებმა ამიჟღერეს სევდა ბრჭყალებით.
მე აქ მოვსულვარ როგორც ვინმე უბინადარო,
მეგობრებისგან სამუდამოთ მივიწყებული.
საკუთარ თავთან მობაასე მთაზე დავდივარ
და ვარსკვლავები განწირულად ზეცას სწყდებიან;
ვფიქრობ და ვფიქრობ, ბავშის გრძნობით ათრთო-
ლებული,
ძველ მგოსანივით რათ ვეძებდი სულის ნათესავს,
როცა დალუპვას მემუქრება საწუთროება
და ამ სიცოცხლეს სუნი უდის მჭკნარი ვარდისა
მეუბნებიან, გამოდიო ქვეყნად ხილულად,
თუ ხარ პოეტი, ლიმილებით წარბი გახსენი,
მაგრამ მე რა ვქნა თუ ჩემი ცა გატეხილია,
თუ ეს სიტყვებიც იებივით ცრემლით სავსეა.
იქნება გული გაუკეთდეს ყველას თიხისგან,
დაჰკარგეს გრძნობა, სიყვარული მოჰკლეს მახვილით.
გავყურებ გალმა, ხავსიანი ძველი ციხე დგას,
და ციხის თავზე არწივია ფრთებით დახრილი.
ტკბილ იყო ის დრო, როცა მქონდა ძილი ყრმობისა,
მთვარე სარკმელით ჩემს აკვანთან ზღაპრებს ქსელავდა.
კრულ იყოს ის დრო, როს ცისკარის ხმები მომესმა
და წამოვიჭერ მე სიმშვიდის სარეცელიდან.
ჩვილი თვალები მაშინ ცაზე დავისუფთავე,
ვსთქვი, ჰე ვარსკვლავნო თქვენი ცქერა რათ შემზარდება,

უმწიკვლოება ოლონდ გულში ისევ სუფევდეს,
ოლონდ შემეძლოს მე გრიგალის ფრთებზე მგზავრობა,
თითქმის მოლლილი, მოსვენებას მოწყურებული,
ეხლა მთაზე ვარ, ხის ფოთლებში ქარი გაწივლებს.
ძირს კი გველებათ დაწყობილი მწვანე წყლებია,
წარსულის შფოთი, მუხის ჩრდილი და სიყმაწვილე.
მე სიცოცხვილი მწვავს, ფიქრს უცნაურს ველარ ვიშორებ,
ეგებ ამბობენ, ლექსებისთვის ვარ დამხობილი.
მოგცემთ ყველაფერს, დავწვავ ლექსებს, მხოლოდ მიშ-
და ამ ლამეებს გადაშალეთ მელანქოლია. ველეო
მე ხომ ძიება ახალ გზების ბევრჯერ დავიწყე,
მრავალი ზეცა ცრემლიანი თვალით გავცურე,
ვერსად ვიპოვნე ბრწყინვალება ქართულ ბწკარებზე,
ვით ვერ ვიწამე სიყვარულში მე სიქალწულე.
ეხი თქვენ მთანო და ველებო რა დაგიშავეთ,
რომ ჩააწვეთეთ ჩემს თვალებში მჭკნარი სალამო.
დღეს ჩემს წინაშე ოკეანეც მწვანე ქვიშაა
და ეს მინდორიც უდაბნოა დაუსაბამო.
ბნელო ლამეო, შენ მწუხრები ისე გადამდე,
მთვარეც მგონია ნაცრითა და ძვლებით წაყრილი,
განთიადამდე ასე ვშფოთავ, განთიადამდე
ამაოების უიმედო მესმის ძახილი.
უცებ მინდება ხმელ თითებით ცა გადავშალო,
ვიწყო ახალი ქვეყნისაკენ გადმოფორთხება.
სულ არ მინდოდეს ო სამშობლო, ჩემო სამშობლო,
ჩემი ცხოვრება ცრემლიანი იყოს მოთხრობა.
მე ახალგაზრდას, იქნებ მოლლილს, რა დამაყუჩებს,
თუმცა ბინდები ბუზებივით თვალში მერევა;
ისევ გიბრუნებ სამშობლოო ჩემს სიჭაბუკეს,
ისევ მომწყურდა შენს წიაღში ასიმღერება
შენ ახალ მზეზე გაბრწყინებულს სახე გიცინის,
მე კი ისე ვარ, მორიდებით არ მემხილება.
შენთან მოვდივარ ხელგაშლილი და გეფიცები
რომ სიტყვა ყელში სიხარულით გამეხირება.

საქართველო

„ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს,
სამხრეთისაკენ ედემსა“....

რ. ერისთავი.

(ნიკოლო მიწიშვილის წერილის ირგვლივ ატეხილ ამბის გამო).

მე დიდ ნიუტონს ვუმადლი, რომ მიწას ვაბივარ
და ბედნიერი ნიუტონზე ვარ კიდევ მითა,
რომ იმ ვაშლივით მაღლიდან ძირს კი არ ჩავრბივარ,
მსოფლმზიდველობის კანონს მან რომ დაუდო მითად.
არ ვიხედები წარსულისკენ, ზოგს რომ სჩვევია,
აღმავალია ჩემი კლასი და ჩემი ფიქრი,
მას არა ერთი დაბრკოლება დაუძლევია
და, მასთან ერთად, გამალებით ეხლაც წინ მივქრი...
მე იმ თავითვე შევიყვარე ზღაპრული ვაშლი,
რომელმაც აღძრა გენიოსში დიადი გზნება,
მით უმნიშვნელომ დასდო ქვეყნის წინაშე ღვაწლი
და მოწიწებაც ჩემში მის წინ მუდამ იქნება...
ნახეთ ხე მისი, გაზაფხულზე აყვავებული,
გადაფუთვნილი გულ-წითელი თეთრი ქაფებით,
თითქოს ის რძეა, შიგ სისხლის წვეთ-შეზავებული
და მოხდენილად აქარგული უცხო ძაფებით...
შემდეგ, ზაფხულში ზურმუხტით და იაგუნდებით
დაესხმის იმას თვლები, თლილნი ცოცხალ სინაზედ,
თვალი მათ სჭვრეტს და გულიც მათ თვლას თითქმის
უნდების,
და თავიც თავს გრძნობს რაღაც უცხო გამოფენაზედ...

შემდეგ კი მოვა შემოდგომა — ჯადო მხატვარი,
მოიტანს იგი საღებავებს გამთბარ უბითა...
ეჰ, ბევრი, ბევრი მინახავს მე მისგან დამტკბარი,
ნეტარების ცრემლთ რომ აფრქვევდენ ლაპა-ლუპითა...
ჰქრება ნაყოფი, მაგრამ რჩება „თესლი კეთილი“,
იმას მკერდს უხსნის ნოყიერი მიწის წიალი,
და ისევ ის ხე, თეთრ-წითელ ქაფ თავ-დაპენტილი,
და ისევ ისე ნაყოფებით ფერადი ბალი!.
და საქართველო, ეგ ბალის და კალოს ქვეყანა,
ვაშლის და ყურძნის, ბროწეულის, თუ სხვა ხილისა,
კიდითი-კიდე განთქმულია თითქმის ყველგანა,
ღვინით, პურით და მწვანილით რომ ავსებს თბილისსა.
მე ვნანობ მხოლოდ რომ თბილისში სხვები მეფობდენ
და არა შრომა, ბოსტნისა თუ ყანის ჯავარი,
ამიტომ იყო რომ ქართულს ტახტს აქ სულ ეჭვობდენ,
თუმცა ქართლოსი კი სწამდათ, ვით მამათვარი...
იგი ზრუნავდა მეფეებზე. როგორც ეტყობა,
იგი ტახტით და სავარძლებით იყო ამაყი,
მე კი ერთ მარცვალ ქერშიც არ მსურს თქვენი მეფობა,
ტახტს თუ სავარძელს მიჯობს ბოსტნის მწვანე ბალახი...
ტყვილად არ არის, რომ სამოთხე პირველ ყოფილი
დღესაც მგოსნისთვის იდეალად საძებარია,
მხოლოდ უქმობა იყო მასში უარყოფილი
და მიტომც ვაშლმა ადამი და ევა არია...
დღეს შრომა მეფობს საქართველოს ყოველ კუთხეში,
დღეს ეს უქმობა ნაძრახია და დაგმობილი,
მუშის და გლეხის გარეშეა უარყოფილი,
შინაურია თუ გარეშე, ძალა უხეში!..
და მრწამს, ედემი, ქვეყნად მართლაც გადაიშლება,
სამხრეთს, ჩრდილოეთს, აღმოსავლეთს თუ დასავლეთსა,
რა ბოროტება ქვეყნის გულში ამოიცლება,
ერთ ბალად შეჰკვრენ, ახარებენ სამოთხეს ერთსა,
მაშინ დახრუკულ ქედებსა თუ უდაბნოებსა,
არა „ღვთის წყევლით“, შვების ლოცვით გადაჰბანს ოფლი,
გადაალაჯებს ხალხი ტანჯვის მძიმე დროებსა
და მეორე მზეთ გაბრწყინდება დიდება სოფლის!..

და საქართველოც ამ დიდ გზას ხომ არ ჩამორჩება,
ამის საბუთი დღეს არა სჩანს, არც ხვალ იქნება!
ის გაზაფხულით სხვებზე ადრე შეინორჩება
და შემოდგომით სხვებზე უფრო გარდაიქმნება...
და თუ ნიუტონს ერთი ვაშლით ხსნა მოეპოვა,
დღეს, მგონი, მისგან მიწას თესლიც არ შერჩენია,
მაშ, საქართველოს გულ-მკერდზე რომ ვაშლები მოვა,
მას კვლავ რამდენი უნდა მოჰყვეს თანვე გენია?!.
და ამის შემდეგ „საქართველოს უშვილოსნობა“
არ მჯერა მე ამ მზით აგზნებულ ტურფა მხარეში,
მრწამს მისი, როგორც რუსთაველის დიდი მგოსნობა,
კვლავ შესვლა „ახალ ოქროს ხანის“ სიმხურვალეში!..

სიმონ ჩიქოვანი.

გაგაასეგა საკუთარ ლექსთან.

აი ხეებიც ირხევიან დაულაგებლათ,
მარცვლავენ ფიქრებს და ცვივდება იგი ფეტვივით
ხენი ამბობენ, ჩვენც მოგვდვესო დროის ლაგამი
ხეს ატირებულს, ატკივდება საწყლად ფილტვები.
მე სხვაფრივ ვფიქრობ და შორეული ფიქრები მიქრის
მკრთალი დარდები დაწყობილა დროთა თაროზე;
ჩემი ლექსები მე მაგონებს მოქსოვილ ოქროს
და მით არ გრძნობა, სამწუხროა სამწუხაროზე —
მე ხომ ხე არა ვარ, და შტოებიც აღარ მომისხამს
მაგრამ სიტყვები მაგონებენ ფოთლებს დაფატრულს;
მინდა სიცოცხლე შევიტანო ხალხში მისხლობით
და მღვრიე ხმები მე ამომდის ყელში ფუტივით.
დროება დადგა კაცობის და სხვა გვარ კავშირის
რამდენი გზაა — იმდენია სული სარწყავი
მძიმდება სუნთქვა გულის ფეთქვით გახშირებული.
და მისი ყოფნა განყენებით დაწყევლილია.
მე სქელ გვამებში, ადამიანს აღარ დავეძებ
სახეებს ვარჩევ შემოხიზნულს ბრბოში კრავივით:
ერთხელ ვეკიდე ალვის ხიდან კლდეთა კიდეზე
ეხლა ჩამომხსნეს და ზაფხულის სიზმრებს მაკრავენ.
და ამ სიზმრებში სასიცოცხლო მე რა მოვნახო
ვინ გადალახავს ასეთ ლექსთა დამდგარ მდინარეს.
შენ განვლილ გზების თუ გაივლი კიდევ ნახევარს
შენ გულწრფელ სულში უკულმართი დაიბინავებს.
მოკვდები გვიან და აღდგომა არ გეღირსება
კვამლში აზრები ჩაგეხრჩობა გადალობილი;

ადამიანის ჩაგიქვრება ყველა თვისება
და შენ ლექსები შეგაშინებს ნიღაბებივით.
და თუ შენ სიკვდილს, ფეხშიშველი გადასცილდები
განმეორებას სიყვარულის ვერ მოახერხებ;
შენ ცხელი ძარღვი მზის დაწოლით გაგიცოფდება
და ბირკველებზე გადმოაფენ დამტვრეულ ფეხებს,
შენ კი ხიდი ხარ — ხასიათთა შეერთებისა
და ვისაც უნდა უსინდისოთ იმან გაგინოს;
შენ გაწევს ჩრდილი კავკასიის მაღალ მთებისა
და ჩვენ გვწამს ყველას რომ გადუხთით სამაგიეროს.
ამოგიჭრია ცის სიბრტყეზე ერთი ანდაზა
და დაგრჩენია კიდევ ბევრის მოჭრის უფლება;
წამოგებულა შენი სული დღეთა დანაზე
და შენი სიბრძნე წამომდგარა მთების შუბლივით.
ყოველი ქრება უნებური ქარი მტვერივით —
და სიმწვანეა მტვერთან ერთად გახსნილ თაროზე
და ჩვენი გრძნობაც, ჩემო ლექსო, ძველთან მტრულია
რადგან კაცნი ვართ და ეს დრო გვაქვს საასპარეზოთ.

კონსტანტინე ჭიჭინაძე

საღამოები მთაში

შევხედავ — ჩავა მნათობი
და ჩაქრებიან ლრუბლები.
შეიკვრის მარად ნათოვი
მთების მაღალი შუბლები.
შემოაკლდება დღეს ფერი
და შეკრთებიან ხეები;
ამოვა საჯიხვეებით
გაფითრებული ვესპერი.
ნანას უმღერებს მდინარე
მწვანე სათიბებს და ველებს,
და ქერი ოქროს თაველებს
ძირს დახრის უკვე მძინარე.
მთვარის უვნებო ნათელით
დაიფარება გორები;
ადგება ნელი ზმორებით
ბალახი დლისით ნათელი.
გახედავს სასწორს კრებული
ცივი სხივების მიკრეფით.
დამიმშვიდდება ფიქრები
და გული განცვიფრებული.
ო, ყველაფერი ისეა,
როგორც ყოფილა თავიდან,
და ისევ მაღლა წავიდა
ჩემი დამკრთალი მისია!

1926 წ.

პროზა

დია ჩიანელი

ქუთაისი.

(ნაწყვეტი რომანიდან: „ქუთაისი“).

„და აქედან თვალებს ვკეც და ჩემთან მომყავს ცის ლურჯი საბანი — ქალაქს, რომ თავს დაფარებია მაღლა დიდი მნათობი, მზე, რომ ქვია, ჩამოირბენს ბუქნით ამ საბანს და ისეთ მტვერს აადენს, რომ მისი ბულქვები ამ ფანჯარაშიც ჩამოიყრება... ო, რომ შემეძლოს გადავყლაპავდი ამ ბულქვებს და დავიძინებდი... დავიძინებდი და დავიხრჩობოდი ან ოქროს ფერი ძილით...

სულ ორი კვირაა რომ ვზივარ ამ ვიწრო საკანში და გავჩერებივარ ცის ლურჯ საბანს, მზით, რომ ალაპლაპდება დღისით და ღამით ათასი თვალით დაიწყებს ცქერას. მივჩერებივარ და მაგონდება, მახსენდება, რომ ამ საკანს იქით არის ქალაქი! ქალაქი, რომ ქვია და არც ქვია...

ქუთაისი...

ქუთაისი.. რიონი სჭრის ორად.. წყალწითელა ჩაუდის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დიდი ბაგრატის ტაძარი და უქიმერიონი... ფაზისი. — იცის წვერა — გემრიელი და ლორჯო დიდ-თავა... იცის გადარევა და ლრიალი. ფაზისი, — საწმისით იჭერდენ იქ ოქროს ფხვნილს და აკეთებდენ ოქროს-მჭედელნი სამკაულს, რომლით მკლავებს იმშვენებდენ კოლხეთის ასულნი...

კიდევ აკეთებდენ ოქროს ძეწკვებს — კდემამოსილობის ბოქლომით და ქმრები ხმაობდენ მას საკეტათ — ჯვაროსანთა ომებში, ან ინდოეთს, რომ მიდიოდენ საომრად...

ერთი ასეთი იარაღი დღესაც ინახება ქუთაისის მუზეუმში, რომელზედაც ოქროპირობს — ტრიფონ ჯაფა-

რიძე. ფაზისი, — დღეს მასზე სამი ხიდია: თეთრი, წითელი, ჯაჭვის; უკანასკნელი უყვართ სვანებს და იქ სამიკიტნოებში შემოდგომაზე და გაზაფხულზე თქვენ ნახავთ მათ ჯიხვის ტყავებითა და გრძელი ყამებით ხვანჭკარით, რომ ითრობიან და „რერაზე“ შუშპროობენ...

— ფაზისი, ახლა იგი მტკვარს შეეჯიბრა და ზაჰესს საასპარეზოთ იწვევს. რამდენს მანქანებს დაათრევს იგი თავის ტალღებით და როცა მოიყრონჭება, — გახეთქს იმერეთს ელვისის თეთრი ცხენებით.

და ეს „თეთრი ცხენები“ ახლა თავშეუკავებელი მიმუიან, იტკვლიცებიან, ჭიხვინებენ და როცა ადამიანი ჩასჭედს მათ ჰიდრო-ეტლში, გარეკს ელეკტრო სადაგებით—მაშინ თავს დააფრქვევს ქვეყანას ელვისის ვარსკვლავებს და იმერეთი გაიცინებს ღამით, როგორც დღისით მზე...

გაიცინებს თეთრი ცხენები მზესავით.

მათი სიცილი ღამით, ალბათ, ამ საკანშიც შემოცვინდება და გულზე დამებნევა ჭინძისთავივით. გადამიკოცნის სახესა და თვალებს და მომეფერება...

ფაზისი... რა მინდა, ახლა შენი ნახვა, მაგრამ ვინ გამიშვებს მე ცოდვილს, რომელმაც მოვკალი ადამიანი... ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა და იღიმოდა...

მე მოვკალი და ახლა აღარ ცხოვრობს, მე მოვკალი და ახლა აღარ იცინის!

სიკვდილმა სიცილი არ იცის...

ეგებ კი უნდოდა გაეცინა, მაგრამ არ გავაცინე... უყვარდა კი სიცილი... მისი წითელი ტუჩები ოქროსფერი სიცილით იყო მუდამ სავსე და როცა იცინოდა მე მიყვარდა მისი სიცილი, მაგრამ მოვკალი, რადგან ეს სიცილი, მან სხვას აჩუქა და მე წამართვა...

სხვას აჩუქა და მე წამართვა.

და განა ამას მოვითმენდი და მოვკალი, რომ სიცილი მისი სულ გამექრო...

მაგრამ...

ჰო, მერე მოგითხრობთ ამ ამბავს...

ეს გრძელი ამბავია, თუ როგორ გაჩნდა ლიმილი მის ბაგეებზე, როგორ დაითესა იგი მთელს სხეულში და...

ჰო ეს გრძელი ამბავია...

ახლა კი ისევ ფაზისი მიდგას წინ...

ფაზისი, ქუთაისს, რომ ორ ნაწილად ყოფს, და რომელზედაც სამი ხიდია: თეთრი, წითელი და ჯაჭვის...

ქუთაისი სამხრეთით ტყით იწყება — საღორია, რომ ეწოდება და ჩრდილოეთით უქიმერიონი თავს დაყურებს..

იქ ღმუის ფაზისი და ტყესთან ნოხივით იკეცება და ტირის. ქუთაისი—ჩრდილოეთით სვანები ჯაჭვის ხიდთან „ბეთქილზე" ოცნებობენ და სამხრეთით იმერლები — ჟრმებით ეფინებიან. და გრძელი ფარდაგივით მიყვება თეთრი გზა, — რომელიც კვეთს ლიხის მთას: ახალციხიდან, მოაქვს ზღაპრები ხანის წყლის და ცხრა მუხის, მდ. ყვირილით იკვეთება და სდის შავი სისხლი, მერე ეკეცება წინა — ველსა და საღორიას და შემოვარდება ქუთაისში, გაიდებს გულზე ჯაჭვის ხიდს და მირბის კავკასიონისაკენ.

რამდენი ეტლი დამიქროლებია ამ ფარდაგზე, ხავერდივით, რომ რბილია და თვალის უპეებს, რომ ეთამაშება..

ბევრი მინახავს ამ გზაზე, ამას მერე მოგითხრობთ, ახლა კი იქ ცას, რომ შევსცქერი და თეთრი ღრუბელი გაწვა ეს გზა მგონია, რომელიც ცას წაუერთდა და ჩემს თვალებს იპარავს...

არა ეს ღრუბელი არაა.. ეს ბოლია საქსოვ ფაბრიკის მილიდან,რომ ამოდის...

საქსოვი ფაბრიკა!...

ის ქუთაისში დასახლდა პოლონეთიდან და ახლა მას ხონელები სწყევლიან. რადგან მათ შალს აღარა აქვს გასავალი და არ ყავს მუშტარი.

თეთრი ბოლი მისი ედება ქალაქს, ეხვევა მაღალ სახლებს, ვით სატრფო ასულის გრძელი ხელები ვაჟის ყელს. და ქუთაისს უხარია და იცინის.

იცინოს ქუთაისმა მას ჩემსავით არ უნახავს სიხარული და სითეთრე... ისიც მიტოვებულია ჩემსავით და ციხეში ზის... და უცდის, უცდის, როდის დაიყვირებენ ათასობით საყვირები მაღალი საბოლეებიდან და მტრედის გუნდები-

ვით აფრიალდება მისი ბოლი ქალაქის გოდოლებზე. უცდის...

უცდის, როცა ფაზისის ჰიდრო-ელვისი მზეს დაამსხვრევს ქუთაისის თავზე ლამპრებით...

ჰო ქუთაისო, მინდა გულში ჩაგიკრა, მინდა გეამბორო, მსურს შენით მოვკლა უკვდავება და შენ გაგაუკდავო. ო, ტკბილო ქუთაისო, სიმწარე დავლიე შენს დაჩეხილ ქუჩებზე, ლორებივით რომ ყრიან ტალახში, სამსალა შევსვი შენს ყაფნებზე — ტარნითა და სვიროულით, რომ ქოთავს.

მაგრამ მაინც მიყვარხარ!..

ქუთაისი...

ქუთაისი, ფაზისი, რომ ყოფს შუაზე და რომელზედაც სამი ხიდია: თეთრი, წითელი და ჯაჭვის...

ალექსანდრე ქუთათელი.

ხონის ბირჟა.

ყაჩალთა დაცემის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ხონის ბირჟას — ქალაქს... ყველა მის ლაპარაკში იყო.

მოვიდა პავლიაც...

პავლია, მიხაკია, ნესტორია, კანია, სელოლე, ბუკუია — ყველა მეეტლე, მედელეჟნეები და ბირჟაზე მყოფი მოქალაქენიც ჰფიქრობდენ, რომ ყაჩაღები უთუოდ იმ სოფლიდან უნდა იყვნენ, რომლის ახლოსაც მოხდა თავდასხმა, სახელდობრ სოფელ გუბიდან.

სოლომონმა მყისვე გაიფიქრა:

— ვაი, შენ ჩემო სივილა! რა ტყუილა უბრალოდ გამოგასალმე წუთისოფელს!? დაჯავრიანდა სამიკიტნოში შევიდა, სამიკიტნოში ჯამბაზი საუბრობდა თავის ბიძასთან; ბიძა მისი შეძლებული გლეხკაცია ნიკოლოზა ჩხენკელი. აქვე იდგა ფოთში მოვაჭრე, ხონელი: ბახტაძე; იგი ვაჭრობს თევზით, მარილით, თამბაქო-ქფილით, ჰყავს საკუთარი პატარა გემი შავს ზღვაზე. ქერა, პირპილივით, წითელმა, ჩასუქებულ, შუახნის კაცმა კოსტიუმის გულჯიბიდან ამოიღო საათი დიდი ოქროს ძეწკვით...

— რომელი საათია? ჰკითხა მას ნიკიფორე ჭავჭანიძემ. — პირველის ჩეთვერია — უპასუხა ბახტაძემ. ნიკიფორეს მუცელზე ჩოხა ალარ სწვდება; ტოტებიანი შარვალი; ფეხებზე — „რაგოჟის ტუფლი“, თავზე, ჰხურავს ჭილოფის შლიაპა, — აზია და ევროპა! ღმერთმა იცის კიდევ რა?!

ნიკიფორე ორმოცდა ათი წლის კაცი იქნება. ბახტაძეს ისტუმრებს ფოთში, ფოთიდან რუსეთში — ნოვოროსიაში, ასტრახანში.. სავაჭრო რაღაც „სეკრეტებს და სოვეტებს“ ამბობენ.

სოლომონს ყველა თავდაბალი სალამით შეხვდა. უკანასკნელმა მიკიტან რაჟდენიას ერთი ჩარეჟი სვირის ღვინო ჩამოასხმევინა. რაჟდენია სჭრიდა ხმელ პურის ნამცეცს და უზარმაზარი საათის, ჯაჭვივით დიდი ძეწკვი და კლიტე გულმკერდზე ირხეოდა; შემოსდგა პატარა საინი, ზედ ეწყო: ორი ნაჭერი ყველი, ნახევარი კიტრი და სოლომონს ღვინის დასხმის დროს ქვევიდან შემოჰხედა:

— რას იბღვირები? რაც მევიტანე ეგეც არამია შენისთანა კოროტისათვის!—ჯიბეზე აკვირდებოდა! „ფული უხიჭინობს თუ არაო“!

სოლომონმა დაუძახა ბახტაძეს, ნიკიფორეს, ჯამბაზს და ნიკოლოზას.

მეეტლეები პავლია და მიხაკია ბირჟაზე გალაზღანდარებული ხალხია — ნაცემბირალი. შორი ახლოს დამდგარან და ჩურჩულით თამბაქოს აწყობდენ; ჩარეჟა ღვინოს და ავსილ ჭიქებს თვალს არ აშორებდენ.

— მოკიდეთ ჭიქას ხელი! — სთხოვა მათ სოლომონმა. პავლიამ სვანური ქუდი მოიხადა, გაიღიმა და დაჭრილ ქორივით ცალმხარ-ჩამოგდებული წავიდა დაზგისაკენ. იგი დილიდანვე მხოლოდ ყაჩაღების დაცემის ამბავს ლაპარაკობდა ტრაბახობდა: — გავარდა თუ არა, — იმავე მინუჩი ვწყვიტე, უჟე, ცხენებს კნუტი... ვოჟები მოუშვი.. დევეშვი და დევეშვი... კალოსების შემეშინდა: არ მოძვრესთქვა... ტყვიები, მაინც კოზლაზენ რო ვიჯექი, ყურთან მიარდა: მეშინოდა: მაგ შობელძალლებმა არ მომახვთეროსკენთქვა!

— რა სალაგინე დაგეცენ ყაჩაღები? შეეკითხა ნიკოლოზა.

— რა სალაგინე და ვაშაკიძის ტყე ქე როა, იქინე მუხუროში!

— მაინც ამ გუბიწყენ ნამეტანი გახშირდა ეს ყაჩაღობა — შენიშნა ნიკიფორემ!.. სოლომონმა ჯამბაზს გადახედა, შემდეგ თვალები სწრაფად პავლიაზე გადიტანა, მიაჩერდა და ოდნავ გაფითრდა სახეზე. პავლიამ გაიღიმა, დაილოცა და გადაჰკრა აძმარებული სვირის ღვინო. ჯამბაზს ჩამოტყავებულ თვალში ცრემლი ჩაუდგა. მიხაკიამ

ქერა ულვაშებზე ხელი გადისვა და ხონის ბირჟაზე „სვინტალად“ წოდებულმა სოლომონს პირში ქება დაუწყო:

— იცოცხლე სოლომონ კიდო დიდხანს, — ნამდვილი კაი კაცი ბრძანდები — პურმარილიანი და მხარჯველი!..

— კაციც მაგისთანა უნდა! განაგრძო პავლიამ და სოლომონის გულის მოგებისათვის დაამატა:

— კაცს ფულის შონის შნოც უნდა ქონდეს და პურმარილის მიღებისაც! ვაჭრებს ბახტაძეს და ნიკიფორე ჭავჭანიძეს გადახედა.

ვაჭრები დასტურის ნიშნად თავს მუნჯად იქნევდენ. პავლიას სიტყვებიდან მხოლოდ „ფულის შოვნის შნო“ უჯდებოდათ ჭკუაში, ხოლო „პურ-მარილს“ და ქეიფს რაიც შეეხება, — ეს სრულიად „უანგარიშოდ“ მიაჩნდათ, მაგრამ პავლიას სიტყვებს მაინც ცბიერად კვერსა სცემდენ, ქვეშ-ქვეშ ულვაშებში იღიმებოდენ:

— დიახ, როგორ არა?! თავი გადავდვათ, ვიღლიტოთ და ვიქუცოთ, ფული და ქონება შევიძინოთ და მერე თქვენისთანა ავარა ხალხს შევაჭამოთ? მეტი არ იხარა თქვენმა თავმა! ისე დაწვა და არ ადგეს თქვენი გვერდები!

— ღმერთმა დაწყევლოს სკუპოი კაცი! ჩაერია ლაპარაკში მიკიტანი რაჟდენიაც.

— მაგისთანა მეზობელი მართლაც ავია, შენ რო გყავს ბიძა ჩემო! მიჰმართა სოლომონს ყოფილმა სტუდენტმა ვანიკო ლოლობერიძემ, რომელიც ისხდა იქვე სუფრაზე თავის ამხანაგებით.

— რომელი! ჰკითხა სოლომონმა.

— სამსონი! უპასუხა ვანიკომ. სამსონ ფარცხალაძე, მრეწველია ჭიათურის.

უნობენ ალესილი დანა უდენა ჯიბეშიო! სთქვა მიხაკიამ.

— რათ უნდა ბიჭო ჯიბეში დანა? შეეკითხა სოლომონი ღიმილით.

— რათ უნდა და ხელი რო ვინმემ ჩამიყოს ზედ შეაჭრისო! ყველანი ხარხარებდენ. ვაჭრები ბახტაძე და ნიკიფორე უხერხულობას გრძნობდენ, მაგრამ ძალა უნებურად ისინიც იღიმებოდენ.

— ფულს მაგი ამხანაკობაში არ შეჭამს, გაჭირვებაში და ვაჟკაცობაში არ გამოგადგება, აპა, ნა კჩორტუ მნე მაგის ფული!? იძახდა სუფრიდან ღვინით შეზარხოშებული ანტუშა, რომელიც უმასმინძლდებოდა ეხლა ვანიკოლოლობერიძეს, მის ამხანაგებს: მასწავლებელ ანდრიას, და ადგილობრივ აფთიაქის პროვიზორს მიშა წვერავას. ანტუშა ოცდარვა წლის ახალგაზრდაა. აქვს ადესაში საკვაჭრო. ვანიკო გადაყოლილია ლოთს და უსაქმო ახალგაზრდებს. ყველგან სადაც კი საინი დარეკავს სადილი და ვახშამი ესიზმრება. ანტუშას ცოლად ნასწავლი ქალი შეხვდა და თითონ თუმც სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასიდანაა, — ადგილობრივ ე. წ. ინტელიგენციას მიწეპებია; ევროპიულ კოსტიუმში გამოპრანჭულა, სახლიც ევროპიულ ყაიდაზე მოუწყვია, ცოლი პიანინოს აყაბუნებს, მაგრამ გული ვაჭრუკანული ის არის მაიც რაც იყო... ანტუშამ აკოცა ვანიკოს, შემდეგ ანდრიას გადახედა დაიწყო ენაბრგვილი ლაპარაკი:

— მე შეიძლება თქვენდონე კლასიკური ცოდნა არ მიმიძღვის, მარა უნდა გითხრათ სიმართლე ამ მოსე და ილარიონისთანა ხალხი, წიგნში, რომ მუდამ თავი ჩარგული აქვთ და თავი პროფესორები გონიათ, არ მიყვარს. არა, უკაცრავად, სრულიადაც არა! — ცხარობდა ანტუშა — მე იმას კი არ ვამბობ — სწავლის წინააღმდეგი ვიყვე — მაგრამ არ უნდა გამოწყდე, კაცი, ტოლს და ამხანაგებში...

— მარტო სწავლა რა ჩემ ფეხებათ გინდა? გამოათხელებს კაცს! დალუპე იქით! — ამბობდა პავლია, რომელსაც თავის დროზე სამოქალაქო სასწავლებელი გათავებული ქონდა, მაგრამ შემდეგ წაეტეხა ფეხი ანტუშასავით.

— წორია! დაუდასტურა მიხაკიამ.

— მოსედინ და ილარიონიდინ მე, ძმაო, ერთი ბოთლი ღვინო არ მახსოვს! მოაგონა მის მიერ დაპატიჟებულ ამხანაგებს ანტუშამ, ვისაც ღვინო და პურ-მარილი არ უყვარს. გითხრა სიმართლე, მისი ნურაფერი ნუ გინდენ.

— მე ძმაო — ჩაერია ლაპარაკში ვანიკო — ჩემი უკანასკნელი კაპიკიც კი ამაში გადავალე და ახლაც, რომ მი-

თხრას ამისთანა მეგობარმა, როგორც ანტუშა, — წყალში გადავარდიო, გადავარდები... ამას კი არ ვტრაბახობ ან ვპირობთნეობ. ანტუშას ფული მე რას გამაკვირვებს?!

— რატომ ამბობ მაგას ვანიკო, მე თუ შენ ველარ გიცნობ და მადლობა ღმერთს ძაშიხ?! უსაყვედურა ანტუშამ.

— ხო, ძენ ქე ძიცნობ და აგერ არ არის მიშაც!

— მიშა?.. — იძახდა ხმაძალლა ანტუშა — მიშა? ოცდათხ საათში გადაგალევს თუ რამე აქვს... ჭიათურა რო ძიცე, თვენახევარ'ში გაძოუყვანს წირვას! მიშას დაერცხვიხა ასეთი გაზვიადებული 'შექებისა და თავი დაჰხარა. ჰფიქრობდა: „ისე ა'ძენდა თქვეხი პატრონიო!“ ანტუშა უსაყვედურებდა ძასწავლებელ ანდრიას;—ღვინოში მარტო, როძ არ არის საქ'ძე ა'ძა'ში წორი ხარ... მე იმისთანა ამხანაგი შევარცხვინე, რომელეც იმიტომ მიკადრებს, რომ მე იძაზე უფრო ძეტი ფული მაქვს და შემიძლია ერთ ბოთლ ღვიხოზე დაუძახო... შევარცხვინე ძე მაგისთანა კადრება, და ამხანაგი!.. ვანიკო, დალიე, შენ მე ქე ძიცნობ! ანდა უშეხოდ ძმაო რა ქეიფია? არც წარმოძიდგენია ეს ჩვენი ხოხი უ'ძენოთ! სუფრა უშენოთ?

ანტუშამ სიძღერა წაძოიწყო. სიმღერის დროს ხახა ზოგაზედ ძეტად გაელო, მოჩანდა ენის კლიტე, ძინაბული თვალები ჩასუქებულს სახიდან, როძლებიც ამბობდენ ამ წუთს: „ფეხებზე მკიდია ყველაფერი“, ძაგრამ ეს ეხლა ხალხში კი ისიც დიხჯობს, უბატოხოთ სიტყვას არ აძოიღებს, ყვითელ ტუფლებიანს ხელში ტროსტი უბყრია და ქვეყანაზე კაცი გოხიათ. — გააჭივრა საქმე ძოსეს და ილარიონის ლაპარაკებმა სოციალიზ'ძის შესახებ... რა გააკეთეს? ვინც გლახაა, ძმაო, ძაინც გლახა იქნება ყოველთვის! შენ რომ არ ივარგო ვისი ბრალია? გაახ'ძრიე ხელი და ი'ძოვნე შენაც ფული! ოხუნჯობდა ახტუშა, ოხუნჯური განწყობილება ვახიკოსაც გადაედო და ისიც აუხირდა ძოსეს:

ხელი მაღლა აღაბყრო, ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო, წმ. ილორის ხატის ძალავ და მადლო, ლატაკი კაცის საშველი მაინც არაა და ასე დაუქციე ოჯახი ყველა დაქცეულ-გაჭირვებულს და მოგვასვენე! — ამ

სიტყვებზე ვანიკომ ხელში აღებული ჭიქა გადმოხარა, ღვინო პურის გულზე ცვარ-ცვარად დაუშვა და შემდეგ იატაკზე დააქცია...

ანტუშა, პავლია, მიხაკია და ყველანი ხარხარებდენ. ანტუშას ხელი მოეჭირა მუცელზე, თვალთაგან ცრემლი სდიოდა, ხახა ერთს ტკაველზე გაელო, ენის კლიტე ირხეოდა:

— კაი, გაჩერდი, მოვკვდი, ოხ, რა თქვა, რა თქვა ამ ცეხლმოკიდებულმა ეგი?! — ამბობდა სიცილისაგან გაგუდული ანტუშა.

ანტუშამ აღღეგრძელა ვანიკოს ბიძა — სოლომონი და მისი სუფრა დიდის რიხით და ცერემონიით.

სოლომონის წინ იდგა ორი ერთ ჩარექიანი უკვე ცარიელი ბოთლი... მიუხედავათ იმისა, რომ მიკიტან რაჟდენიას დუქანში გაისმოდა ესოდენი ქება პურმარილის სიყვარულისა და ფულის ხარჯვის შესახებ, ვაჭრები ბახტაძე და ნიკიფორე ამ ანკესზე არ წამოეგენ; არც ერთს ბოთლს ღვინოს არ ითხოვდენ, გულშემოსაყრელად სდუმდენ... სოლომონს გამოსავალი არ ჰქონდა, ანტუშას სიტყვის შემდეგ სამადლობელი უნდა დაელია და რაჟდენს ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— მეიტანე კიდო ორი ჩარექა!.. — მიკიტანმა ყური არ ათხოვა, გულიც კი მოიყვანა; ჰფიქრობდა: — არაფერი სასეკრეტო არ მაქვს სწორეთ შენთან! ყურში რო მიფუჩუნებ რას მიფუჩუნეფ თუ იცი-ო.

უყუჩა. სოლომონმა ხმამაღლა გაუმეორა: — ჩამოასხი, ბიჭო, ორი ჩარექი მალე! — რაჟდენია უცქერდა კითხვითი ნიშანით:

— გაქვს თუ არა, შვილოსან, ფული, ასე რომ გულუხვობო...

— რას მომჩერებიხარ? ჩამოასხი, მალე ქენი! სოლომონი გაბრაზდა; რაჟდენიას შეეშინდა. თავი ჩაჰლუნა და გუდებისაკენ გულმოსული წავიდა აბურდღუნებულ დათვივით:

— შენ გადამიშენდი მანდამაინც სოლომონ, — რა შამოჩენილი კაცი შენ ხარ?! თუ უთხარი რამე — ატეხავს ჩხუბს და ყაილას!..

ორი ჩარექიც შემოსდგეს. პავლიამ მიხაკიას გადაჰხედა; თვალები კატასავით უნათებდენ:

— გამოაჭყვიტე, შე უპატრონო თვალები, ხომ ხედავ ჩავწევით მუქთა კუბოში და ესაა!

დაზგასთან იდგა მაღალი ტანის, ცოტაოდენ მოხრილი და სანადირო მიმინოსავით მხრებ-აწურული მოხუცი სოლომონ წულუკიძე, ჭიქით ხელში ესალმებოდა ახალგაზრდებს. თეთრი, თუთუნის ბოლით შემოყვითლებული და სოლივით გრძელი წვერი დილით შამოეკრიჭა სახეს უმშვენებს არწივივით მაღალი ცხვირი. წერწეტს წელზე შემოუკრავს მამა მერაბისეული ვერცხლით მოჭედილი ქამარ-ხანჯალი. თეთრი ჩოხის სახელოები აუკაპიწებია იდაყვამდე, მხარზე გადუგდია აბრეშუმის ყაბალახი.

სოლომონი ახდენს ჯერ კიდევ ჯანიან კაცის შთაბეჭდილებას, თუმცა წელში შესამჩნევად მოხრილა, თმა სავსებით გასთეთრებია და თვალებს შეჰნელებიათ ახალგაზრდური, პირვანდელი შუქი...

გაისმა არლანის ხმა. რაჟდენიამ წინსაფარი გაისწორა და მიძუნძულდა კარებზე: იქნებ ჩემს დუქანში შემოვიტყუო ბიჭებიო. ცმაცურობდა იღიმებოდა და ამ ღიმილში იყო თქმული: „თქვენ გენაცვალოთ ბიჭებო ჩემი თავი“-ო. სხვებიც ცნობისმოყვარეობას წაეღოთ; მოჰჭროდა ფოჩვებით და ეჟვნებით გამოწყობილი ეტლი, ფარნებში მუხის, ელის რტო და თავნაყარი სიმინდი ჩაერჭოთ. ეტლში ისხდენ ყელგულშეხსნილი ბიჭები შავ სატინის ხალათებში უქამროთ; ყავისფერი, ფართო შარვლები· წითელ ყელიანი წინდები; მესტები... ირწეოდენ ნამთვრალები, ჩაოხრებული ახალგაზრდები; ვერ იმაგრებდენ წელს, იზლაზნებოდენ და არლანის „პესნას“ გაჰყივოდენ... გაიელვა ბირჟასთან სიავით, სიმრუშით და ავაზაკობით სავსე თვალებმა...

— ცვარია! დაიძახა პავლიამ.

— ნიავი! უპასუხა მიხაკიამ.

— ქოკოია! შეჰნიშნა მესამემ... ესენი იყვნენ ნაკიმბირალი ხალხი, თავზე ხელაღებული.

მიუხედავათ იმისა, რომ რაჟდენია შეხვდა მათ პირმოთნე ღიმილით, ხელების შლითა და „ვოზდუშნი პოცელუით“, — მაინც ვერ შემოიტყუა ისინი და შეჩერდენ არა რაჟდენია რუხაძის სამიკიტნოში, არამედ ამბაკო კუჭავასთან.

უდაბურობა

თენდებოდა ღამეები და იზრდებოდა იულონი.

ქვეყანა დაფენილიყო მთის ფერდობზე; შარა გზა გადასჭრიდა ამ ქვეყანას, ხოლო შარა გზის ორივე ნაპირას ხარობდა ჟოლის ხეები, ტყემლები და ყოველგვარი ხეხილი.

წნელის ღობეებში მიმოფანტული იყო ფაცხები, ფიცრული სახლები, თავლები, ძროხა, ძაღლი, შინაური ფრინველი.

შორს მოსჩანდა ტყე; ის იდგა უძრავად და კარგ დარში მუქი ფერით გამოეყოფოდა ცას.

სოფლელები თავისთავად ცხოვრობდენ: მიმოდიოდენ დღე და ღამ შარაზე, ხან მხიარულები, ხან გაჯავრებულნი.

დილ-დილობით და საღამოობით ჰყიოდენ ერთად მამლები, ჰყეფდენ ძაღლები, ბღაოდა ნახირი და დედაკაცი უყიოდა შორიდან დედაკაცს;

ყველაფერი ეს იყო ამ მხარის და თუ ხანდახან შორიდან ამოიჭრებოდა ურმის ჭრიალი, ისიც ამ სოფლის იყო, მოხოხავდა ღამიდან, ძლიერდებოდა და შემდეგ ერეოდა დაღლილ სოფლელების საუბარს, უეცრად რომ გათავებულიყო რომელიმე ეზოში.

საღამოვდებოდა ერთხელ, როდესაც ფერდობის მეორე მხარეშიაც იყივლა მამალმა. იულონი შეკრთა და სახლისაკენ მოჰკურცხლა; ის სრულიად ბავში იყო და გაეგონა: პატარებს ტურა შესჭამსო;

მირბოდა და ესმოდა შორეული მამლის ყივილი; ამავე დროს ცას მოსწყდა ვარსკვლავი და სანამ ჩაინთქებოდა ტატნობს მოხრილ ხაზად გაევლო;

ხაჩმა გაანათა და ჩაჰქრა. იულონმა პირი დაალო: ჩამქრალიყო მამლის ყივილიც და ბავშმა იფიქრა: უთუოდ მამლის გატყორცნილი ყივილი იყო ცაზე რომ გაანათა და ჩაჰქრა, მას კი ვარსკვლავი ეგონა.

მაინც მირბოდა იულონი.

მამლის მაგივრად ეხლა შორეული ძაღლის ყეფა შემოესმა და უფრო შეშინდა. გულგახეთქილმა შეირბინა ფაცხაში. იქ დაენთოთ ცეცხლი, შემოსხდომოდენ ირგვლივ კერას, სწვავდენ სიმინდს და საუბრობდენ ხმამაღლა. დიდები ისე მხნედ იცინოდენ ხანდაზმით, რომ იულონი დამშვიდდა და გონებაში კიდეც დაემუქრა შორეულ მამალსა და ვარსკვლავს, რომელთაც ცხადია რაღაც კავშირი ჰქონდათ ტურებთან.

დიდები ეწეოდენ ჩიბუხს. დიდები ათბობდენ საჭამადს და ქალებს დასწითლებოდათ ლოყები და ფეხები.

იულონი მიუჩოჩდა პატარა ჩატუს და საიდუმლოდ გაანდო თუ რა შიში ნახა

ჩატუ იულონის უფროსი და იყო.

— შე სულელო—ჩურჩულითვე უპასუხა მან—ფერდობის გაღმა სხვა სოფელია და სოფელში მამლები იყივლებდენ. —

— სხვა სოფელი? მატყვილებ ჩატუ! —

მაშინ ჩატუმ გაიცინა:

— შენ მართლა არაფერი გცოდნიაო. —

ჩატუს თვალები მიელულა. ცეცხლის ტკრციალში ისმოდა თავლიდან ნახირის ბაკუნი. ბოლავდა ცეცხლი. დიდები არ ხუმრობდენ; საუბარი გათავდა და სიცილს მოეკიდა რული.

ეზოში გაყუჩებით იდგა ღამე.

ამდენხანს ეს ღამე მხოლოდ ამ სოფლისათვის მოდიოდა, რადგან სხვა სოფელი არსად იყო და ეზოს ძაღლები მას არ ერჩოდენ. მაგრამ დღეიდან ეგევე ღამე მოდის იმ სოფლისთვისაც, რომელიც ფერდობის მეორე მხარეზეა და ვინ იცის, იქნებ იმ სოფლის ღამეა ეს.

იცვლებოდა დროები დაუდგრომლად: ზამთარი, ზაფხული, გაზაფხული, შემოდგომა. დროების ცვალებადობისა სოფელ ღრუწიფელას არაფერი ეკითხებოდა, მხოლოდ მწიგნობარ დედაბრებმა, სხვა მრავალ თილისმასთან ერთად, იცოდენ ამინდის საიდუმლოების ახსნა; მაგრამ საშიში იყო მათი ღვრიე თვალები და აუშფოთებელი დუმილი. სოფელი (ღრუწიფელა) არ ჰფარავდა თავის შიშს.

შიში მუდამ ზამთარი იყო, როცა დღის ნათელი თვალსა და ხელს შუა ილეოდა, როცა თავის ანაბარა რჩებოდენ მასლაათ შემოკლებული ღრუწიფლელები და იძულებული ხდებოდენ ყური ეგდოთ თავის სუნთქვისათვის ან ესმინათ ტურების კივილი და მგლების ყმუილი, რომელნიც გადმოდგებოდენ ფერდობზე და თავზარდამცემ ხმით, მოსთქვამდენ სოფლად ცარიელ სტომაქისა და მცირეოდენი ხემსის ვედრებას. სოფელს აჟრჟოლებდა.

იულონი სულგაკმედილი ეკვროდა ჩატუს; მას აფრთხობდა ნადირთ ღრიანცელი, ქუთუთოებზე შიშის ცრემლები ადგებოდა და მზად იყო ეყვირა, მაგრამ ბაბუას ზღაპარი შეეშლებოდა.

ბაბუამ სულდათქმით იცოდა ლაპარაკი და ლაპარაკის დროს თვალებს ატრიალებდა და ხმას იცვლიდა; და რამდენჯერაც არ უნდა დაეწყო თავის ერთად ერთი, ბაყბაყ დევების შებმის ზღაპარი, იმდენჯერ იცვლიდა ბაბუა გამომეტყველებას და მსმენელთ ეგონათ ახალი ზღაპარი და ისმენდენ სიამით.

გარედ თოვლი იდვა;
არავინ გადიოდა გარედ;
მხოლოდ მონადირენი კვალავდენ ველურ ტახებისა
და შველების საჯილაგოს. მათ მისდევდა ყურშა, დამარცხებულ ნუკრისათვის გასისხლიანებულ ტუჩზე რომ ეკბინა, ან სულწასულ წკმუტუნით რომ აელოკა შველის გაყინული, ბალახისფერი თვალი.

ლრუწიფელაში მოულოდნელად ჩნდებოდა ზეცა მრგვალი და გულკეთილი. შიში მკრთალდებოდა ნელა და როცა ტყის წვეროზე დაინახავდენ მზეს, არ იყო შიში სრულებით და იწყებოდა ჟრიამული.

III

ურმის თვალი იფლებოდა უყე ნიადაგში და ლეგა ხარები მიიბეკნიდენ ფერდობს. იულონი იჯდა ურემზე.

გამოჩნდა ჯერ კვამლი, გაისმა ძალლების ყეფა და შემდეგ გაიშალა მეორე ისეთივე ქვეყანა, როგორიც ლრუწიფელა, მხოლოდ ამ მეორეს სოფელი ნაეშვარი ერქვა.

იულონმა ერთბაშად დაინახა და ერთმანეთში აერია: დიდი ნაცრისფერი ნაგაზი მათკენ ყეფით რომ მორბოდა, თეთრწვერა ბერიკაცი, რომელიც ყანას ჰკაფავდა და ჩალას სწვავდა, შორით ტყე — ზედმეტად ჩაფიქრებული, დინჯი და ძალლივით რომ არ ხტოდა, ქვევით დიდი ტბორი, შემდეგ ქოხები, პირუტყვები და ისევ ტბორი, თვალუწვდენელ მანძილზე ვერცხლისფრად მბზინავი.

თვალის დახამხამება ვერ მოასწრო იულონმა, ნაგაზი რომ მოვარდა და ფეხებში ეცა:

— ვაი — იყვირა ბავშმა და სანამ იყვირებდა — გაიფიქრა: აქ სხვანაირი ძალლები სცოდნია, ძალიან მარჯვე ძალლებიო. —

ფეხში ბასრი კბილები იგრძნო, ეტკინა, ბაბუასკენ გაიწია. ბაბუამ შემოუტია ძალლს, იქით თეთრ წვერამ დაუცაცხანა და უეცრად, ნაცრისფერი ნაგაზი ჰაერში გადაბრუნდა, მწვანე კვამლი, მალლა რომ მწყობრად მიემართებოდა — აირია, ტყე დაფეთდა და ვეებერთელა მუხები ულაყებივით ჩაცვივდენ ტბორში.

— ნუ გეშინია ბაბული, ნუ... — ჩასძახოდა იულონს ყურში ბაბუა.

— დამწვარი ლობიო დაადევი და დაუამებს. —

— დასაამებელიც არაფერია, ამხელა ვაჟკაცია. —

იულონს გული მოუვიდა: — მისთვის ეკბინა, დასაამებელი თუ არ იქნებოდა ვნახავდი! — შერცხვა იულონს, ივაჟკაცა და დამშვიდდა.

ხანგამოშვებით ნატირალ თვალით ქურდულად დაიხედავდა ნაკბენზე და ბაბუა ეკითხებოდა:

— ხომ არ გეწვის ბაბული? არაფერია ბაბული, არაფერი! —

თეთრ წვერა კაცი ისევ ჩალას სწვავდა და მის მოძრაობას თვალს ადევნებდა, ცეცხლის პირას ამპარტავნად გაწოლილი ნაგაზი. იულონი მტრულად უცქეროდა ნაგაზს, შემდეგ ბავში გაერთო: ტყე თავის ადგილას იდგა ცის ქვეშ, შორს ტბორი მიდიოდა და გულზე დაფენილი მიჰქონდა თავისოდენა ცა.

„იჰ, არაფერი უცნაური! ტყვილა აებურდა თვალი პირველად და ძალლს აკბენია, მხოლოდ ეს არის — ნაეშვარი ჰქვია“.

იულონს თითქოს ენახა ოდესლაც ეს სოფელი ნაეშვარი და ეხლა მოაგონდა: ქოხები, ტყე, ფერდობი...

— ჰეი ბაბული, რა მაზიდები იცის იმ ტბორში რომ გაცოდინა — ამბობდა ბაბუა სინანულით და დანატრებით, თითქო უნდა სთქვას: — ვისაც ჩემი სიჭაბუკე არ უნახავს, მას ნუც ჩემი სიბერე ანახოს ღმერთმაო — იმ ტყეში კი — განაგრძობდა ბაბუა — ალები ბუდობს და ტყის კაცები დაბადუნობენ; კარგი ფეხმარდი ბედაურის იმედით თუ შეიბედება და ისიც დღისით ბაბული..

IV

ნაეშვარსა და ღრუწიფელას შორის გაზაფხულობით გაეფინებოდა ჩითის ზეცა, ფერადი და სათნო, სწორედ ისეთი, როგორსაც კაბად ატარებენ ლამაზი პატარძლები, ხოლო საღამოობით, როცა შაშვები და იადონები მოჰყვებოდენ გალობას — ზეცა იწყებდა რხევას და ჩამოდიოდა დაბლა.

ეზოებში ანთებდენ ცეცხლს, უკრავდენ ჩონგურს, დაირას და ცეკვავდენ. გოგოების ვნებით სავსე სიცილი ისმოდა შორს.

ხშირად ბერიკაცები, მხიარულება რომ არ შეწყვეტილიყო ყავარჯენს განზე გადააგდებდენ და მოჰყვებოდენ ცეკვას.

ღლისით ქალები ჰკრეფდენ ჟოლის ფურცელს და ჰკვებავდენ ყაჭს; მამაკაცები ამ საქმეში არ ერეოდენ.

აბრეშუმის ჭიები მწიფდებოდა თანისთან და ბოლოს შემოიქსოვდენ ტანზე ქულას და კვდებოდენ შიგ ქულაში.

ამ დროს სოფლის შარაზე გამოჩნდებოდა ხუმარა მენოშეს ჭლე ცხენი და ზედ ცხენზე თვით ხუმარა მენოშე.

— უი მენოშე, მენოშე! შენი სიკვდილი ვნახე მაინც და მაინც; მოდი, მოდი.

მენოშეს ფეხით მოსდევდა ძე მენოშესი, ახალგაზრდა არონი: მალალი, პირ-მკრთალი, ელვარე წვერ-ულვაშიანი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი და სუსტი.

— გიტირე მენოშე მაინც და მაინც, მოდი, მოდი.

მენოშეს არაფერი სწყენოდა:

— შენის ეშხით, მართლა დროზე უმდა მომვკდარიყავ ღვთის მადლმა.

— უი, მეარშიყება ქალო, მეარშიყება ჰა-ჰა-ჰა.

— ჰა-ჰა-ჰა.

მენოშე შედიოდა ეზოებში, სახლებში; მას სიცილით ეგებებოდენ ქალები და ეხუმრებოდენ. ხანდახან არონსაც ეხუმრებოდენ ქალები, დასცინოდენ, მაგრამ უხალისოდ რადგან არონი ყურადღებას არავის აქცევდა და არასოდეს არ იცინოდა; ის სჭამდა პურს, ნიორს და ნივრის სუნი ასდიოდა.

— მოისპე არონ, მოისპე... კოცნა მინდოდა, მაგრამ როგორ გაკოცო ნივრის სუნიანს? —

— ოლონდ დღეს მაკოცე და ხვალ დავიბან...

არონის ხუმრობა, ხუმრობას არ ჰგავდა და სიცილს არ იწვევდა; ხუმრობა არ იცოდა არონმა.

მენოშე ბალდადის მანდილით იწმენდდა ოფლს და ხსნიდა საწვრილმანოს: ფერად თვლიანი საყურეები, სათითეები, ქინძისთავები, ნარმა, ჩითი.

— რა ლამაზია ქალო, რა კარგია — პეპლებიანი.

— ღვთის მადმა, ღვთის მადმა, ადონაი... — განუწყვეტლივ ისმოდა მენოშეს ყაყანი, ქალებს გულზე ჩითს აზმანებდა და თითქო შემთხვევით, თითს მკერდზე გაჰკრავდა; ქალები იცინოდენ გულამოსკვნით.

მიდიოდა ლამეები.

მენოშე ჰყიდდა საწვრილმანოს, სამაგიეროდ ლებულობდა აბრეშუმის პარკს, დაფნის ნაყოფსა და ფოთოლს და თან პირზე დუჟი ადგებოდა იმის მტკიცებაში, რომ:

— აგებს ხათრით, ხათრით მოსდის ზარალი; ვერ ულალატებს ნაცნობ ქალებს და მათის ეშხით კიდევ ბევრჯერ გაკოტრდება, მაგრამ ცოლ-შვილი რომ ელუპება — ეს აწუხებს. —

მენოშე ტვირთავდა ცხენს და სამივე: მენოშე, მენოშეს ცხენი და ძე მენოშესი არონი — გადიოდენ სოფლიდან.

V

იულონი გაიზარდა გრძელ მკლავა და ზანტი. თექვსმეტი წლისამ დაიარა ტბორი ჭვილდით, ბადით, ანკესებით და ვერ სცილდებოდა ტბორს.

ტბორში დიდრონი, ქვირითიანი მაზიდები ბუდობდა, შავი ლლავები იქნევდა ბოლოს და ლიაში ჩამძვრალი კობრები კვნეტდა ლაქაშის ძირს და მაშინ ლაქაშის წვეროები იოხეოდა ტბორზე.

იულიონს ანკესები გადაეყარა და ჩრდილში წამოწოლილს, ვეებერთელა თევზის დაჭერის სურვილი მოსდიოდა.

მზე გადახრილიყო დასავლეთით.

თვალუწვდენელ მანძილზე ჩუმად და უძრავად დალაგებულ დასიცხულ გარემოს ოშივარი ასდიოდა. მცირედხანს იულონიც გარემო იყო — სუნთქვა შეკრული და გაბრუებული; უეცრად ანკესი ლონივრად შეირხა, დაიძაბა, იულონს გონებაში აზრები დაუტრიალდა და გარემოს გამოეყო:

— ლლავი თუა! — გული აუფთხიალდა.

თევზი იზნიქებოდა ლრმა ტბორში და ტალღებს ისროდა. იულონმა თეთრი მაზიდა ამოაგდო ნაპირზე; ხელში აიღო, თვალით ასწონ-დასწონა: ძალიან იამება თუ ირა ბაბულისო! — სეთყოდ იამებოდა, დიდი იყო თევზი. მაგრამ იულონმა მაზიდა უგულოდ გადისროლა ჩრდილში

და შეუმჩნევლად ჩაფიქრდა: „სწყურია! სწყურია, რადგან ბოსტანში, სადაც გრილი კიტრები ეგულვება, ყოველ საღამო ხანს გაისმა სიმღერა. უთუოდ ქალი მღერის:

„მინდორში დევს თეთრი ქვა, დავკარ ხელი არ ამყვა“.

ამაზე უფრო მარტივი სიმღერა არავის გაუგონია, მაგრამ იულონს რატომღაც სისხლი უჩქროლავს ძარღვებში და ტანში ჟრჟოლა უვლის. წკრიალა და სურვილით სავსე ხმა კი, თითქო სუნნელოვან ბაგეებს ძალით უსხლტებაო, თრთის და რეკავს, ვილაცას დაეძებს, როგორც იადონი იადონს ისე უხმობს ვილაცას და ღონდება.

იულონიც ღონდება: ამ საღამოს არ ისმის სიმღერა!

მზე დაეშვა. ნიავი ამოიჭრა და აახმაურა ლაქაში.

იულონი ზანტათ წამოდგა, ანკესის ტარები მიწაში მაგრად ჩაასო და გაემართა.

წნელის ღობეს ქურდული ნაბიჯით მიუახლოვდა და ბოსტანში გადახტა.

ერთგან ტალავერივით გაემწკრივებიათ სარები; მოსჩანდა მაღლა ასული, წყლიანი სოფლები და მიწაზე მწვანე კიტრები.

იულონი ფრთხილად დაიხარა; კიტრს ხელი მოსდო მოსაწყვეტად, მაგრამ ვილაც უხილავმა ჰაერში სახრე შეათამაშა და იულონს ზურგზე დაჰკრა. სიმწრით კინალამ დაიკვნესა იულონმა.

„სახეში არ დამკრასო“ და უკან არ მოუხედია, მოსხლტა, მოჰკურცხლა.

„მიცნეს თუ არა ნეტავი? აი, ქურდობაზე დაჭერა!“ ფიქრობდა იულონი.

— ქურდი არ გაუშვათ, ქურდი. — უეცრად გაისმა ქალის ნაცნობი, წკრიალა ხმა — სახრემ დააფრთხო, ჰა-ჰა-ჰა! — დაცინვით იძახდა ქალი და კისკისობდა.

იულონი შესდგა; შეყოყმანდა ქალს მიუახლოვდა:

— შენ მღერი აქ საღამოობით? მგალობელსაც რომ იადონი ჰგონიხარ და მეც? — ახალგაზრდა ქალი დაცინვით იღიმებოდა და თვალები მაცდურათ უელვარებდა:

— სიტყვას ბანზე ნუ ისვრი; ჰო კარგი, კარგი, მაგრამ ეს კიტრი რაღა გეგონა? აჰ? ან ის სახრის გადამრტყმელი

ვინ გეგონა? უთუოდ მამაკაცი მოგელანდა და ამიტომ მოჰკურცხლე...

იულონი მიხვდა: — კიტრებთან ხუმრობით მახე მოუწყვიათ და სახრეც მან გადმოსტყორცნაო, მაგრამ ამ წუთში ეს არ აფიქრებდა მას.

— რა გქვია გოგო მითხარი! — ეკითხებოდა აღელვებული იულონი.

— წადი, მოჰკურცხლე, თორემ მალე მამა მოვა და ცოცხალი ვერ წაუხვალ — დაცინვით გაუმეორა ქალმა. შორიდან ვიღაცამ ბოხის ხმით დაიძახა:

— პელო, ჰეი...

— აქა ვარ მოდი, მოდი — პასუხი გასცა ძახილზე ქალმა და იულონს მიუბრუნდა:

— აბა, მოჰკურცხლე, დედაბერივით მიუჯექი ანკესებს.

ქალი მიბრუნდა:

„მინდორში დევს თეთრი ქვა...“ მღეროდა პელო და მის ხმაში დღეს მეტი სევდა კრთოდა. იულონი იდგა დალონებული და სიმღერას ყურს უგდებდა; ბოლოს გაჯავრებით შემობრუნდა და ბოსტნიდან ბურდღუნით გადმოეშვა. ანკესები დაამტვრია და თევზები ტბორში გადაჰყარა.

დაეშვა ბინდი.

სახლისაკენ მიმავალმა იულონმა ბოსტანთან ყური მოჰკრა პელოს სიცილს; ბოხი ხმა კი სიყვარულით აიგებდა:

— გაგონილა შე ანცო ვაჟკაცის ასე შერცხვენა? —

— არა მამა, რომ გენახა როგორ გარბოდა...

იულონი ბოსტანს გაშორდა. პელოს დამცინავი ხმა განუწყვეტლივ ჩასძახოდა ყურში: „დედაბერი, მეთევზე“. და მაშინ იულონი გაბრაზებით იქნევდა თავს და მუშტებს ჰკუმშავდა.

— მინადირე — მოდის. მინადირე! — მხიარულად დაიძახა ბაბუამ და იულონს მიეგება, მაგრამ მალე გაოცებული შესდგა:

— ანკესები რა უყავი ბაბული, აჰ? რამ დაგალონა! ენა ამოიღე ბაბული! — თითქმის მუდარით დაიძახა ბაბუამ.

ეზოში ჩატუ ძროხას სწველიდა და ათქვირეებული, წამოწითლებული სახით ეჩხუბებოდა საბას, იულონის ამხანაგს, რომელსაც ხბო დაეჭირა და თითქო მონდომებული იყო მეწველთან არ გაეშვა, ნამდვილად კი, ხბოს უშვებდა, თვითონაც ხარხარით მისდევდა ხბოს და აჯავრებდა ჩატუს.

— მოდით, ჰკითხეთ რა მოუვიდა ამ კაცს! — დაუძახა ბაბუამ ჩატუსა და საბას. მათ სიცილი შესწყვიტეს და იულონს შემოეხვიენ:

— ვერაფერი გინადირნია? —

— ანკესები? —

იულონმა უხალისოთ გაიქნია თავი და დარდიან კაცივით ამოიოხრა:

— ვერაფერი ვინადირე და ანკესებიც დავამტვრიე; მეტს არ ვითევზებ — ამ დღიდან იულონი დალონდა.

ბაბუამ მწიგნობარი დედაბერი შეუჩინა იულონს და ისინი დღე მუდამ ბუტბუტებდენ შელოცვებს; იდუმლად ამთქნარებდენ და სწყევლიდენ სნეულებას, მაგრამ არ შველოდა მუქარა და მაშინ „სახელის სახელითა“ დედაბრები იწყებდენ ცბიერებას.

ცხრა სხვადასხვა შელოცვა სცადეს დედაბრებმა და ცდა იყო ამაო.

— ჰაი, ჰაი — მწუხარებით იქნევდა თავს ბაბუა.

იულონი გახდა.

მთელი დღეობით ხმას არ იღებდა, მხოლოდ დროგამოშვებით, როცა საბა ჩატუსთან სალაღობოდ მოვიდოდა, იულონს ამჩნევდენ კრთომას, თითქო უნდა, საბას რაღაც ფარული გაანდოსო, მაგრამ წითლდებოდა და იბნეოდა. შემდეგ საჩქაროდ იღებდა თოფს და მიეშურებოდა სანადირო.

ულალისოთ მისდევდა მონადირეს ძალლი ამთარა.

მონადირემ დუმილით აიარა ფერდობი, სოფელ ნაეშვარში სვლა შეანელა და ერთგან სრულებით გაჩერდა: ჯიბიდან კვეს-აბედი ამოიღო და სანამ ჩიბუხს გააჩალებდა, ეზოს ჩუმ-ჩუმად დაუწყო ზვერვა.

ლამდებოდა. ეზოს გადალმა, გაძარცულ ბოსტანში ქარის ყოველ მოვარდნაზე ირხეოდა კენტად დარჩენილი ზაფნარა, ხოლო ეზოში, გაშიშვლებულ ლელვების ძირას წამოწოლილი იცოხნიდა ნახირი. ფიცრულ სახლს ქარისათვის ზურგი შეექცია და სთვლემდა; სახურავიდან ზანტად ამოდიოდა ბოლი.

მონადირემ თვალი მოჰკრა ქალის სახეს, წამით რომ სარკმელში გამოჩნდა და მიიმალა.

— პელო — ამოსუნთქვით წარმოსთქვა მონადირემ და დალონებული, უფრო დალონდა; ფეხაკრეფით გაშორდა სოფელს და ჩაინთქა ტყეში.

— რა გაცინებს შე ანცო? —

პელო სიტყვას ვერ ამბობდა, იცინოდა დაუსრულებლივ და მიზეზი ვერავის გაეგო; მხოლოდ ეს არის სარკმელში გაიხედა და სიცილი აუტყდა.

— ნეტავ რა მოელანდა? ჯვარი აქაურობას — მამა მისი ადგა და სარკმელში გაიხედა: შორს ვილაც მონადირე მიდიოდა.

— ჰო, რაო? რა ყოფილა ძია ნიკო? — ერთხმად იკითხეს პელოს ტოლებმა, რომელნიც პელოს აჰყოლოდენ და სიცილს ვერ იმაგრებდენ; ნიკო შეეჭვდა, გაუჯავრდა:

— აი, უშვერი სიცილიც ეს არის! — მაგრამ წყრომამ ვერ გასჭრა და ნიკომაც გაიცინა;

— დედა ნუ მომიკვდება არაფერი... მომაგონდა რაღაც... — ცრემლების წმენდით ამბობდა პელო და ისევ იწყებდა სიცილს, თვალს ნაბავდა, გული უცახცახებდა და ტოლებს მკერდზე ეკვროდა; სიცილისაგან ქალებიც წელში იხრეოდენ და პელოს ახლო ეფინებოდენ.

იმ ღამეს პელომ და მისმა ტოლებმა მარილ-კვერი გამოაცხვეს და შესჭამეს. ძალიან სწყუროდათ, მაგრამ წყალი არ უნდა ესვათ, სულ ერთია, დაიძინებდენ თუ არა — მოვიდოდა მათი საბედო და წყალს ასმევდა. ბუხარი მწვანე ალს ისროდა და სახლს ანათებდა, თუმცა უკანასკნელი მკვარი დამწვარიყო. გოგოებს არ ეძინებოდათ:

— ფხუ... ფხუ... დედაა წყაალი.

— ჰაჰაჰაჰა, სუ შე ალქაჯო.

— იულონი გადარეული...,

ნიკო ჯავრობდა და იმუქრებოდა:

— დაიძინეთ თქვე გასაწყვეტებო, თორემ ცხონება ჩემს სულს, მე თქვენ გარედ გაგყაროთ — შემდეგ მუქარას თავი დაანება:

— ოლონდ დამაძინეთ და თქვენ, თუ გინდათ სულ იცინეთ.

ბუხარში ნელი წივილით იწოდა შეშა და შეშაზე შელოცვილივით ინთებოდა და ჰქრებოდა მწვანე ალი.

ნიკომ დაიძინა; გოგოები დაცხრენ და ოთახი აივსო თილისმით.

პელოს არ ახსოვს როგორ ჩაეძინა:

ტახტზე წევს, მღერის და საბედოს მოლოდინში დალალებს ივარცხნის. მალე გამოეცხადება საბედო; პელო მორცხვად გაიღიმებს და თავჩაღუნული მიესალმება; პასუხსაც თავჩაღუნული გასცემს, რადგან მამაკაცზე თვალის მიშტერება პატარძალს არ შეფერის.

მალე გამოეცხადება, მალე! ქალს გული უცემს.

„აღმოსავლეთიდან მოვა, თუ სამხრეთიდან ნეტავი? — პელო სიმღერას სწყვეტს და სარკმელში იცქირება. სასიძოს მოსვლა რომ არ გამოეპაროს;

— ახ, იულონ გადარეული! — მუდამ ამ დროს ღადის სანადირიოდ; ეხლაც ეზოს წინ დგას და ჩიბუხს აბოლებს.

პელო თვალს ადევნებდა მონადირის მოძრაობას; იულონი ეზოში შემოვიდა და ბოსტანისაკენ გაემართა:

„ნეტავ რა დარჩენია ბოსტანში ამ გადარეულს? თუ ზურგზე სახრე მოენატრა ისევ? ან იქნებ საბედოა?

პელო მოწყენილი იცქირებოდა სარკმელში, მაგრამ ბოსტანი უკან იყო და მონადირე არ სჩანდა; ოთახშიც ბნელოდა და სწუხდა ქალი.

უეცრად სახლის კედლები ნელა შეირხა, მაღლა აიწია და ჰაერში დადნა.

განათდა ირგვლივ.

იულონს ხაფრანა მოეწყვიტა და პელოს აწვდიდა, თან ისეთი მუდარით იღიმებოდა, რომ პელოს სიბრალულით აევსო გული:

— ჩამოვართვა თუ არა? — ფიქრობდა ქალი; ყოყმანობდა, ხან იულონს ახედავდა ქვეშიდან და ხან ყვავილს, ამ დროს ერთმა უცნობმა ვაჟკაცმა აივანზე ცხენი მოაგდო და ხმამაღლა დაიძახა:

— ჰეი მასპინძელო!

პელოს გაეხარდა, უნდოდა უცნობი სახლში შემოეპატიჟებია. მაგრამ ვერ მოასწრო...

— ვაიმე დედა! — იკივლა მან და გამოელვიძა.

— რა ამბავია! რა ამბავია! — ეკითხებოდენ პელოს შემკრთალი პატარძლები.

პელო ჯერ კიდევ ბურვანში იყო და აზრი ვერ მოეკრიფა, მერე სიზმარი მოაგონდა და ატირდა:

— სახლში მოპატიჟებაც ვერ მოვასწარი — სლუკუნებდა ქალი — იმ გადარეულმა თოფი მოიგდო, უცნობს ხელიდან ჩაფი გაჰვარდა, ჩემს ფეხთან დაიმტვრა და წყალი დაიღვარა...

გამოღვიძებული ნიკო დაღვრემით უსმენდა შვილს; ბოლოს ადგა, ფერადი ჭინჭილა წყლით აავსო და პელოს მიაწოდა:

— ჰა, დალიე შვილო, მაგრამ ესეც სიზმარი არ გეგონოს, ნამდვილი წყალია — პელომ წყალი არ დალია და პატარძლებმა გაიღიმეს.

VII

მთელი ღამის განმავლობაში ებრძოდა მთვარეს ქარი და ჯანყში ბურავდა. განთიადზე წამოვიდა თოვლი და

ქარმა მხარი იცვალა; ჩრდილოეთისაკენ გაიჭრა; ატორტმანებდა ხევებს და მისი ბორგვა დიდხანს ისმოდა შორიდან ყრუდ. ბოლოს ისიც მისწყდა.

მოდის თოვლი უხვი.

ჰქსოვს და ჰქსოვს სოფლისათვის თეთრ წინდებს; ჰქსოვს მყუდროებას, სადაც იძირება აღტაცება პირუტყვთა და კაცთა, ღია თვალებით რომ ხედავენ ზეცის გარღვევას და ასე ახლო კრთომას ზეცისა.

ცა ჩამოდის ფიფქად და ყოველი ფიფქი საზღვარია საოცრების და იმდენია საოცრება, რომ არ სჩანს საზღვარი, რომელიც შეიძლება იყოს სადმე, იქნებ ახლოს, მაგრამ მყუდროება ჰბოჭავს პირუტყვთა და კაცთ, და აღტაცება სულიერთა ხდება სათნო.

ნელა გამოვიდა მონადირე ტყიდან; დათოვლილი შტოები გადასწია და შტოებს ქვემოდან გამოხტა აფთარა.

მონადირე და ძაღლი, — წუთით შესდგა ორივე; გადათეთრებულ მანძილს თვალი გადაავლეს. თოვდა.

ახალგაზრდა აფთარას მოეჩვენა, თითქო ტრიალი მინდორი და ზედ მინდორზე ხეები, მაღლა ჩქარა-ჩქარა ადიოდენ და ჩამოდიოდენ დაბლა, თან ჰაერში ყირავდებოდენ და ერთმანეთს უხმოდ ენარცხებოდენ, მაგრამ საოცრება! მგონი ისევ უმოძრაოდ იდგენ თავის ადგილას, ვიდრე კვლავ მაღლა აფრენა არ მოეხალისებოდათ.

ძაღლს გამოუცდელი თვალები აებნა და კუდი ხშირ-ხშირად დაჰკრა მიწას. უეცრად, მის თვალწინ უზარმაზარი, ბებერი რცხილა შეირხა და ძაღლს თეძოზე უნდა დასცემოდა; — აფთარა მონადირისაკენ გასხლტა და მუხლზე მიეკრა, მაგრამ რცხილა არ განძრეულა;

მაშინ აფთარა ვერაფერს მიხვდა, მაშინ აფთარას არ მოეწონა გონებაში ბებერი ხის ხუმრობა, რომელიც, ვინ იცის თავის სიცოცხლეში იქნებ პირველად ეხმაურებოდა სულიერს, ისიც პირუტყვს და მაშინ აფთარამ, ხეს მტრულად დაუღრინა.

მონადირემ ღიმილით დახედა ძაღლს და დაუსტვინა:

— ჰუა აფთარაააა!.

გამხნევებული ძალი ყეფით წამოხტა, მონადირეს ირგვლივ შემოურბინა და ტრიალ მინდორში გაიჭრა; უკანასკნელად გამოკრთა თოვლში, გრძელ ბეწვიანი შავი კუდი და აფთარა დაიმალა. მონადირე ისევ დალონდა და დალონებული დაიძრა.

ჯერ აფთარა მიიჭრა სახლში. შინაურები სათითაოდ დალოკა, თრთვილი ბევრჯერ დაიბერტყა შინაურები აჰყარა და შემდეგ მოვიდა იულონი.

— მონადირეს ვახლავართ! ყოჩაღ გაგიმარჯვია!

იულონმა უხმოდ მოიხსნა ზურგიდან ნანადირევი.

— ბედაური შველია! ჰე. ჩემო ბაბული. ჩემს ვაჟკაცობაში... — ზლაპარივით მადიანად წამოიწყო ბაბუამ ცველი ამბავი, მაგრამ აფთარამ ხომ საშველი არ გაართვა? თურმე ამდენხანს ითმენდა ბაბუა ძალს, რომელიც მისდამი უყურადღებობას ვერ ითმენდა და მცირეოდენ მოფერებას მოითხოვდა; ითმენდა ბაბუა რაღაც უწესობას, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო სახელდობრ რას, ბოლოს მიხვდა და ერთბაშად აშფოთდა:

— დალახვროს ღმერთმაო! და ძალს მუგუზალი დაჰკრა.

იულონმა გაიღიმა; საბაც აქ იყო და ჩატუმ და საბამ გადიხარხარეს, ბაბუას აზრი გაუწყდა და ამის შემდეგ, რამდენიც არ ეცადა, სათქმელი ვერ მოიგონა, ამიტომ წარბშეკრული იჯდა და დროგამოშვებით იძახდა:

— დალახვროს ღმერთმა!.

იულონი დაწვა. უხალისოთ ადევნებდა თვალს შველის გატყავებას. ჩატუს ხელები სისხლში მოსვროდა; საბა იქვე იჯდა და თავდაჭერილ ჩურჩულით უმჟღავნებდა ქალს ტრფობას; ხანდაზმით, თავდავიწყებით მიაჩერდებოდა ქალს თვალებში და მიიწევდა მისაკარებლად; მაშინ ჩატუს სახეზე იფეთქებდა ალმური და ქალი თვალს ნაბავდა და შველის ტყავს ბევრ ხორც ატანდა.

იულონმა ეს დაინახა და მიხვდა. დიდხანს უცქეროდა დისა და თავის მეგობრის აროშიყობას, კიდეც იცინოდა თავისთვის ჩუმ-ჩუმად, მაგრამ თანდათან ფიქრები შეიშალა:

„მინდორში დევს თეთრი ქვა“ — ვერცხლივით წკრიალებს შორს, გონების ფსკერზე ქალის ხმა და ათრთოლებული იულონი ყურს უგდებს; ხმა ახლოვდება და ცხადია, ქალი ვილაცას ეძახის, ვილაცისთვის მიაქვს შავგვრემანი ლოყები და ვნებით დაყურსული ტანი.

ეს ქალი უნდა იულონს, უნდა ისე, რომ სული ეხუთება, ცახცახებს.

— ხჭა! — ლონივრად ჩაისუნთქა იულონმა, გონება გადალახა და ქალი ხელში იგდო; ქალი შეჰხუთა კოცნით. არ ახსოვს არაფერი, არ იცის არაფერი:

„ვისაც უნდა მოვიდეს, თუ სურვილი აქვს ნაჯახი დაჰკრას და ზურგი გაუპოს, დაუმსხვრიოს ხერხემალი — ჯანდაბას! ოლონდ ქალს არ ევნოს რა!.. მაგრამ ქალი რომ დასცინის? დასცინის! დასცინის!“.

იულონი გამწარებით დაიგრიხა ლოგინში და ხმამაღლა ამოიგმინა:

— ვაჰჰა!.

ამოგმინვაზე საბა და ჩატუ ერთმანეთს უნებურად გაშორდა, ბაბუა კი შეკრთა, იულონისაკენ მობრუნდა და მოფერებით ჰკითხა:

— რაო ბაბული, რა იყო?

— არაფერი—ყრუდ სთქვა იულონმა და ამოისუნთქა.

ჩამოვარდა სიჩუმე; (კეკხლი ანათებდა მკრთალად და იულონის ამოგმინვა და ბაბუას მოფერება ჯერ კიდევ არ დამდნარიყო სიჩუმეში.

— რა მომდის, რა? — უკმაყოფილოდ ფიქრობდა იულონი — ხან მთელი დღეობით ვდუმვარ, ხან ამიტყდება ოხვრა და თავს ვირცხვენ. არ მიმჟღავნებენ თორემ ყველამ იცის რაც მადარდებს... დავიჯერო — ბაბუამ არაფერი იცის? მაშ, რატომ მკითხა მოფერებით: „რაიყოვო“? მკითხა და ხელათვე გაჩუმდა; რომ არ იცოდეს, სხვა ხაირად მკითხავდა, არ მომეშვებოდა და მიზეზს გაიგებდა; იცის, იცის! ხელათვე გაჩუმდა და თავი დაჰხარა... რა ვქნა, რა!.. — არ იცოდა რა ექნა.

სანადროდ დადის, სადმე რომ შემთხვევით შეეყაროს; მის სახლთან მუდამ ჩერდება; პელომაც ალლო აუ-

ლო და სარკმლიდან იცქირება, მაგრამ უკმეხად, დაცინვით; ამის მოგონებაზე იულონს სისხლი თვალებში აწვება და კბილებს ახრჭიალებს; გრძნობს უბედურება დატრიალდება და უნდა პელო გააფრთხილოს:

„ქალო ჩემი უნად იქნე თორემ...“ ფიქრი ვერ დაესრულებია, ქალის დამცინავი ლიმილი რომ წარმოუდგა; იულონი მიაშტერდა პელოს თვალებში და ქარქაშიდან ხანჯალს ეზიდება, მაგრამ მთელი სხეულით თრთის და გრძნობს: ვერ გაიმეტებს, ვერა, ვერა!

პელო კი იცინის ცივად; იულონის ტრფობასაც დასცინის, გულსაც დასცინის, რომელმაც პელო ვერ გაიმეტა და ვაშკაცობასაც დასცინის მისსა.

სული ეფლითება იულონს: რა ჰქნას, რა!

— ქალო! — გამოცვლილ ხმით ლრიალებს და ხანჯალს იძრობს, მაგრამ პელოს თვალები ეგებება მისსა და იულონი უხმოდ იგრიხება ლოგინში და გამწარებით გმინავს:

— ვაჰ!

— ბაბული! რა დაგემართა გვითხარი!

— ავად ხომ არ ხარ იულონ?

— რა იყო ბიჭო, სიზმარში ხომ არ იყავი?

იულონი გამოერკვა:

— აჰ? სიზმარში? არა, სიზმარში რა მინდოდა!

— მაშ, რა მოგივიდა ბაბული, რა!

იულონი გაწითლდა და დარცხვენით სთქვა:

— გავცივდი ბაბუა და მგონი უქეითოდ ვარ — მაგრამ ხელათვე გული მოუვიდა თავის თავზე და გულმოსულმა დაიძახა:

— თავი დამანებეთ, თავი!

იულონი მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ბაბუა კვლავ ცეცხლს მიუჯდა და ჩაფიქრდა. დიდხანს იჯდა ბაბუა დაღვრემილი. ცეცხლი მიილულა.

საბა და ჩატუ სხედან კუთხეში და იქიდან ხან სიცილი ესმის ბაბუას, ხან უნებური ამოოხვრა. ბაბუამ გაჰხედა მათ:

უცნაურად გასწითლებიათ სახე საბასა და ჩატუს; ცეცხლი კი მათ არ ანათებს; გარდა ამისა, შუალამე მოახლოვებულია და საბა წასვლას არ აპირებს... ერიჰა! საბა საკოცნად გაიწია ჩატუსაკენ და ჩატუმ მორჩილად დაჰკიდა თავი; საბამ ჩატუს აკოცა და ბაბუამ გულკეთილად გაიღიმა და წვერზე ხელი გადისვა; საბამ დაინახა ბაბუას ღიმილი და შერცხვა; ადგა, წასვლა დააპირა.

— მიდიხარ საბა? ჩუმად ჰკითხა ჩატუმ და უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, ან კიდევ რაღაც მოესმინა, მაგრამ საბამ თვალით „ბაბუა“ ანიშნა.

— მიბრძანდები საბა? — ეშმაკური ღიმილით იკითხა ბაბუამ.

მხიარული და გამარჯვებული საბა გაჩქარებით მიდიოდა. წუთით იულონის ამოხვრა მოაგონდა: ნეტავ რა დაემართა ამ კაცსო, მაგრამ იულონი მალე დაავიწყდა.

უსაშველოდ თოვდა და სოფელში არ ისმოდა სულიერის ხმა. ახალი თოვლი თეთრ-ლურჯად დაფენილიყო და სიარულის დროს, საბას ესმოდა თოვლის ბეკნის შრიალი.

VIII

ორ დღელამეს თოვდა ღრუწითელაში, თოვდა ნაეშვარში. თოვდა შორ მხარეებში. გამოცდილები ამბობდენ:

— ამ ჟამად მთელ ქვეყნიერებაზე თოვს, რადგან მარეხი ჰჯდა მეცხრესა სახლსა ზეცისასა, კვლავცა ვეშაპის კუდითურთო....

ამის მეტს გამოცდილები ხშირად არაფერს ამბობდენ, მაგრამ მათი გამომეტყველება, საგონებელში აგდებდა მსმენელთ:

— უთუოდ ცივი და ხანგრძლივი ზამთარი იქნება; ზამთარი ვაგლახისა, ძოწოლვისა და უბედურების მომტანიო.

თოვლი დაჯდა ერთ ადლზე; შემდეგ დაუბერა სხვადასხვა ქარებმა და ჩამოდგა ყიამეთი. გახშირდა ავადმყოფობა.

იულონი წევს, ავადაა. მას ჩატუ მიემატა და ბაბუა შესწუხდა.

საბა დილ-დილობით მოდის და შუადღემდე რჩება.

სიცხე აქვთ ავადმყოფთ. იულონი ბორგავს და როცა ბაბუა ამას ამჩნევს, მორჩილის ლმობირებით ბუტბუტებს:

— რა დავაშავე!

ბაბუა ერთობ უხერხულად მოძრაობს სახლში და ავადმყოფს თვალებში ვერ უცქერის.

„ისევ საბა, თორემ... ღმერთმა დალოცოს — წყალს აწვდის ჩატუსა და იულონს; მათთან ტრიალებს და მათ სურვილს ბაბუას უმარტავს“.

ამას წინად ითხოვა ჩატუმ:

— ქვის ბუმბულის ზღაპარი სთქვას ბაბუამ:

ეს ბაბუამაც კარგად გაიგონა, მაგრამ იფიქრა: აბოდებს, სიცხე აქვსო, — მხოლოდ შემდეგ საბამ დაარწმუნა: ზღაპარი უნდა ეთქვა ნამდვილად.

უწინ მუდამ დამცინავის ღიმილით იწყებდა ბაბუა ზღაპარს; იტყოდა:

— ჰე, იყო და არა იყო რა... — და დაცინვით გადახედავდა მსმენელთ, ან თუ არა გაიღიმებდა მაინც, მაგრამ ეხლა ზღაპარი დაიწყო და არ გაუღიმია. ხმა ნაღვლიანად უვარდებოდა და ბუტბუტებდა:

— ...შესძახა ვაჟს ქვამა: მოდი მეამბორე, ამეხსნება თილისმა, ისევ ბულბულად ვიქცევი და რომ დაუსტვენ, ტყიდან ერთი მზეთუნახავი გამოვა, საკენკად ვარდის ფოთლებს მომიტანს და მე, შენ მას შეგრთავო...

ამ ადგილას იულონი ძლიერ აბოგრდა და ბაბუამ ზღაპარი შესწყვიტა.

— რომელია თქვენში, რომელი — გარკვევით ამბობდა იულონი, ჩავარდნილი თვალები უელვარებდა და ოფლიმოდა. საბა ავადმყოფთან მივიდა; მივიდა შეშინებული ბაბუაც.

— ...მე იმას ვამბობ, რომ პელო... მე მინდა პელო, ჩემო ძმაო, პელო, პელო — ავადმყოფი მისჩერებოდა საბასა და ბაბუას, მაგრამ მათ ვერ ხედავდა და იცქირებოდა მათ გასწვრივ.

პელოს ხსენებაზე საბა გაოცდა, შეეჭვდა, მოაგონდა იულონის ყოფა-ქცევა, სანადიროდ ხეტიალი, დაუდგრომლობა და საბა მიხვდა.

იულონს თვალები ჩაუქრა და გონების ნათელობა წაერთვა.

— როგორც სჩანს საბა, ყვავილ ბატონები მობრძანებულა — ჩურჩულით სთქვა ბაბუამ — ნინოსთან მიმეგზავნე და თხოვე მობრძანდეს.

საბა გაიქცა და სანამ დაბრუნდებოდა იულონზე ფიქრობდა; ფიქრობდა გულის სიკეთით:

— აი, სულელი! ამაზე ადვილი რა იქნება? მე მოვაგვარებ ამ საქმეს! ბიჭი არ ვიყო თუ არ მოვაგვარო. იულონი ვაშკაცი ბიჭია, უარს ვინ ჰკადრებს? ვერავინ; ოღონდ ეხლა მორჩეს! პელო, გოგია ბროლივითო, გამიგონია მაგრამ როგორიც უნდა იყოს...

ღიმილით შემოვიდა მოხუცი ნინო, ქალი ნაყვავილევი და მწიგნობარი; ავადმყოფებს დაჰხედა და დასტურის ნიშნად გაიღიმა. ბაბუა შეკრთა, მაგრამ ბატონები რომ არ განერისხებია — შეკრთომა არ გამოაჩინა. ნინომ გამხმარ ყვავილის ძირები ავადმყოფთა სასმელ წყალში ჩაჰყარა, მერე კედლიდან ჩონგური ჩამოხსნა და ბაბუას ხელში მისცა:

— აბა, ბაბუა იაგორ, სმენა დაუამე ყვავილ ბატონებს.

არაფრად იამა ბაბუა იაგორს ასეთ დროს ჩონგური, მაგრამ არც ეს უკმაყოფილება გამოაჩინა; მორჩილებით აიღო და როცა ააწყო — ჩამოჰკრა სიმებს. ბაბუას თეთრი თავი დაბლა დაუვარდა; მიწის შეხებას შეჩვეული მისი თითები სათუთად მოედო ჩონგურს და ჩონგური გაისმა წყნარი და ალალი.

ყვავილების სამასხურს მიჩვეულმა ნინომ ხმა დაუდაბლა, მიმოდიოდა ავადმყოფებში სალბუნად, მისი ხელის აწევით ოთახში დგებოდა ყვავილების სურნელი და ხანდახან, გალიმებულ ბაგეების რხევით ამბობდა დაყვავებას.

ისე კარგად უკრავდა ბაბუა იაგორ ჩონგურს, რომ სუნთქვა შეეკრათ ავადმყოფებს; სიამით ყურს უგდებ-

დენ და ამ დროს ესმოდათ, როგორ მოდიოდა ოფლი მათი ვე სხეულიდან.

— აქ ბატონები მოსულან იავ-ნანინაო,

იავ, ნანა, ვარდოვ ნანა, იავ-ნანინაო — ირხეოდა ბაბუას თეთრი, აბრეშუმი წვერები; წვერებში იხლართებოდა გალობის სიტყვები, ჩონგურს რომ პაწია ვარდებივით ამოჰყავდა მის პირიდან, ხოლო ჩონგურის ხმები, აბრეშუმივით მბზინავი — ეხვეოდა ბაბუას წვერებზე;

თავი დაეხარა ბაბუას და ისე იჯდა.

ნინო იღიმებოდა ბატონებისათვის და მიჰყვებოდა ჩონგურს, მოგზაურ ბერიკაცივით დაღლილი რომ მოსულიყო შორიდან და ისევ შორს რომ მიდიოდა.

ბაბუა იაგორიც მიჰყვებოდა, მაგრამ არ იღიმოდა დაღლილი ბერიკაცი; საყვედურით გასცქეროდა დუმილით დაყრუებულ სიშორეს, ჩერდებოდა და ყვედრებით იწყებდა ლაღადს:

— თქვენი მოსვლის გზის — ჭირიმე, იავ ნანინაო.

ჩატუ ოფლში სცურავდა... შინაურებს ჩაეძინათ. დალამდა; მხოლოდ ეს არც დალამება იყო: დაბლიდან თოვლი ანათებდა მაღლა ცას და იდგა ისეთი სინათლე როგორც დღისით.

„...ჩატუ საბას ელოდა და ეზოში გავიდა. არავინ სჩანდა შარაზე. უეცრად შესახვევში ეჟვნები დარეკეს; თოვლში ფლოქების ცემის ხმაც გაისმა მკრთალად და ჩატუს ახლო ამოძრავდა შესახვევიდან გამოდენილი მხედრების ლანდი. მალე შესახვევიდან გამოვიდენ უცნაური მხედრები და დასცეს ყიჟინა: თურქები იყვნენ. წითელ სახისანი,ყვავილებით მორთულნი და ჯდენ ეჟვნებითა და ყვავილებითავე მორთულ ჯორებზე. ჯორები მხედრების სიმძიმით წელში იზნიქებოდენ და სასაცილოდ მითოხარიკობდენ. მხედრების ყიჟინამ და ეჟვნების წკარუნმა მიდამო დააყრუა; ჩატუ შეაკრთო მხედრების იდუმალობამ; ისინი თითქო ვერ ამჩნევდენ ჩატუს, ნამდვილად კი, ხელში ჩაგდება უნდოდათ მისი, ამიტომ ჟრიამულს აძლიერებდენ და განგებ ხელს სხვა მხარისაკენ იშვერდენ.

ჩატუმ კარგად შენიშნა, ერთმა თურქმა მასზე რომ მიათითა; ჩატუ გაიქცა, მაგრამ თურქმა ადვილად დაიჭირა, მუშტი ნიკაპზე დაჰკრა და ველურ ხარხარით იწვევდა დანარჩენებს ჩატუს მოსაკლავად. ჩატუ კვნესოდა; ამ დროს თვალი მოჰკრა საბას; ის გარბოდა შესახვევში და ჩატუმ იკივლა:

— საბა მიშველე!

— . . —

— ბატონებს ჩამოუვლიათ — ლიმილით სთქვა ნინომ.

ჩატუს ნიკაპი გაუსივდა; ტანზე მუწუკები გამოჰყარა, სახე დაუჩირქდა, ცალი თვალი წაერთო. გაჭირვეულდა ბატონები. გაჭირვეულდა ჩატუ:

— თვალი, თვალი ბაბული — კვნესოდა გამუდმებით და როცა საბა მოვიდოდა, თავს საბანში მალავდა. იულონი გაბრუებული იწვა და დროგამოშვებით იწყებდა გაუგებარ ბუტბუტს. ჩუმჩუმად იწმენდდა ცრემლს ბაბუა იაგორ.

დიდი ხანია ავადმყოფებს თავზე შემოავლეს ქოჩორა ქათმები, თაფლის სანთლები და ნინოს რჩევით, ბაბუა იაგორიც გამხიარულდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, როგორც სჩანს: ძალიან განერისხებიათ ყვავილები და მათი გულის მოლბობა ვერაფერმა შესძლო. მაშინ ბაბუამ ხელები მაღლა აღაპყრო და თვალცრემლიანმა თავისი თავი შემოავლო შვილიშვილებს. ყველა ისმენდა ბაბუას ღაღადს. ავადმყოფებს სუნთქვა გაუხშირდათ; საბამ მწარედ დაჰხარა თავი, ხოლო ნინოს, პირმცინარი გამომეტყველება დაეკარგა და სახეზე გამოაჩნდა მორიდება და შიში.

—მე მიმიღეთ, მე! თქვენი თეთრი მუხლების ჭირიმე! — ამბობდა ბაბუა იაგორ — ნუ ერჩით ახალგაზრდებს. დატოვეთ ისინი, რა დაგიშავეს მათ? თუ რამეთი გაგაბრაზეს აჰა, მე მათი სანაცვლო! — ბაბუამ ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო, მაგრამ ხმაში თანისთან დაეტყო გაჯავრება, ბოლოს განრისხდა და სახე გაუშრა:

— წამიყვანეთ! მე ვიყო მათი სანაცვლო თუ რაიმე დაგიშავეს, მაგრამ რას დაგიშავებდენ, რას, ასე რომ ერ-

ჩით!? ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ და თქვენ ვინა ხართ, ვინ!! — აქ ისევ აუკანკალდა ხმა ბაბუას და როცა, შეშინებული ნინო მივიდა და ხელი მოჰკიდა: ბაბუა იაგორ გონს მოდი, ნუ დაჰლუპავ ახალგაზრდებსო, მაშინ დაეშვა ბაბუა იაგორ სკამზე და ულონოდ ატირდა, თან უსასოოდ ბუტბუტებდა:

— თქვენი მუხლების ჭირიმე ბატონებო... თქვენი თეთრი მუხლების.

საბა გარეთ გავიდა.

IX

დალონებული მივიდა საბა სახლში და ცხენი შეკაზმა:

— დაბაში მივდივარო.

ფაფარ აყრილი ულაყი ჯერ თოხარიკით გაიჭრა და დაბეკნილ თოვლს ფლოქებით ისროდა, მაგრამ ნაეშვარის ფერდობს რომ შეუდგა, სვლა შეანელა და ლონივრად მოზნექილი კისერი მოუდუნდა. საბამ უხალისოთ მოიქნია მათრახი.

ნაბადი მოეგდო საბას ზურგზე და დადუმებული, თვალს ადევნებდა ცხენს, ნესტოებიდან ფშუტუნით ორთქლს რომ ისროდა.

ჰყინავდა.

მუქი საღამო უზარმაზარ ფრინველივით მოიწევდა შორიდან და ფრთების ყოველ მოქნევით, ნისლიან ცას აიძულებდა დაბლა ჩამოსულიყო.

— ოჰო — ამოოხვრით ფიქრობდა საბა და თვალში ებლანდებოდა ავადმყოფთა არეული სახეები; როცა ბაბუა იაგორი ატირდა, ნინომ საბა გაიხმო და უთხრა:

— საეჭვოა ჩატუს გადარჩენაო — ნინო გამოცდილი ქალია, მას არ უხაროდა ამის თქმა; სახეზე მწუხარება ემჩნეოდა და ბაბუას რომ არ გაეგონა, ჩურჩულით ეუბნებოდა საბას:

— შე ულმერთო, ერთი ფერადი საკაბე მაინც მიუტანე ჩატუს, იქნებ პირი იბრუნოსო... საბრალო ჩატუ! რა რიგ დაამახინჯა ყვავილმა? თვალიც წაართვა, ჰო, საკაბე! საკაბე! — აჩუ!

ცხენი გაიჭრა. უეცრად საბამ დაინახა პელოს სახლი და იულონი მოაგონდა: წუთით შეყოყმანდა, მერე ცხენი სწრაფად შემოაბრუნა, აივანზე მიაგდო და დაიძახა:

— მასპინძელო!.

სანამ პასუხს გასცემდენ საბა თავისას ფიქრობდა: დაბა ახლოა. მენოშეს ამ საღამოსვე გამოართმევ კაცი საკაბეს და ხვალ დილით აქ იქნები. იულონს კი, ეგ საქმე გაახარებს მოარჩენს...“

სახლიდან პასუხი არ ისმოდა და საბამ უფრო ხმამაღლა დაიძახა:

— მასპინძელო!

როგორც სჩანს ეხლა გაიგონეს ძახილი; ამოძრავდენ. პელო სარკმელთან მიიჭრა:

— უიმე! მოვიდა, მოვიდა! — გულისძგერით დაიძახა ქალმა.

— ვინა, ვინ!

— ის არის, ის, სიზმარში რომ გამომეცხადა საბედო!

ნიკო გარედ გამოვიდა და სტუმარი შეიპატიჟა. სტუმარი შეჰყვა. სტუმარმა პელო დაინახა და გაოცებული შესდგა. ქალი იდგა მის წინ დაოცხვენილი და დაბალი ხმით სთხოვდა დაბრძანებას.

საბა დაჯდა. დაჯდა ნიკოც და ჩიბუხის წევით ელოდა, რას ეტყოდა სტუმარი. სტუმარმა კი არ იცოდა რა ეთქვა: არ იცოდა საიდან დაეწყო, ან რა დაეწყო. ცხადი იყო: პელოს დანახვამ განზრახვები აურია და თვითონაც აირია; სურვილი ჰქონდა იულონის საქმე გაეკეთებია, მაგრამ ეხლა ამის სურვილი არა აქვს. ქალმა ერთი შეხედვით მოჰხიბლა და მოინადირა:

„თუ ოდესმე ქალი შემირთავს, ეს ქალი უნდა შევირთო“ — არეული ფიქრობს საბა და განსაკუთრებით მწვავედ აგონდება ჩატუს დაჩირქებული თვალი, ფარულ ზიზღს რომ ჰგვრის მას; შემდეგ აგონდება იულონის ვაშკაცური სახე და რატომღაც ისიც აგონდება, რომ იულონის გულის ნადები არავინ იცის.

„ვინ დასძრახავს საბას პელოს შერთვისათვის? ჩატუ?

მახინჯს ხომ ვერ შეირთავს? არა, პელო უნდა შეირთოს!“.

— დიდი თოვლი დაჯდა წელს... — ამბობდა ამ დროს მასპინძელი და წინანადება არ გაეთავებია, სტუმარმა რომ განგებ ჩაახველა და სიტყვაზე შეეცილა:

— ნიკო — დაიწყო საბამ. პელო სხვა ოთახში გავიდა.

X.

ბაბუა იაგორასას ბუხარი მიმქრალიყო.

ბნელოდა გულისშემალონებლად, როგორც მუდამ ზამთარში, როცა დღე და ღამე ერთმანეთს ეყრება და ღამე ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ილევა დღე ნელის თრთოლვით და თრთოლვითვე გამოსცემს მოლურჯო ნათელს, რომელიც არ იცი, დღეს ეკუთვნის თუ ღამეს.

აფთარას თათებზე დაედო თავი და იატაკამდე დაშვებულ ყურებით ცდილობდა დაეჭირა გაურკვევი ხმაური, ხანდაზმით რომ ისმოდა და ნაღვერადლის შიშინს რომ ჰგავდა. სიბნელეში ვილაცამ ჩუმად ამოიოხრა და მაშინ ხმაური შესწყდა და კვლავ განახლდა.

— მკვარი ავანთო ბაბული? — იკითხა ბაბუას ხმამ.

პასუხი არავინ გასცა. სარკმელიდან ცივად შემოდიოდა თოვლის ელვარება და მკრთალად ანათებდა კედელსა და იატაკს. მცირე დუმილის შემდეგ ბაბუამ ისევ იკითხა:

— მკვარი ავანთო ბაბული?

ბაბუას ხმა გაიგონეს ავადმყოფებმა, მაგრამ ერთი მეორეზე ფიქრობდა: უპასუხებსო; შემდეგ ჩატუმ გასცა ხმა:

— ნუ აანთებ ბაბუა!

უნებურ ლაპარაკზე აფთარამ სიხარულით აიღო თავი, მაგრამ ისევ დუმილი ჩამოვარდა და ძალმა ჩასთვლიმა. თვლემდა იაგორიც; მას ბევრ რამეზე უნდოდა შვილიშვილებთან საუბარი, მაგალითად:

— მადლობა ღმერთს უვნებლად რომ გადარჩენ; ეხლა ახალი წელი დადგება მალე და მზადებაა საჭირო, ისე ბაბული, თქვენ მე დამიჯერეთ და ნურაფერზე დარდობთ. ეს შენ გეხება ჩატუ! რა უყოთ, საბა თუ არ დადის; საბას შეუერცხვა ვაშკაცობა.. მაგრამ, ჯერ კიდევ ვინ იცის რა-

შია საქმე? იქნებ კაცი ავადაა. ნინო მოიტანს ნამდვილ ამბავს, მაგრამ რაც უნდა მოიტანოს, თუ მართლა შეიტყვინა ვაჟკაცობა — კაცის მეტი რა იშოვება ამ ქვეყნად! ჰეი, ბაბუა, ცალი თვალის დაკარგვა არაფერია, არაფერი — ცოცხალი ხომ გადარჩი... — და ხვა ამგვარი საუბარი ძალიან უნდოდა ბაბუას, მაგრამ შვილიშვილები ყურს არ უგდებდენ. უეცრად აფთარას თეხის ხმა მოესმა და წამოხტა, ერთი დაიღრინა და შესდგა, ყური დაუგდო. არავითარი ხმაური არ აღოვევდა თოვლიან ღამის მყუდროებას და ამ მყუდროებაში, ვიღაც ტკბილ-ხმიანმა გაბმით დაიძახა:

— აალილო-ო-ო-ო.

ბაბუას სიამით გააჟრჟოლა. იულონსაც იამა და უნებურად მოაგონდა ბავშობა, როცა პირველად შეკრთა ჩამოვარდნილ ვარსკვლავის ხილვაზე.

— აალილო! — ამოვიდა გულიდან მეორე ხმა სიხარულისა და სიუხვის დაბედების; აგუგუნდა ბანიც და სამი ხმა, სამი სათნოება მოადგა კარზე ბაბუა იაგორს. აფთარა კართან მივიდა, ხვრელიდან ჰაერი შეიყნოსა და გაქვავდა, ვერ მიხვდა დაბრუნებულიყო. ბაბუამ მკვარი აანთო და სინათლეზე, თვალები სიხარულით უციმციმებდა და პირი უცინოდა.

ჩატუსაც გააჟრჟოლა და სული შეუგუბდა:

— ნეტავ რად უნდა ალილო მახინჯს? ალილო მას იამება, ვისაც თვალი არ დავსებია. აჰა საბაც არ დადის მას შემდეგ... არავინ არ დადის: უთუოდ მეალილოებმაც არ იცოდენ, აქ რომ ცალთვალა, ნაყვავილევი ქალი სცხოვრობს, თორემ არც ისინი მოვიდოდენ. საბა, საბა... — ჩატუ ატირდა ჩუმად და ცრემლების სიმხურვალე იგრძნო ლოყებზე.

— გაის ამა დროს შვილებო! — გაისმა ეზოში ნინოს ხმა. ნინო სახლში შემოვიდა. როცა ალილო გათავდა, აფთარამ ასტეხა ყეფა; ბაბუამ მთელი თაბახი ხილი და ტკბილეული გაუტანა მგალობლებს და ისინი წავიდენ.

სულ განაბული მისჩერებოდა ჩატუ ნინოს; ბაბუამ ჩიბუხი გააწყო:

— რას გვახარებ ნინო!

— თქვენს მშვიდობას, კარგად ყოფნას... — შორიდან დაიწყო ნინომ და გამომეტყველებით გამოამჟღავნა: ვერაფერი მახარობელი იყო.

დიდხანს ილაპარაკა, ბოლოს რომ ეთქვა შემოთვლილი:

— ნუ მიცდის, მე სხვას ვირთავო.

— ვის: — მწყრალად იკითხა იულონმა.

— ნაეშვარდიდან მომყავსო; ნიკოს ქალიშვილი!

— პელო! დაიღრიალა იულონმა და ლოგინიდან წამოხტა: თოფს ხელი დასტაცა და გარეთ გაიჭრა. ქალებმა კივილი შეჰქნეს, ბაბუამ იყვირა:

— მიშველეთ!

იულონი მირბოდა ფეხშიშველი; იაგორი უკან მისდევდა და ყვიროდა:

— მიშველეთ!

იულონს მეალილოენი გადაეღობენ გზაზე.

— ჩამომეცალეთ! — მრისხანედ იძახდა იულონი. თოფი გავარდა და დასუსტებული იულონი შეჰბოჭეს. არავინ მომკვდარიყო, არც დაჭრილიყო: თოფი წაართვეს.

XI.

გავიდა ხანი. საბა ჩაესიძა ნიკოს და ბაბუა იაგორის შვილისშვილები გადაიმტერა. ჩატუ არ იყო საშიში, მაგრამ იულონს უნდა მორიდებოდა საბა. ამას ამბობდენ მოციქულები:

— ქალის მიტოვება ოჯახის შერცხვენაა; დაწუნებულ ქალს სახელი უტყდება და მას არავინ თხოულობს. საბა რომ მარჯვე ვაჟკაცია — უეჭვოა, მაგრამ ნაეშვარსა და ლრუწოფელაში ვინ არის მასზე ნაკლები, მასზე გონჯი? არავინ! ესეც არ ყოფილიყო იულონი მაინც ვერ მოისვენებდა. საბამ მას საყვარელი ქალი წაართვა, საბამ გული გაუპო, საბამ ულალატა და სისხლი მოაწყურა — ვერ ისვენებდა იულონი შინაურებთან.

დას ყოველთვის თავჩაკიდულს და მტირალს ჰხედავდა; ბაბუა ეფერებოდა ჩატუს, როგორც შეეძლო, მაგრამ

ქალი უფრო გულამოკვნესით იწყებდა ტირილს; მაშინ ბაბუა იწყებდა წუთისოფლის სამდურავს, ან მოხვევდა ხელს იულონს და აბამდა დაუსრულებელ მუდარას, რომ:

— დასცხრეს, სიმშვიდე მოიკრიფოს, ნუ ებრძვის ეტლს თორემ ავად ულრენს მკედრში გული, სულიც უწივის და ღმერთმა აშოროს, რაღაც უბედურებას გრძნობს—მათთან ყოფნას ცხრა მთას გადაკარგვა სჯობდა.

იულონს მისდევდა ძაღლი და ორივე იკარგებოდა დიდხნობით.

საბა გრძნობდა; იულონს მისი შეხვედრა სწადდა; იცოდა საბამ — ოდესმე უნდა გაესწორებოდა იულონს და რომ თავი არ წაეგო, შეიარაღებული დადიოდა, თუმცა შეხვედრას გაურბოდა.

პელო სწყევლიდა გადარეულ მონადირეს.

XII.

სამი დღე და ღამე დაჰყო მონადირემ ტყეში. მეოთხე ღამეც ტყეში მოეწია; იდგა უკუნეთი და ამ უკუნეთში არ სჩანდნენ უზარმაზარი ხეები, შემოსილნი გაუვალ ბარდით.

მონადირე მიდიოდა ალოთი, ფეხი ეფლებოდა უყეში-და სოველ ტერფით გრძნობდა ნიადაგის უდაბურობას.

ხეები გარინდებით იდგენ სიბნელეში და ადგილს არ იცვლიდენ, მაგრამ მონადირე კარგად გრძნობდა მათ და არ ეჯახებოდა, მხოლოდ ხანდახან, თხმელაზე ასული ეკალი დაკლაკნილ ხელს იშვერდა დაბლა და სრულიად მდუმარე, იჭერდა მონადირეს.

მონადირე დგებოდა და დაქანცული აფთარა ფეხებში აწყდებოდა. ისმოდა დაღლილი ადამიანის სუნთქვა, რომელიც ებრძოდა ეკალს და ეკალიც, მუნჯური ყოფაქცევით უსიტყვოთ უკაწრავდა სახესა და ხელებს — მონადირის შემოჭრით გაკაპასებული, გაკაპასებული თავისთავად და ტყის მაგივრადაც.

ტყე იდგა ჯარად; შტოები გადაეხლართა ერთმანეთში და მკლავებად აღმართულ ტოტებით ეჭირა ცა, რომ არ ჩამოსულიყო ცა დაბლა და არ აეხადა ტყის უდაბურობა.

ერთგან ტყე შეთხელდა და ინათლა. მონადირემ მაღლა აიხედა.

შავ-შავი ღრუბლები შემოხვევოდენ მკვდრისფერს მთვარეს და დასავლეთისაკენ მიაქანებდენ. შუაღამე იქნებოდა. ჩამობნელდა ისევ.

უეცრად მონადირეს საუბრის ხმა შემოესმა; გაუხარდა. უთუოდ შეშის მჭრელები იყვნენ. ადგილიდან წინ გაიქცა. მონადირემ ნაბიჯს მოუხშირა და რამდენად მიიწევდა, იმდენად აშკარავდებოდა საუბარი. ერთმა ხმამ მხიარულად დაიძახა:

— სავარცხელი მიართვით ბათლომესო — და დანარჩენებმა გულიანად გაიცინეს.

მონადირე მიხვდა: ვილაც ბათლომეა ქაჩალი უნდა ყოფილიყო და ეხუმრებოდენ; მონადირემაც გაიცინა თავისთვის.

ტყეში კვამლის სუნი დადგა და მალე გამოჩნდა დიდი ცეცხლი და ირგვლივ შემომსხდარი შეშის მჭრელები; ადგილიდან მიიჭრა, ცეცხლთან შორს დადგა და დაუყეფა. შეშის მჭრელებმა გაიცინეს; ახმაურდენ:

— რას გვერჩის ნეტავი ეს ძაღლი? — ამბობდა ერთი. მეორემ სთქვა:

— მონადირე იქნება ალბად ახლო-მახლო.

— აბა უყივლე! — და ერთმა იყივლა:

— ე-ე-ე-ე-ე!

უგემურად გაისმა ტყეში მძლავრი ყვირილი; ყვირილზე, შორს სადღაც ფრინველი აჩხავლდა და ყვირილი მისწყდა. იულონი მოვიდა:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— მობრძანდი!

— გვეწვიე მოშიებული იქნები!

იულონს იამა მიპატიჟება, მართლაც მოშიებული იყო, მაგრამ მარტო ყოფნა ეჩრია, თან მოაგონდა ძილში რომ ბორგვა იცოდა, რითაც თვის საიდუმლოებებს ამჟღავნებდა და მაპატიჟებაზე მადლობა გადაუხადა და უარი მოახსენა. მაინც სთხოვდენ.

იულონი უარს ამბობდა.

— რადგან ეს კაცი არ იცდის, ერთი არაყი მაინც დავალევინოთ — მოუბრუნდა ახალგაზრდას ქაჩალი კაცი, რომელიც მართლა ქაჩალი იყო და სახელად ბათლომეს ატარებდა.

— დალევდეს თორემ... — ახალგაზრდა გაიქცა.

ათიოდე ნაბიჯზე იდგა უკედლო, პატარა კარავი დახურული ლაქაშით; იქ ეწყო ხურჯინები, წალდები, ხერხი.

შე'ძის ძჭრელებმა ნადირობის ამბავი ჰკითხეს იულონს:

— რა მოუკლავს? რა უნადირია?

— ტახებმა ადამიანის სუნი აიღეს და მიდამოს გაეცალენ: ჯოგობით წასულან, ჯოგობით და გაუვალ ადგილებში ბილიკები გაუტკეპნიათ.

— ირემი ხომ დიდი ხანია თვალით არ გვინახავს.

— თვალით არა და ბლავილი კი ხშირად ისმის.

ახალგაზრდამ არაყი მოიტანა; ბათლომემ დიდი მათარა აავსო და იულონს მიაწოდა:

— ნუ დაზოგავ თუ გიყვარდე, წმინდა სანთელია!

ერთ მოხუცს, შავს სახეზე თეთრი, უმწიკვლო წვერულვაში ერტყა, შავი შუბლი უელვარებდა. შავი თვალები სიბრძნით ავსობდა და თუმცა ხმას არ იღებდა — ეტყობოდა, მას უჯეროდენ დანარჩენები; იულონმა ჯერ მას შეხედა, შემდეგ დანარჩენებს მოავლო თვალი და დაილოცა:

— ღმერთს დიდება — ჩვენ მშვიდობა, იცოცხლეთ და გაგიმარჯოთ!

გადაჰკრა. პური მიაწოდეს, სჭამა.

— მარცხნივ თუ წახვალ კარავს ნახავ, გაწვმებას აპირებს — მიაძახა ერთმა იულონს და იულონიც მარცხნივ გაემართა.

ბევრი იარა. უეცრად შორიდან ყრუდ ჩამოვიდა ქუხილის ხმა და მთელმა ტყემ იწყო გახშირებული ქშენა; წვიმდა ჯერ მალლა, შემდეგ წვიმამ მოდრიკა ფოთლები, ჰაერი გააცივა და იულონს უხვად ეცემოდა სხვილ-მსხვილი წვეთები. სოველი და დაღლილი მონადირე მივიდა კარავ'ში და ცეცხლი დაანთო.

განათდა კარავი, ავარდა სუბუქი ბოლი და სინათლეზე ტყე დადგა განზე: ბებერ მუხებს ძარღვიანი ზურგი შემოუქცევიათ კარავისათვის; მოშორებით ნაკადი უნდა იყოს: ისმის გამუდმებული შხუილი: უთუოდ ნაკადი ტყის ფესვებს ჰკვებავს და მუხის ძირები ჩუმად მიიწევენ ნაკადისაკენ; ხანდახან ხმელი ფოთლები ულობავენ გზას ნაკადს და შხუილი სწყდება; მონადირეს ეს კარგად ესმის.

ათთარა ცეცხლის პირას დაეგდო და საბრალო პირუტყვს ლონეც არა აქვს სოველი ბეწვები აილოკოს:

— ჰო, რაო ათთარა, დავიღალეთ! — ალერსით ეკითხება იულონი ძაღლს; ძაღლმა ნახევრად გაახილა თვალი: კარგი თუ კაცი ხარ, თავი დამანებე — და ჩასთვლიმა, მაგრამ, უზრდელობად ან რომ ჩაეთვალათ მისი დაღლილობა, მეორედ გაახილა თვალი და დაქანცული კუდი ულონოდ გააქნია: დავიღალეთ ჭეშმარიტადო.

იულონმა ჩიბუხი ააბოლა. ზარმაცად უშვებდა კვამლს და იჯდა მდუმარე:

— რა გაყუჩება იცის ამ დალოცვილმა! — ტყეს ეხებოდა სიტყვა „დალოცვილი“.

— წვიმს მაგრამ წვიმის ხმაურიც გაყუჩება გგონია. ბევრი ნადირი იქნება აქ — ნაკადია ახლო; ალბად ირემიც მოდის. სათავე უნდა ნახო კაცმა.

წვიმა გაძლიერდა. კარავს წვიმა უვლის და წვეთები ცეცხლში ეცემა. ათთარას სხვილი წვეთი დაეცა თავზე და ძაღლმა საბრალოდ დაიღრინა.

დიდხანს იჯდა მონადირე და ცეცხლს მისჩერებოდა; ძილი მოერია ცეცხლი თანისთან მიიღუნა, ნაკვერცხლები სურათებივით ბზინავს:

— ოჰ, პელოს თვალებივით ანთებულა ეს ნაკვერცხალი... ესეც მისი წარბები, მაგრამ მკერდი სადაა? მისი მკლავები მწვანე თხემლის ტოტებივით სურნელოვანი, რომ არის?

მონადირე დააკვირდა ცეცხლს:

— დაფერფლილა!

ფერფლში გამოჩნდა ჩატუს თეთრი თვალი; იქით ბაბუას ჩიბუხიც გამოჩნდა...

— ...პელოს მკლავები ვიღაცას გადაუზნექია და კბილებით კანს აძროობს; პელოს სიამით გაუნაბავს თვალები და იმ ადგილას, სადაც მისი მკერდი უნდა იყოს, მოსჩანს ფართე ზურგი.. ვისია ეს ზურგი ნეტავი? ვინაა ეს სისხლის მსმელი?.. საბა! — მრისხანედ აღმოხდა იულონს და თავისივე ხმამ გამოაღვიძა. მიიხედ-მოიხედა. ცეცხლი გააძლიერა.

— არა უშავს... არ ვიყო ბიჭი, თუ სისხლში ნაღველი არ ჩეგიქციო! — დაემუქრა საბას იულონი. წვიმს.

ისევ სძინავს თავჩაკიდულ მონადირეს და უეცრად, ნაკადის გადალმიდან მოესმის შტოების მტვრევის ხმა. მძიმედ მოაბიჯებს ვიღაც, შტოების მსხვრევაზე ის ვიღაც შესდგა.

— შენ რა მოგდის საცოდავო?

აფთარა აცახცახებული ადგა, გამოფხიზლებულიც არ არის და მონადირეს ფეხებში შეუვარდა; ძალუმად ეკვრის თრთის.

— რისი გეშინია შე საბრალო, თოფი დატენილია...

ისევ დაიძრა ის ვიღაც მძიმე ნაბიჯებით და ნაკადთან იმსხვრევა შტოები.

— ა! რა თავს იგდებ! უყვირა მონადირემ ძალს.

ძალი კი ირევა, თათებით ჩოხის ღილები დაუწყვიტა, უნდა უბეში შეუძვრეს, დაიმალოს. იულონმა თოფი გასინჯა და ძალს უალერსებს.

ნაბიჯები ახლოვდება. ისმის ღრმა ქშენაც. იულონმა თოფის მომარჯვებაც ვერ მოასწრო. კარავს რომ მოადგა რალაც შავი, დიდი, ვებერთელა. ხელი გეუშეშდა იულონს.

ძალი თითქო ჩაკვდაო, მუხლებში ჩაუწვა, მხოლოდ ოდნავ უთრთის კუნთები.

კარავთან მომდგარი ღრმად სუნთქავს და სუნთქვის ნიავი ცეცხლის ფერფლს ჰფანტავს; ნაკვერცხლები ნელა ღვივდება. უთუოდ ამას ამჩნევს ის; ალბად იმასაც ხედავს მონადირე რომ შეაკრთო და სუნთქვას უმატებს და არ იძვრის კარავთან სდგას. იულონი ხედავს შავს, ბანჯღვლიან ბარძაყებს, ვებერთელა ფეხებს, ბანჯღვლითვე შე-

მოსილ მუცელს. დაშვებულ გოლიათ მკლავებს და იცის იულონმა ვინც არის ეს:

— ოლონდ შიში არ უნდა ეჩვენოს და ხმა არ გასცეს, ტყის კაცია! თუ დაელაპარაკა ჭკუაზე შეშლის, თუ შეშინდა ტყის კაცი მოახრჩობს.

ცეცხლი დაინთო.

მონადირემ შემოიპატიჟა სტუმარი, თან ფიქრობდა და ამ გვარად ანიშნებდა:

— მობრძანდი ტყის კაცო, მობრძანდი! კარავში მესტუმრე; შეიძლება სტუმარი მე ვიყო შენი, მაგრამ სტუმარი ღვთისაა. გავთბეთ, ყალიონი მოვსწიოთ!

ტყის კაცი ქშენით დაიღუნა, კარავში შემოვიდა და ცეცხლის პირას იულონის პირდაპირ დაჯდა. ხის მორები მიაყარა ცეცხლს და თვალები მიხუჭა. მსუქანი მუცელი დაჰკეცოდა ტყის კაცს და შავ ბანლებში წვიმის წვეთები უბზინავდა. მუხლებში დიდი ჯოხი ჩაედო. მკერდი ბანლიანი და დედაკაცივით მსხვილ-მსხვილი ჰქონდა; სახეც კაცისებური, ბალნიანი და თვალები მრისხანე.

ასე იჯდა ის, ოდნავ მოხრილი და უზარმაზარი.

იულონმა თუთუნის ქისა ამოიღო; სტუმარმაც გაუწოდა ხელი. იულონმა ჩიბუხი გადასცა. სდუმდენ.

არ უხაროდა მონადირეს ტყის კაცთან შეყრა. მართალია, ჯერ არავითარი მზაკვრობა არ ჩაედინა მას, მაგრამ ვინ იცის რას იზამდა წასვლამდე?

იულონი ფრთხილად იყო:

კარგად ახსოვდა ძველი მონადირეების ყოფაქცევა, ტყის კაცი რომ შეხვედროდათ ოდესლაც. თავის სიცოცხლეში დაღვრემილები დადიოდენ ისინი და ისე ჩავიდენ სამარეში, რომ არასოდეს გულით არ გაუხარიათ. მათში ზოგიერთები ტყის კაცის ძმობილებიც იყვნენ, მაგრამ ისინიც გულჩათხრობილნი...

— ბედნიერებაა ტყის კაცის დამეგობრება — ფიქრობდა მონადირე — გაჭირვებაში გშველის, გაამდიდრებს და ყოველნაირ წადილს გისრულებს; მაგრამ არც ასეთი მფარველი მინდა ჩემო ძმაო. ჩემს ცხოვრებაში ხვამ რომ იცხოვროს მე რაღა ვაკეთო?

უეცრად იულონს მოაგონდა: გულთმისნები არიან ტყის კაცები; მონადირის აზრს მიხვდებოდა უთუოდ და საშიში იყო არ გაჯავრებულიყო.

დააკვირდა:

— არა! — დამშვიდებით აბოლებდა ჩიბუხს სტუმარი.

— ვინ იცის, იქნებ ესეც ჩვეულებრივი კაცია, უფრო ლონიერი, უფრო ჭკვიანი, მაგრამ საკუთარი ცხოვრება არ გაეჩნია და დაეხეტება დალონებული, სხვის ცხოვრებაში რომ ჩაერიოს, თავი გაირთოს.

მართლაც, დალონებული იჯდა ტყის კაცი, ჩიბუხს დარდიან კაცივით ზედი-ზედ სცლიდა და მონადირეს ის შეეცოდა.

იულონმა გამოსაუბრება დააპირა, პირიც დაალო თავაზიანად, მაგრამ ამ უწმინდურმა ტყის კაცმა მოულოდნელად აფთარს თვალი ჩაასო. ძალი აცახცახდა. მონადირემ ხიფათი იგრძნო.

ტყის კაცი არც განძრეულა, ხელი გაიშვირა მხოლოდ და მონადირის მუხლებიდან ცოცხალ-მკვდარი ძალი ამოათრია, თან მონადირეს უცქეროდა, თითქო ეუბნებოდა:

— აბა ეხლა შენი ვაჟკაცობა ვნახოთ!

მონადირე განრისხდა.

— ძალს ხელი! იყვირა და თოფი მოიმარჯვა, მაგრამ ტყის კაცმა თავზე თათი დაჰკრა და იულონი ცეცხლში დაეცა. საბრალო აფთარას ყმუილი შორიდან მოისმოდა...

თვალებ არეული და წვერ-ულვაშ შერუჯული მონადირე ბარბაცით წამოდგა. ძალი არსად სჩანდა და არც ყმუილი ისმოდა მისი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო მონადირე. მოლანდებულ მიმართულებით თოფი ალალ-ბედზე გაისროლა და დბაარბაცდა. დაეცა.

— ჩვენი მონადირე იქნება! — გამოელვიძათ თოფის ხმაზე შეშის მჭრელებს; ტყეს გაჰხედეს, განთიადი შორს იყო დ ახმები აირია:

— ნადირი თუ დაეცა!

— დაეცემოდა უთუოდ, წვიმს.

მოხუცმა შეშის მჭრელმა ორი კაცი წაიყვანა და მონადირის კარვისკენ გაემართენ. კარავში ცეცხლი ჩამქრალიყო; ოდნავ ანათედა ნაკვერცხლები იქაურობას.

მონადირე პირდაპირ კოცონში ჩავარდნილიყო და ტანისამოსი დასწოდა.

შეშის მჭრელების მოსვლაზე მან ოდნავ დაიკვნესა, მაგრამ ხელათვე კბილები დაახრჭიალა და კვნესა ჩაიხშო.

— არიქა ბიჭებო! — დაიძახა მოხუცმა. ფრთხილად ასწიეს მონადირე და ნაბადზე დააწვინეს. გრძნობა დაჰკარგოდა. როცა მოასულიერეს, მონადირე ათრთოლდა; ბურანში იყო ისევ, კბილებს ახრჭიალებდა და ბუტბუტებდა უცნობ მამაკაცებისა და დედაკაცების სახელებს. შეშის მჭრელებმა საჩქაროდ საკაცე გააკეთეს.

XII.

— არა, აქაური არ არის ღრუწოფლელია, მაგრამ სადაურიც უნდა იყოს... ვიცნობ, მობრძანდით! — წარბ შეშეჭმუხვნილი ამბობდა საბა და საკაცეს აწევაში შეშის მჭრელებს შველოდა. ახლად გათენებული იყო; არ წვიმდა. დილის ნამს დაესველებია საკაცეზე გადაფარებული ნაბადი.

როცა შეშის მჭრელები ეზოს მოადგენ და მასპინძელი გაიხმეს, ჯერ საბა გავიდა, შემდეგ პელო. შეშის მჭრელები ეუბნებოდენ საბას:

— ეს კაცი შენს სახელს ახსენებდა და ჩვენც აქაური გვეგონაო — კიდეც ბოდიშობდენ: — შეგაწუხეთო — და ავადმყოფის ღრუწოფელაში წასაყვანად ემზადებოდენ, მაგრამ საბამ ისიცხვილა: სტუმართ მოყვარეობა დამეძრახებაო.

— რა კაცი ვარ ქვეყანაზე, გაჭირებაში კაცს თუ ვერ შევეხიდები?

შეშის მჭრელებს ეს არც გაჰკვირვებიათ, ასე უნდა მოქცეულიყო საბა. პელოს თავზარი დაეცა; უნდოდა ქმრისათვის ეთქვა; ურემი დაეთმო, ავადმყოფი თავის სახლში გაესტუმრებია ,მაგრამ უცხო ხალხის მოერიდა და

ეხლა გაფითრებული უცქეროდა, როგორ აჰქონდათ ავადმყოფი აივანზე.

ლოგინი გაშალეს. მონადირე დააწვინეს და შეშის მჭრელებს ხელები დააბანიეს. უგრძნობლად იყო მონადირე. დასწითლებოდა დამწვარი სახე, თვალს არ ახელდა და ამოსუნთქვაზე ატყავებული ნესტოები ებერებოდა.

პელომ სუფრა გაუშალა შეშის მჭრელებს და თვითონ მალამოს საშოვრად წავიდა.

მალე შეშის მჭრელებიც წავიდენ.

საბა მარტო დარჩა ავადმყოფთან; ის ცდილობდა არ ეცქირა იმ მხარეს, სადაც იულონი იწვა, მაგრამ ავადმყოფმა იწყო ბორგვა ,ავადმყოფი აშფოთდა და დაღვრემილი საბა იდგა და ვერ გადაეწყვიტა მისულიყო თუ არა საშველად.

— უჰ, უჰ, — ბუტბუტებდა მონადირე. უეცრად მან გარკვევით დაიძახა.

— პელო!.. — და კბილების ხრჭიალს ამოაყოლა საბას სახელი.

საბას სისხლი თავში აუვარდა; მიმოიხედა ირგვლივ და იულონს დააშტერდა . იულონი კბილს კბილზე აჭერდა და დაკაწრული ღაწვები სისხლით ევსებოდა.

ლოგინთან, კუთხეში თოფი იდვა მისი, თოფზე ხანჯალი ეკიდა.

— პელო... ო, შე მიღალატე საბა!

საბა აირია: ხანჯალი დიდი და ბასრი იყო;

საბამ შუბლზე ხელი გადაისვა და ოფლი მოიწმინდა; ოდნავ დამშვიდდა.

უეცრად მან დაინახა, იულონმა რომ გაახილა გაწითლებული თვალები და თვალებში რომ მოაწვა გაოცება და შემდეგ სიშმაგე.

იულონი ლოგინიდან წამოვარდა.

საბამ კისერში ოფლიან თითების მოჭერა იგრძნო.

— აა, მოღალატე — შფოთავდა გაშმაგებული იულონი.

ოთახში ვილაც შემოვარდა...

საბამ დასუსტებული მონადირე კუთხეში ისროლა და ხანჯალი ისევ დაინახა.

— თუ ღმერთი გიწყრება, მე ნიკო ვარ და დამკარი! — გადაელობა სიმაური.

— გამიშვი!

— ოჯახი დაგვენგრევა! — იყვირა მოხუცმა ნიკომ და სიძეს გულზე ხელი ჰკრა.

იმავე დღეს ნიკომ ურმით წაიყვანა იულონი ღრუწი-ფელაში.

დასნეულებულ ძმის დანახვაზე ჩატუმ კივილი ასტეხა და მთელი სოფელი ეზოში მოაგროვა.

სოფელს გული აეწვა.

ბაბუა იაგორი ჰგოდებდა: ნეტავ ვიცოდე, კიდევ როგორ დამსჯიო — და ცხოვრებას აფურთხებდა თვალებში.

დოკუმენტები

ს. წულუკიძის გამოუქვეყნებელი კერძო მიწერ-მოწერა *)

გატონო ელენე!

1897 წ. 21 ნოემბერი.

დიდი ხანია თქვენდამი წერილის მოწერა მინდა და ეხლა შემთხვევა ნებას მაძლევს ეს წადილი შევისრულო. ეს არი გიორგი დეკანოზიშვილი ვნახე, პეტერბურგში მიდიოდა და მე გამომიარა; მან გადმომცა, რომ ჩემი მარქსი თქვენთვის დაუტოვებია — ნოე ჟორდანიას გადასაცემათ; ასე მითხრა: „არ მეგონა თუ მოგნახავდიო და ამიტომ არ წამოვიღეო“. ეხლა ისევ თქვენ უნდა მოგმაროთთ, რა თა ამდენი ხნის ლოდინს ბოლო მოუღოთ. კარგა ხანია მაგ წიგნს მოველი, ყველგან მივიწერე და, აი, ეხლა თქვენ გწერთ რადგან ჩემთვის ეხლა ძლიერ საჭიროა და ხელახლად მისი შეძენა, ხომ მოგეხსნება, ჩემისთანეებისათვის მეტად გასაჭირია, თითქმის შეუძლებელიც არის (25 მანეთი ღირს). ამიტომ, თუ ნოესთვის ჯერ არ გადაგიციათ. — გთხოვთ. ფასდადებული ამანათით გამომიგზავნოთ ჩემს სახელზედ, იმედი მაქვს ეს თხოვნა მეტად სამძიმოთ არ დაგირჩებათ და ჩემთვის რამოდენიმე წამს დაკარგავთ წიგნის გამოსაგზავნათ. თუ უკვე გადაეცით ნოეს, მაშინ თუმცა მეტი შრომა მოგელისთ, მაგრამ მაინც უნდა გთხოვოთ გამოართვათ ისევ თქვენ და გამომიგზავნოთ. საჩქა-

---

რედაქციისაგან: განსვენებული ამხ. ს. წულუკიძის ეს სამი წერილი ა/წ. მარტში გადმოცა ჩვენს რედაქციას ელენე იესეს ასულმა ჭიჭინაძისამ, რისთვისაც ულრმეს მადლობას უძღვნით. წერილები იბეჭდება უცვლელად და მთლიანად.

როდ, რადგან რაც უფრო მალე მომივა — უფრო კარგი იქნება. ბევრი თხოვნა თქვენთან, დარწმუნებული ვარ, საჭირო არ არის. მაშ, ეხლა სხვაზედ ვილაპარაკოთ.

ბევრი ახალი ამბები მოდის მაქედან; სხვათა შორის, ყველაზედ უფრო სასიამოვნო და თვალსაჩინო ჩვენს ცხოვრებაში უთუოდ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების „ფერისცვალება" იქნება. სასიამოვნოა „კვალის" კვალის გამოცვლა და არა ნაკლებ სასიამოვნოა „ივერიის" ოთხი ახალგაზრდას მიერ შეძენა (როგორც გიორგიმ მითხრა ილიას ჯერ გადაჭრით არაფერი უთქვამს). მით უმეტეს სასიამონოა, რომ პირველი და მეორე ორს სრულიად სხვადასხვა ბანაკს წარმოადგენს. რიგიანი და მოსაზრებული პოლემიკა მათ შორის, იმედია უფრო ნათლად გამოაკვლევს ორთავეს პროგრამმას, მკითხველ საზოგადოებაში მეცნიერებისადმი ინტერესსა და ცნობის მოყვარეობას აღძრავს, რომელიმე მხარე ჩვენის სრულიად გამოუკვლეველის ცხოვრებისა ცოტათი მაინც გამოიკვლევა და „გზა უვალი მათგან თელილი მაინც დარჩება", რომ მაზედ სვლა მაინც, — გაადვილდეს. ყოველშემთხვევაში, ეს ფაქტები ნიშანია პროგრესსის, ჩვენი გონებრივად წინსვლის. სწორედ აღტაცებაში მოვდივარ პესიმისტობა არ შემიძლია, რადგან მრწამს უკეთესი მომავალი, მრწამს პროგრესსი. ჩუმად გეტყვით, რომ ამ სიტყვებს კიტას გასაგონად გეუბნებით, რადგან ყველა ჩვენი პოეტები და ბელლეტრისტები თითქმის და მთელი ახალგაზრდობა პესსიმისტურად დასახა. განა პოეტი თუ ცხოვრების სიმწარეს დაჰყლეორის ჩანგით — ეს იმას ნიშნავს, რომ მას ცხოვრებაში აღარაფერი საიმედო დარჩენია? თვით ის პოეტები, რომლებითაც კიტა თავის აზრს ამტკიცებს თუ ერთს ადგილას სტირიან მეორე ადგილას მღერიან სიცილით. იგივე ითქმის ბელეტრისტების შესახებაც. ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე ახალგაზრდის პესიმისტურ წერილებიდგან არ მგონია, კრიტიკას რაიმე მეცნიეროული დასკვნის გამოყვანის უფლება ჰქონდეს, იგი ძლიერ სუსტი საბუთია რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის ასახსნელად. რაც შეეხება „მესამე დასს", სერიოზულად და ნამდვილად

ვერ ახსნა მათი პროგრამმა. შეუძლებელია რაიმე მეცნიერული თეორიის ახსნა ბელლეტრისტების პატეტიური აღგილებით. ნუ დაივიწყებს, ბ. კიტა, რომ სოციალდემოკრატთა პროგამმას „მეცნიერულ სოციალიზმს“ უწოდებენ და იგი მეცნიერულ გარჩევასაც მოითხოვს. მხოლოდ „ხრიკიანობის“ და „უცოდინარობაზედ“ აქ არაფერს ვიტყვით. გარკვევით შევნიშნავთ, რომ ამისთანა სიტყვების ხმარება წინ-დახედულებას თხოულობს. (თუნდაც რომ მართალი იყოს) და არა თავისი გულის თქმის აყოლას. როგორც ხედავთ, ელენე, მეტს ვერ გავაგრძნობ. შემდეგი ალბათ იქნება, თხოვნას კი მაინც გიმეორებთ და იმედიც მაქვს, რომ უთუოდ წიგნი მომივა. ნახვამდის, ბატონო ელენე.

თქვენი მარად კეთილის მსურველი ს ა შ ა წ უ ლ უ კ ი ძ ე.

ნიკო ელიავამ მოკითხვა მოგახსენათ. ჩემის მხრით გთხოვთ, მომიკითხოთ ვარლამი. ნახვამდის. ს. წ.

ჩემი ადრესი: Москва, Малая Бронная д. Гирша, кв. № 113, Александру Гр. Цулукидзе.

ბატონო ელენე!

1897 წ. 12 დეკემბერი.

ვჩქარობ მადლობა მოგაწვდინო ასე დაუყონებლივ და თანაგრძნობით თხოვნის ასრულებისათვის. თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნი და შემდეგ წერილიც მივიღე. „დარწმუნებული ვარ თქვენ ისეთი ბევრი მიწერ-მოწერა გაქვთ, რომ ჩემთვის მოხაწერად კიდევ ვერ მოიცლითო“, — მახვილად შემნიშნავთ წერილის ბოლოს. მართალია, მიწერ-მოწერა ბევრი მაქვს, მხოლოდ იმდენი მაინც არა, რომ თქვენთან მეგობრული კავშირი შემაწყვეტინოს, თქვენდამი წერილის მოსაწერად დროც ალარ მრჩებოდეს. ვფიქრობ თუ თქვენი მწარე გამოცდილების ნაყოფია ეს სიტყვები და მასთანავე მსიამოვნებს თქვენი გულახდილი საუბარი. ტყუილათ გგონიათ, რომ თქვენს თავს გარდა მარქსის „კაპიტალის“ სხვა არაფერი გამახსენებდა.

მარქსი თავის თავად ჩემთვის სრულიად უსარგებლოა. თუ ადამინთა ყოველი კავშირი შევწყვიტე, სულიერად გამამხნევებელი მეგობრობა, რომელიც ყოველთვის და ყველასათვის საჭიროა, უარვყავ. არა. მე „კაპიტალი“ მხოლოდ სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად, ლამპრად მინდა, დანარჩენი კი ისევ **ადამიანთა** თანაგრძნობით უნდა განხორციელდეს...

(გაგრძელება შემდეგ)...

სრულიად სამართლიანია თქვენი სიტყვები, რომ ჩვენ ახალგაზრდები არ გვყვანან და თუ არის მეთაობა მაინც მათ არ შეუძლიათ. მხოლოდ უნდა დავუმატო, რომ ჩვენი ხანა გარდამავალი (переходная) ხანაა, ძველი წესწყობილება სულს ღაფავს, ახალი ცხოვრება მყარდება; ერთი მეორეს ებრძვის, ერთმანეთში ჩარეულნი არიან და აბა რა გასაკვირველია, რომ ამნაირი ბრძოლა და მებრძოლნი ვერ გაარჩიონ ჩვენმა სწორედ იმ მეცნიერულად მოუმზადებელმა ახალგაზრდებმა. ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ ცხოვრების ვითარების დაკვირვებას, ვეწაფებით იმ წყაროებს, საიდანაც გვინდა ამ საქმისათვის ლიგიანი იარაღი მოვიპოვოთ, მაგრამ ჯერ ისე ცოტა ხანია, შედარებით ისეთი ბალღები ვართ, რომ არ შეგვიძლია სრული მომზადებულობა დავიჩემოთ. ცხოვრების სრულ მოვლენათა ახსნა-გარკვევა, სოციალური იარაღების წამლობა მეტად მძიმე საქმეა, იგი დიდ ცოდნას და ბეჯითობას თხოულობს; ჩვენ კი არც ერთი და არც მეორე არ გვაქვს. მაგრამ ნიშნები მაინც არის უკეთესი მომავლის.

აი ეხლაც, ამ წერილს მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომზედ ვწერ და ვფიქრობ: როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში გამოიღოს ნაყოფი ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა და ჩვენს აზროვნებასაც მეცნიერული ხასიათი მიეცეს. ამ კითხვის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია და სანამ თქვენ გადაწყვეტდეთ, — გეტყვით ნახვამდის და გისურვებთ ყოველივე კეთილს.

საშა წულუკიძე.

ცვლილება ‘ახალ’ ‘ალიდგაზეზ

მინდოდა ჩვეულებისამებრ წერილის დასაწყისში ახალი წელი მომელოცა, მაგრამ, რადგან ეს უბრალო ფორმალიზმი იქნებოდა, ამიტომ ბოლოსათვის გადავდევი, მადლობით კი დავიწყებ, რადგან თქვენმა მოლოცვის დეპეშამ სწორედ იმ დროს და იმ წამს გვაცნო შორიდან მეგობართა სალამი, გრძნობიერი მოკითხვა, როდესაც სულის სიმშვიდე დაღლეული მქონდა და ვცდილობდი რამდენიმე წუთით მაინც მივსცემოდი დავიწყებას, მეგობართა (მაქ) წრეში წარმომედგინა ჩემი თავი. ახალმა წელმა აქაც და მაქაც ბევრი ახალი რამ შეიტანა მწერლობაში, აქ „Жизнь“, „Начало“; — მაქ კი „მოამბის“ ახალი რედაქცია. აღტაცებით ვეგებები ამ ცვლილებას რადგან დარწმუნებული ვარ ახალგაზრდები ახალგაზრდულათ (არა ბავშურათ) შეებმებიან ნაკისრ მოვალეობას და სხვას თუ არა ამას მაინც იზმენ, რომ ფორმით „ჟურნალს“ დაამსგავსებენ. მე ეხლავე ვგრძნობ, რომ შიგ ჩემს სალტოლველ იდეებს ვერ ვიპოვნი, შეიძლება სულ წინააღმდეგიც იქნეს, მაგრამ ერთი იდეა მაინც სიმპატიური იქნება: თავის მიმართულებას ცოდნით და სინდისიერათ ემსახურონ. რიგიანი მოპირდაპირე შენც გარიგიანებს, გაფრთხილებს, ჩაგაფიქრებს და მით მისს მტრობას ამ მხრით საოგებლობაც მოაქვს.

ამიტომ ვუსურვებ ახალ რედაქციას ახალ ძალას და შრომის მოყვარეობას. საზოგადოთ, უნდა გაგიტყდე, მეგობარო, რომ დიდის გაფაციცებით ვადევნებ თვალ-ყურს მოწინააღმდეგეთა აზროვნებას, მათ სიტყვას და საქციელს. გარწმუნებ, მსურს ვიპოვნო რომელიმე გონიერი, მეცნიერული „ევროპიული“ მსჯელობა, მაგრამ პაწია თ. სახოკიას „თერმონიიდაგან“ დაწყებული დიდ „სამშობლოს დარაჯის“-ი. ჭავჭავაძის ლოცვა წყევლამდე, ვერაფერი მიპოვნია, რაც თანამედროვე ცოდნას ეთანხმებოდეს, მოცვეთილ გრძნობას გასცილებოდეს, ცნობიერ კრიტიკას ემსგავსებოდეს. შეიძლება ვცდებოდე. მიმითითე. აბა სად, ვინ? მითხარი და ათასჯერ მადლს შემოგწირავ,

შეგობარო. არ გეგონოს ჩემს თანამოაზრეებში და ჩემს უსუსურ არსებაში ვხედავდე მეცნიერთ, დიადი ნიჭით და ცოდნით აღჭურვილ „მოღვაწეებს". არა, ეს ხომ წინააღმდეგობა იქნებოდა. ჩვენს უსუსურ და ნელათ მჩქეფარე ცხოვრებას ვერ შეუქმნია ჯერ „დიდ-ბუნებოვანი" ადამიანი. მე მხოლოდ მრწამს მათი გულწრფელი გრძნობა და „დიდ-ბუნებოვან" ადამიანისაგან ნაანდერძევის წმინდათ შეუდრეკლათ სამსახური. დღემდე კაცობრიობის აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელნი დიდ ამოცანას ხსნიან და ვერ აუხსნიათ: რათ არის ამისთანა უსწორ-მასწორობა ბუნებაში, რათ ხარობს ერთი მეორეს ცრემლთა დენით, რათ შენდება ერთის ბედნიერება მეორის უბედურობაზე. სულ ასე უნდა იყოს და საშველი არსით არის? აი სფინქსი, რომელიც შუბლ შეჭმუხვნილი შებლვერის კაცობრიობას რამოდენიმე ასი საუკუნე და. რომელიც, — დასასრულ, — თვით ცხოვრებამ უნდა ახსნას ან გახსნას. ამის პასუხი უკვე ბუნდოვანათ მისცა ცხოვრებამ ამ საუკუნის დასაწყისში კაცობრიობას. მხოლოდ ნათლად მისი გამომრკვეველი 1847 — 8 მოევლინა ევროპას და ჩვენც მოვალენი ვართ, როგორც ადამიანები, ვისმინოთ ეს ხმა. მოვიწონებთ, თუ დავიწუნებთ ეს სულ ერთია ამ შემთხვევაში. საჭიროა მაინც ღრმად ჩაკვირვება, კრიტიკული ანალიზი, სერიოზული რჩევა-თათბირი. და ამნაირი შეხედულება თანდათან იკიდებს ჩვენში ფეხს, ამ მხრით ახალი წელი მამხიარულებს და თუ. შენც გრწამს, მეგობარო. რომა 1899 წელი ამ კითხვაში წინ ნაბიჯს გადადგამს, მეც მოგილოცავ და გისურვებ უფრო შეტის იმედით და მხნეობით მიგებებოდე შემდეგ წელსაც.

მარად შენი მეგობარი-ძმა

საშა წულუკიძე.

ვარლამი მომიკითხე.

ს. წ.

ბიბლიოგრაფია

და

ქრონიკა

ს. დანელია: „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“ (დემოკრიტი). ტფილისი, 1926 წ. ფასი 60 კაპ.

დასახელებულ წიგნში ავტორს მიზნად აქვს მატერიალისტური ფილოსოფიის მამამთავრის და თანამედროვე ბუნებისმეტყველების წინამორბედის **დემოკრიტეს** მოძღვრების გადმოცემა. ავტორი იცნობს ანტიურ ფილოსოფიას, რაც არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი დაბეჭდილი შრომებით. „ატომისტური ფილოსოფია“ დაწერილია პოპულარულ მეცნიერული ენით და შესაძლებლობას აძლევს ყველას, გაეცნოს დემოკრატეს მსოფლმხედველობას.

წიგნის პირველ თავში ავტორი ახასიათებს იდეოლოგიურ წინამძღვრებს, რომლებისაგან წარმოდგა დემოკრატეს ფილოსოფია. აქ ავტორი მატერიალიზმს უპირისპირებს , ერთის მხრივ ელეატურ ფილოსოფიას, მეორეს მხრივ კი ანაკსაგორის მოძღვრებას. ავტორის აზრით, ატომიზმზე გავლენა ჰქონდა ორთავეს. ორივენი (პარმენიდე და ანაქსაგორი) იდეალისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენლებია. „ამიტომ ორივეს უსწორდება ატომიზმი“, ამბობს ავტორი: „და ამ გარემოებაშია მისი გენეზისი საძიებელიო“.

საინტერესოდ აქვს გადმოცემული ავტორს დემოკრიტეს ფილოსოფიის ცენტრალური ადგილი, რომელიც ატომის დახასიათებას შეეხება. ატომის ყოველი ახალი თვისების აღნიშვნა ავტორს ისეთი შინაგანი შეწყობით აქვს დაკავშირებული მოძღვრების ძირითად პრინციპებთან, რომ საკმაო ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. სხარტად გადმოცემულია აგრეთვე ის როლი, რომელიც მიკუთვნილი აქვს მოძრაობას დემოკრიტეს სისტემაში. აღნიშნულია ის დედა-აზრი ამ პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც საფუძვლად დაედვა თანამედროვე ბუნებისმეტყველურ კლევა-ძიებასაც.

ძირითადი პრინციპების გარკვევის შემდეგ, რომლებზედაც აგებულია დემოკრიტეს სისტემა, — ავტორი გადადის ამ სისტემის დამახასიათებელ ნაწილების განხილვაზე. პირველ რიგში ავტორი განიხილავს ატომისტურ კოსმოგონიას (კოსმოსის და მსოფლიოს განსხვავებას, პრეკოსმიური მოძრაობა და მისი ხასიათი, კოსმოსის წარმოშობისა და მისი დაშლის მიზეზები), შემდეგ კი ატომისტურ ანთროპოლოგიას (სულის ატომების დახასიათება, აზროვნებისა და გრძნობის როლი შემეცნებისათვის, სიკვდილი და სიცოცხლე ატომისტური შეხედულებით) მეტადრე საინტერესოა დემოკრიტეს ეთიკა, რომლის შინაარსი არსებითად გამომდინარეობს ატომიზმის ძირითად პრინციპებიდგან. ავტორი იკვლევს იმ საზოგადოებრივ მიზეზებსაც, რომელთაც აუცილებლად ჰყვეს დემოკრიტეს ეთიკის თავისებურობა.

უკანასკნელ თავში ავტორი კრიტიკულ შენიშვნებს უკეთებს დემოკრიტეს ატომიზმს. ავტორის აზრით, ატომიზმი ყველაზედ უფრო გაბედულად ილაშქრებს ბუნების მოვლენათა სარწმუნოებრივი გაგების წინააღმდეგ და **ფართე გზას უხსნის მეცნიერულ შემოქმედებას.**

ასეთია მოკლედ ს. დანელიას წიგნის შინაარსი. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მეცნიერულ პედაგოგიური სექციის მიერ წიგნი მოწონებულია სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის (იხ. „განათლების მუშაკი", 1926 წ. № 14 გვ. 32).

ვლად. ცომაია.

საბჭოთა მწერლების საკავშირო ფედერაცია.

ფედერაციაში „კუზნიცას" ჯგუფიდან შევიდენ: ბახმეტიევი, ლიაშკო, გლადკოვი და ჟიგა და კანდიდატები: ობრადოვიჩი, სივაჩევი, დმიტრიევი და ვლადიმირსკი.

ფედერაციის საბჭოს უკანასკნელ სხდომებზე დამუშავებულ იქნა გამომცემლობის საკითხი.

განზრახულია დაარსება ფედერაციის დამოუკიდებელი გამომცემლობის. თვითეულ ჯგუფს უფლება ეძლევა გამოსცეს ჯგუფის სპეციალური დანიშნულების ნაწარმოები; საredაქციო საბჭოსა და ფედერაციის წესდებასთან შეთანხმებით. მთელი რაოდენობა ფედერაციის საბეჭდი ქალალდებისა იყოფა სამ ნაწილად. პირველი გამოყენებული იქნება ფედერაციის საბჭოს განკარგულების თანახმად, მეორე იქნება დაჯგუფებათა განკარგულებაში და მესამე ნაწილი — საredაქციო საბჭოს განკარგულებაში. გამომცემლობის საკითხების საბოლოო პრაქტიკული გამომუშავების მიზნით შედგენილია კომისია, რომელშიაც შედიან თვითეულ ჯგუფებიდან ორ-ორი წარმომადგენლები.

ამ მოკლე ხანში მოხდება ფედერაციის ოფიციალური გახსნა.

ფედერაციას განზრახული აქვს აპრილის ბოლო რიცხვებში მოაწყოს ფედერაციაში, შემავალ ორგანიზაციე-

ბის ფართე კრება. კრებაზე გამოქვეყნებული იქნება ფე-
დერაციის დეკლარაცია და ძველიან ამხ. კრჟიჟანოვსკის
და ლუნაჩარსკის გამოსვლას მოხსენებებით მწერალთა
მატერიალურ უფლებრივ მდგომარეობის შესახებ და სა-
ხალხო კომისართა საბჭოს კომისიის მუშაობის შესახებ.
გარდა ამისა, ფედერაციას აზრად აქვს მოაწყოს მთელი
რიგი სალამოებისა, რომელთა გეგმა მუშავდება.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ფედერა-
ციას განზრახული აქვს გამოსცეს მხატვრული ალმანახი,
რომელიც მიძღვნილი იქნება 10 წლის თავისადმი და
აგრეთვე კრებული თემაზე: „მწერალთა ცხოვრება რე-
ვოლიუციის 10 წლის განმავლობაში".

ფედერაცია იწყებს დასახულ მიზნების პრაქტიკულ
განხორციელებას. საგამომცემლო კომისიის გარდა დაარ-
სებულია ლიტფონდის კომისია პრაქტიკულ მუშაობაზე
გადასვლისათვის. კომისიაში შევიდენ თვითეული ჯგუ-
ფიდან თითო წარმომადგენელი და ბეჭდვითი საქმის მუ-
შაკთა სექციის ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები.

მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.

სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ კომისიის
უკანასკნელ სხდომაზე, ამხ. კრჟიჟანოვსკის თავმჯდომა-
რეობით, მწერლობის საკავშირო ფედერაციის საბჭოს წარ-
მომადგენელთა და მწერალთა ადგილკომის მონაწილეო-
ბით, განხილულ იქნა მთელი რიგი მწერალთა ყოფა-
ცხოვრებასთან დაკავშირებული სასწრაფო საკითხებისა.

მწერალთა ბინების საკითხის შესახებ სახალხო კო-
მისართა საბჭოს კომისიამ დაადასტურა ფედერაციის გან-
ცხადება, რომ მთავრობის მიერ აღმშენებლობისათვის გა-
დადებული ფონდიდან განსაკუთრებული თანხა გადადე-
ბულ იქნას მწერალთა სახლების ასაშენებლადაც.

მწერალთა ნაწარმოების ჰონორარის მინიმუმის შესა-
ხებ კომისიამ დაადგინა:

მიღებულ იქნას 120 მანეთი მინიმალურ ჰონორარად დამწყებ მწერალთათვის ნაბეჭდ ფურცელზე.

აუცილებელ საჭიროდ იქნას მიჩნეული საშუალო ტიპის მწერალ-პროფესიონალისათვის ხელფასის ნორმის გამომუშავება. მიენდოს კომისიას რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები: განათლების სახალხო კომისარიატის, განათლების მუშაკთა კავშირის, მწერალთა ფედერაციის და ბეჭდვითი საქმეთა კომიტეტის, რათა საბოლოოდ გამომუშავებულ იქნას გრადაციები და ხელფასის ნორმა.

ლექსებზე დაწესებულ იქნას 50 კაპ. სტროქონზე როდესაც ლექსები გამოდის ტომებად და 1 მან. პერიოდულ გამოცემებში მოთავსებულ პირველად დაბეჭდილ ლექსებზე.

კომისიამ დაადგინა მიიღოს სალიტერატურო ფონდის წესდება.

კომისიამ საბოლოოდ გამოიმუშავა საგამომცემლო ხელშეკრულების წესები: ავტორებისათვის ფულის გადახდის ვადის შესახებ მიღებულ იქნას შემდეგი: ორი კვირის განმავლობაში დღიდან ხელნაწერის მიღებისა გამომცემლობა იხდის მთელ ჰონორარის 50%, არა უგვიანეს ორი თვისა ხელნაწერის მიღებიდან — 30%, ხოლო დანარჩენ 20% ორი კვირის განმავლობაში უკანასკნელი საავტორო კორექტურის ხელისმოწერიდან.

განსაკუთრებულ უფლებას ნაწარმოების ხელმეორედ გამოცემის შესახებ ავტორი აძლევს გამომცემლობას სამი წლით, ნაწარმოების გამომცემლობაზე გადაცემის დღიდან. პირობაში განსაზღვრულ ტირაჟზე ზევით გამომცემლობას უფლება აქვს გამოსცეს მხოლოდ 150 ეკზემპლიარი თვითეულ გამოცემაზე. ყოველგვარი ცვლილება პირობაში და დამატებანი შეიძლება შეტანილ იქნეას მხოლოდ ავტორის წერილობითი თანხმობით. გამომცემლობა აძლევს უფასოდ 25 საავტორო ეკზემპლიარს და 50-ს ავტორის თხოვნით თვითღირებულების კვალობაზე. სანამ გამომცემლობა გამოსცემს აღნიშნულ შრომას ავტორს უფლება აქვს დაბეჭდოს ის პერიოდულ გამოცემებში.

„ქართული მწერლობი“-ს 1927 წ. გამოსული №№-ის შინაარსი.

№ 1

პოეზია (ანბანზე):

ზოლემთელი ნ. — ლენინის აკლდამასთან.
აბაშელი ალ. — მტკვარი.
გაფრინდაშვილი ვ. — ძველი პალტო.
კალაძე კ. — აღმოსავლური.
ლორთქიფანიძე კ. — მეგობრებს.
მიწიშვილი ნიკოლოზ — სამი ლექსი.
ტაბიძე ტიციან — მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე.
შანშიაშვილი სანდრო — მგზავრი.

წერილები:

გრიგოლ რობაქიძე — საქართველოს ხერხემალი.
სეით დევდარიანი — საქართველო.
სიმონ ჩიქოვანი — ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის გამო.
ბენო გორდეზიანი — ყოფის საკითხი.
ნიკოლოზ მიწიშვილი — ჩემი პასუხიც.
გერონტი ქიქოძე — ომის მოლოდინში.
ტიციან ტაბიძე — ქართველი მწერლების დელეგაცია სომხეთში.

№ 2

პოეზია (ანბანზე):

გაფრინდაშვილი ვ. — ისეთი ლექსი.
გვეტაძე რაჟდენ — თოვაში.
გორგაძე ვასილ — პოეტის ცხოვრება. გზაში.
გრიშაშვილი ი. — გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე.
ვაკელი იონა — ბოლნისის გზაზე.
იასამანი — უნაგირაზე.
კალაძე კ. — შუბის ტარამდე დასული მზე.
ლეონიძე გ. — ნინოწმინდის ღამე.
ლორთქიფანიძე კონსტ. — მე და ღამე.

ნადირაძე კოლაუ — ზამთარი.
ტიციან ტაბიძე — მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება. მიარღნეები და პოეტები.
რუხაძე ვარლამ — სილამაზის სამყაროში.
ცეცხლაძე გრიგოლ — ოქტავები.
ყანჩაველი ა. — ტფილისი.

პროზა:

ს. კლდიაშვილი — მარტია.
დ. მესხი — ომის მსხვერპლები.

წერილები:

ბესარიონ ჟღენტი — 1926 წელი ქართულ ლიტერატურაში.
ს. გორგაძე — სალიტერატურო შენიშვნები.
ვ. ჯაფარიძე — „ჯაყოს ხიზნები".

ეთნოგრაფიული მასალები:

აპ. წულაძე — გურია.

ბიბლიოგრაფია.

ს. ყიფიანი — უმსგავსი ბიბლიოგრაფია.
გრ. გიორგაძე — სიმონ ხუნდაძე. „ქართ. ინტ. პროფ. მე-XIX ს."
მ — ნი — ი. დავითაშვილის რჩეული ლექსები.
ფ — რი — ლეო ქიაჩელი: „ტარიელ გოლუა".

——:——

შ ე ც დ ო მ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა: „ქართული მწერლობის" № 2-ში დაბეჭდილ ს. ყანჩელის ლექსში ამოვარდნილია ერთი სტრიქონი: „ოქროს სევადი, მინანქარი, ქარვა მსუქანი —", რომელიც მიყვება: ზემოდან მეჩვიდმეტე სტრიქონს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარ. № 819. შეკ. № 890. ტირაჟი 2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართული მწერლობის“ რედაქცია აცხადებს ჟურნალის ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ, რომ მატერიალური და ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებანი, რაიცა აძნელებდა ჟურნალის რეგულიარულად გამოსვლას ამ ორი წლის განმავლობაში, ამ ჟამად სავსებით დაძლეულია და ამიერიდან ჟურნალის გამოცემისა და გავრცელების საქმე დაყენებულია მტკიცე საფუძველზე.

რედაქციამ მოახდინა ჟურნალის გამოცემის და გავრცელების საქმის სრული რეორგანიზაცია.

რედაქციამ ხელშეკრულება დასდო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობასთან, რომლითაც სავსებით უზრუნველყოფილია ჟურნალის თავის დროზე გამოსვლა და მკითხველისადმი მიწოდება.

ყოველგვარი შეკითხვები, ხელის მოწერა, ფული და მასალები ამიერიდან უნდა იგზავნებოდეს სახელმწიფო გამომცემლობაში (ჟურნალ „ქართული მწერლობის“ სახელზე). ჟურნალის რედაქტორი რედაქციის საქმეებზე ღებულობს ყოველდღე სახელმწიფო გამომცემლობაშივე.

რედაქტორის ტელეფონები: 6-43, 23-99.

ხელის მოწერის ფასი (გადაგზავნით და შინ მიტანით)

ერთი წლით . . . . . **6** მან.

6 თვით . . . . . **3** მან.

ხელის მოწერა ა. წ. პირველ იანვრიდან

მისამართი.

ტფილისი. სახელმწიფო გამომცემლობა. რუსთველის პროსპ. № 23, „ქართული მწერლობის“ რედაქციას.